

178
1971/3



სახჭოთა სამკათალი

საქართველოს კვ. ინსტიტუტი ქართული ენისა და მისი მემკვიდრეობის შესახებ

1971

1

საბჭოთა სამართალი

№ 1



იანვარი—თებერვალი

1971 წელი

გამოცემის XVIII წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
შეაღწევის სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის

50 წლისთავისათვის

საბჭოთა საქართველოს კანონიერების სათავეებთან	3
ი. შორდანიას — ბრალდებულის პიროვნების მონაცემების არაპირდაპირ მტკიცებად გამოყენების საკითხისათვის	15
ო. კოლუაშვილი — პირობითი მსჯავრის ახალი სახე	23
რ. შენგელია — მოქალაქეებისაგან საბანკო სესხის იძულებითი ამოღების წესი	27
მ. კომახიძე, გ. ექვთიმიშვილი — წინასწარ გამოძიებაში სასამართლო-საბუღალტ- რო ექსპერტიზის ჩატარების ზოგიერთი საკითხი	32
ს. ზავადსკი — სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია	38
ოფიციალური მასალა	48
ჩვენი საახალწლო ინტერვიუ	50
პ. ხვიჩია — საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათ- ვის ბრძოლაში (1921—1925 წ.წ.)	55
ბ. მაჭარაშვილი — ლადო კეცხოველი მეტეხის ციხეში	62
დ. დავითულიანი — მეფე ალექსანდრე დიდის ერთი განაჩენი თავისუფალი სვანეთის შესახებ	66

406 II

კუზლიცისტიკა

ლ. ისაკაძე — ერთი საღამო მოსამართლესთან	76
---	----

მომხრობა

ა. შარაშიძე — დაღუპული სიცოცხლე	80
---	----

დანაშაულის კვალდაკვალ

ზ. მესხენიერი — მკვლელს — დახვრეტა	83
--	----

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ლეკვეიშვილი — სახელმძღვანელო საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ	87
მ. სიმონიშვილი — წიგნი დაქტილოსკოპიაზე	90
არბიტრაჟის პრაქტიკა	91
ბიბლიოგრაფია	94





კ 50-LETIUM SOVETSKOJ Gruzii i KOMPARTII Gruzii

У истоков законности Советской Грузии	3
И. Жордания — К вопросу применения данных о личности обвиняемого в качестве косвенного доказательства	15
О. Когоашвили — Новый вид условного осуждения	23
Р. Шенгелиа — Порядок принудительного покрытия банковского займа от граждан	27
М. Комахидзе, Г. Эквтимшвили — Некоторые вопросы проведения судебно-бухгалтерской экспертизы в предварительном следствии	32
С. Завадский — Социальная функция социалистического государства	38
Официальный материал	48
Наше новогоднее интервью	50
П. Хвичиа — Рабоче-крестьянская милиция Грузии в борьбе за ликвидацию бандитизма (1921—1925 гг.)	55
Н. Мачарашвили — Ладო Кецохели в Метехской тюрьме	62
Д. Давитულიანი — Приговор царя Александра Великого о свободной Свaнети	66

ПУБЛИЦИСТИКА

Л. Исакадзе — Один вечер у судьи	76
--	----

РАССКАЗ

А. Шарашидзе — Загубленная жизнь	80
--	----

ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ

З. Месенгисери — Убийце — расстрел	83
--	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. Леквешვილი — Учебник по прокурорскому надзору (о книге А. Папиашвили «Прокурорский надзор в СССР»)	87
М. Симошვილი — Книга по дактилоскопии (о книге Ш. Папиашвили «Дактилоскопия»)	90
Практика арбитража	91
Библиография	94

შეგვ. № 683
 ტირაჟი 22.750
 უი 01957

სარედაქციო კომლეგია

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,
 ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი,
 აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე,
 ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია,
 თ.წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 82. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 23/II-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-71 წ., ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8,4, საარტიცვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14, Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის



საბჭოთა საქართველოს კანონიერებისათვის

დ ე ბ ე ნ ი დ ე ბ ა № 60

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე
კომიტეტის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტისა.

2. კომიტეტის ფუნქციების განხორციელებისათვის კომიტეტის თავმჯდომარეს დაეკისროს კომიტეტის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების მოწვევა კომიტეტის საერთო კრების მოწვევის დროს დასანიშნავად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ზ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

დ ე ბ უ დ ე ბ ა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საპატიმრო ადგილებში მყოფ პატიმართა და ამ საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტისა.

1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან არსებულ დამხმარე კომიტეტს მიზნად აქვს:

ა) მატერიალური და მორალური დახმარება აღმოუჩინოს პატიმართა და საპატიმრო ადგილიდან განთავისუფლებულთ, რათა ისინი დაადგინონ სწორი და შრომის გზა და ბ) დახმარება აღმოუჩინონ ხელმოკლე პატიმრის ოჯახს.

დამხმარე კომიტეტი მოეწყობა სახელმწიფო, პროფესიონალურ კოოპერატიულ და პოლიტიკურ დაწესებულებათა და ცალკე მოღვაწეთა გაერთიანებით.

2. პატიმართა დამხმარე კომიტეტის საზრუნავია: ა) პატიმარი, ბ) საპატიმრო ადგილიდან თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლის შემდეგ განთავისუფლებული, წინასწარ დაპატიმების წესით დაპატიმრებული ან სისხლის სა-

მართლის საქმის მოსპობის გამო თუ გამართლების გამო განთავისუფლებული ხელმოკლე პირი და გ) ხელმოკლე პატიმრის ოჯახი.

3. დამხმარე კომიტეტი ზრუნავს ზემოთაღნიშნულ პირთა შორის იმაზე, ვინც ამის თანხმობას განაცხადებს.

4. პირველ პარაგრაფში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად დამხმარე კომიტეტი:

ა) დააარსებს ფულად და მატერიალურ ფონდს;

ბ) დახმარებას გაუწევს სამუშაოს ან სამსახურის შოვნისათვის და სამშობლოში ან სამსახურის (სამუშაოს) ადგილას წასვლისათვის;

გ) გახსნის საერთო საცხოვრებლებს, სასაღილეებს და სახელოსნო-საწარმოო დაწესებულებებს;

დ) გააერთიანებს განთავისუფლებულებს არტელის, კოოპერატივის და სხვ. სახით.

ე) ხელს შეუწყობს მუშებს შედგავთიანი პირობით შეიძინონ იარაღი და საოჯახო ნივთები.



ვ) დააარსებს პროფესიონალურ და საერთო განათლების სკოლებს და კურსებს.

ზ) გაუწევს სამკურნალო და იურიდიულ დახმარებას;

თ) მოაწყობს ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, კლუბებს, გამართავს გამოფენებს, ლექციებს, წარმოდგენებს, კონცერტებს და სხვ.

ი) მოიწევს კონფერენციებს და ყრილობებს და გამოსცემს ნაშრომებს და ჟურნალებს თავის მოქმედების სფეროში;

კ) შეიძენს, გაასხვისებს და იჯარით აღიღებს საჭირო ქონებას და დასდებს გარიგებას და ხელშეკრულებას, რაც შეესაბამება კომიტეტის მიზნებს.

შენიშვნა: მე-4 პარაგრაფში აღნიშნულ უფლებამოსილებას კომიტეტი განახორციელებს არსებულ კანონთა თანახმად და ამ კანონთა მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.

5. კომიტეტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო დერბით და წარწერით: „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან არსებული პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტი“.

6. კომიტეტის წევრს ეძლევა კომიტეტის წევრის მოწმობა.

7. კომიტეტი იმყოფება ქ. თბილისში. მას შეუძლიან რესპუბლიკის სხვა ქალაქში სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან გახსნას თავისი განყოფილება, რომელიც იმოქმედებს კომიტეტის საერთო კრების მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებული დებულებისამებრ. კომიტეტის სამაზრო განყოფილება მოეწყობა კომიტეტის დაგვარად, ამასთანავე განყოფილებათა დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ დებულებას.

II. კომიტეტის შედგენილობა

8. კომიტეტი შესდგება: ნამდვილი წევრებისაგან და წევრ-თანამშრომელთაგან.

9. ნამდვილ წევრად ჩაითვლება: ა) კომიტეტის დამფუძნებელი წევრი, ბ) იურიდიული პირის მიერ წარმოგზავნილი დელეგატი (პარაგრაფი — 1) — თვითეულ იურიდიულ პირზე თითო და გ) კერძო მოქალაქე, რომელსაც კომიტეტის საერთო კრება თავისი გამგეობის წინადადებისამებრ, წევრად აირჩიეს.

შენიშვნა: დამფუძნებელ წევრად ჩაითვლება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარგზავნილი წარმომადგენელი, საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსი და დაწესე-

ბულების მიერ წარმოგზავნილი წარმომადგენელი.

10. თანამშრომელ-წევრად შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც სურს ხელი შეუწყოს კომიტეტის მეშაობას, მას ჩარიცხავს კომიტეტის გამგეობა.

კომიტეტის კრებაზე წევრს — თანამშრომელს აქვს სათათბირო ხმის უფლება. იგი არ შეიძლება არჩეული იქნეს რაიმე თანამდებობაზე.

11. კომიტეტის წევრთა სია დადგენილი წესით ყოველ წელს წარედგინება სათანადო ორგანოს.

12. წევრთა რიცხვიდან გასვლა შეიძლება როგორც წევრებისათვის პირადი განცხადებით, ისე კომიტეტის დამსწრე წევრთა ორი მესამედის დადგენილებით; ამასთანავე, უკანასკნელ შემთხვევაში წევრთაგან გამოირიცხვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ წევრი თავის საქციელით სახელს გაუტეხს კომიტეტს ან ჩაიდენს სისხლას სამართლის დანაშაულობის საქმეს.

III. კომიტეტის სახსარი

13. კომიტეტის სახსარი შეადგენს:

ა) საპატიმრო ადგილების საწარმოთა შემოსავლის პროცენტული ანარიცხებისაგან;

ბ) სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სუბსიდიებისაგან;

გ) კერძო მოქალაქეთა შემოწირულებისა და ანარიცხებისაგან;

დ) კომიტეტის საწარმო-დაწესებულებათა და სპეციალურ ღონისძიებათა შემოსავლისაგან.

კომიტეტის მართველობის ორგანოები

14. კომიტეტის მართველობის ორგანო არის:

ა) კომიტეტის წევრთა საერთო კრება,

ბ) კომიტეტის გამგეობა,

გ) სარევიზიო კომისია.

კომიტეტის კრება

15. კომიტეტის საერთო კრებას მოიწვევს კომიტეტის გამგეობა უწყებების დაგზავნით ან განცხადებით. საერთო კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ იქნება კომიტეტის გამგეობის მიერ დაწესებული ქვორუმი, რაც აღნიშნული უნდა იქნეს მოსაწვევე უწყებაში.

16. საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც. იგი მოიწვევა აგრეთვე სარევიზო კომისიის დადგენილებით ან ნამდვილ წევრთა მოთხოვნით, რომლის რიცხვიც 10-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში



გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება ორი კვირის განმავლობაში.

17. ყველა საქმე გადაწყდება ახდელი ხმის მიცემით და დამსწრე წევრთა ხმების მარტივი უმეტესობით, გარდა კომიტეტის წევრის გამოორიციუნისა და კომიტეტის დახურვის საკითხისა, რის გადასაწყვეტად საჭიროა დამსწრე წევრთა ხმების არა ნაკლებ ორი მესამედისა. ხმის უფლების გადაცემა არ შეიძლება, თუ ხმები თანასწორად გაიყო, საკითხი უარყოფილად ჩაითვლება.

18. საერთო კრება:

ა) აირჩიეს კომიტეტის გამგეობის წევრთ, სხვა თანამდებობის პირებს და სარევიზიო კომისიის წევრებს;

ბ) დაამტკიცებს ინსტრუქციას კომიტეტის სარევიზიო კომისიისა, თანამდებობის პირთა და სხვა ორგანოთათვის;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს გამგეობის მიერ შეტანილ პროექტებს;

დ) გახსნის და დახურავს კომიტეტის განყოფილებას და სხვა ორგანიზაციას და დაამტკიცებს კომიტეტის სამაზრო განყოფილებათა დებულებას;

ე) მიიღებს ნამდვილ წევრად სხვადასხვა პირს და გამორიცხავს კომიტეტის წევრებს;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს სარევიზიო კომისიის დასკვნას, გამგეობის ანგარიშს კომიტეტის მოქმედების შესახებ, მომავალი მუშაობის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას;

ზ) განიხილავს კომიტეტის საერთო წესდების ცვლილებას ან დამატებით პროექტს.

შენიშვნა: საერთო წესდების ესა თუ ის გამონაკლისი, ცვლილება ან დამატება, რასაც საერთო კრება მიიღებს დასამტკიცებლად წარედგინება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

დამხმარე კომიტეტის გამგეობა

19. კომიტეტის გამგეობა არის მისი აღმასრულებელი ორგანო და შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, ხაზინადარისა და გამგეობის წევრებისაგან, რომელთა რიცხვს დააწესებს საერთო კრება.

შენიშვნა: 1. კომიტეტის გამგეობაში შედის აგრეთვე თითო წარმომადგენელი: სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა — რესპუბლიკის პროკურორის

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 8 იანვარი № 6)

თანაშემწე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი.

რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების, მთავარ სამმართველოს, როგორც დაწესებულებას, ყველაზე მეტად მჭიდრო კავშირი აქვს კომიტეტის მუშაობასთან, თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის გარდა, ეკუთვნის კიდევ ერთი ადგილი კომიტეტის გამგეობაში.

შენიშვნა: 2. კომიტეტის გამგეობა იმყოფება თბილისში და ამიტომ ერთი და იგივე დროს არის თბილისის დამხმარე კომიტეტიც და მის შემადგენლობაში 1-ლ შენიშვნაში ჩამოთვლილ პირთა გარდა შედის თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ერთი წარმომადგენელიც.

20. კომიტეტის თავმჯდომარედ არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარგზავნილი წარმომადგენელი, თავმჯდომარის მოადგილედ რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსი, ხოლო გამგეობის დანარჩენ წევრებს გაგზავნიან სათანადო დაწესებულებანი, ან ირჩიეს კომიტეტის საერთო კრება ერთი წლის ვადით.

21. ამორჩეული გამგეობის შედგენილობა და ყველა ის ცვლილება, რაც გამგეობაში მოხდება, დადგენილი წესისამებრ, უნდა ეცნობოს სათანადო ორგანოს.

22. გამგეობა თვალყურს ადევნებს საერთო კრების დადგენილებათა ასრულებას, აგრეთვე კომიტეტის საქმეთა სათანადო მსვლელობას, განაგებს ადმინისტრაციულ, საფინანსო და სამეურნეო ნაწილს და პასუხს აგებს კომიტეტის მუშაობის მიმართულებისა და შედეგებისათვის.

23. კომიტეტის გამგეობა ყოველწლიურად შეადგენს კომიტეტის მუშაობის ანგარიშს და წარუდგენს დასამტკიცებლად საერთო კრებას.

კომიტეტის ლიკვიდაცია

24. კომიტეტი შეიძლება დაიხუროს, როგორც მთავრობის ორგანოს განკარგულებით, ისე საერთო კრების დადგენილებით.

25. უკეთუ მოხდება კომიტეტის ლიკვიდაცია, მისი ქონება მთლად გადავა რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს განკარგულებაში.



რ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ე № 2

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სახლის პატრონთა, სახლის გამგებლობათა და ბინის პატრონთა პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ საზღვრებში უცხოელ მოქალაქეთა შემოსვლისა და იმავე საზღვრებიდან გასვლის თაობაზე ცნობების შეუტყობინებლობისათვის

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, „უცხოელთა რეგისტრაციისა და უცხოელზე სარეგისტრაციო წესების დარღვევისათვის დაწესებული საცხოვრებელი დოკუმენტის უქონლად ცხოვრებისათვის — სასჯელის დადების შესახებ“, 1925 წლის თებერვლის 16-ს თარიღით გამოცემული დადგენილების „ა“ კარის თანახმად (ამიერკავკასიის ს.ფ.ს.რ. კან. კრებული 1925 წ. მე-2 ნა-რი, მუხ. 369). სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს ყველა სახლის პატრონს, შენობის მოიჯარადრეს, შენობის კომენდანტსა და გამგეს, სახლის გამგეს, სასტუმროს გასაქირავებელი ავეჯის ოთახებისა და ბაყების პატრონთა და გამგეთა და სხვა პირთ, ვინც კი სახლის გამგებლობაში პასუხისმგებელია მოქალაქეთა ჩაწერისათვის:

ა) შეატყობინოს ხოლმე მუშათა და გლეხთა მილიციის სათანადო ორგანოებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ დადგენილ ვადაზე და წესით, ცნობა ყველა იმ უცხოელი მოქალაქის შესახებ, რომელიც კი მათ გამგებლობაში ქონებულ საცხოვრებელ სადგომში სცხოვრობს მუდმივ თუ დროებით, აგრეთვე უცხოელი მოქალაქის წასვლის შესახებ.

ბ) მოსთხოვონ მილიციის ორგანოებისათვის წარსადგენად მათ სადგომებში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს შინაგანი საცხოვრებელი დოკუმენტი, ან სარეგისტრაციო მოწმობა, რაც გათვალისწინებულია ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.კ.

ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 16-ს დადგენილებით;

გ) წარუდგინონ ხოლმე მილიციის სათანადო ორგანოებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ დადგენილ ვადაზე და წესით, ცნობები მათ გამგებლობაში ქონებულ საცხოვრებელ სადგომებში მცხოვრებ მოქალაქეთა შესახებ, რომელთაც არა აქვთ შინაგან საცხოვრებელი დოკუმენტი ან სარეგისტრაციო მოწმობა.

2. დაევალოს ბინის პატრონთ შეატყობინოს ხოლმე დაუყოვნებლივ სახლის პატრონთ, შენობათა მოიჯარადრეთ და სახლის გამგებლობას ამ დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პ.რ. აღნიშნული ცნობები მათ მიერ დაჭერილ ბინებში უცხოელი მოქალაქის დადგომისთანავე და აგრეთვე გასვლისთანავე.

3. 1-სა და მე-2 მუხ. აღნიშნულ პირთა შორის ის, ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, დაჯარიმებულ უნდა იქნეს 100 მანეთამდე, ან თავისუფლების — აღკვეთით ვადით ორ თვემდე, ეს ჯარიმა და სასჯელი დაიდება ადმინისტრაციულის წესით. თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წ. მაისის 4-ს დეკრეტით დამტკიცებული დებულებისა „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესის და მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. 1-ლი პ-რი, მუხ. 27).

4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, უნდა გამოსცეს ინსტრუქცია უცხოელ მოქალაქეთა მოსვლისა და წასვლის თაობაზე ცნობების შეტყობინების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **შ. მხანარაძე.**

სრულიად საქართველოს სოციალური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელინაშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

1926 წ. იანვრის 25. თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ. 3 თებერვალი, № 26).



რ ე ზ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1

სრულიად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 66 მუხლის შეცვლისა და ამ კოდექსისათვის 66¹ მუხლის დამატების შესახებ

თანხმად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აგვისტოს 14 დადგენილებისა, რომელიც გამოცემულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა მე-3 მუხლის მიხედვით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სისხლის სამართლის კოდექსის 66 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 66. ჯაშუშობა, ესე იგი უცხო სახელმწიფოსა, კონტრარევოლუციონური ორგანიზაციისა, ან კერძო პირისათვის გადაცემა, აგრეთვე გატაცება ან შეგროვება გატაცების მიზნით ისეთი ცნობისა, რაც თავისი შინაარსით სპეციალურად დასაცავი სახელმწიფო საიდუმლოებაა, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ სამი წლისა.

ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ჯაშუშობას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა განსაკუთრებით მძიმე შედეგი სახელმწიფო ინტერესებისათვის,

— სოციალური დაცვის უმაღლესი დონისძიება.

შენიშვნა. 1. სპეციალურად დასაცავ სახელმწიფო საიდუმლოებათ ჩაითვლება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ და საყოველთაოდ გამოქვეყნებულ განსაკუთრებულ ნუსხაში ჩამოთვლილი ცნობები.

შენიშვნა 2. სამხედრო ჯაშუშობისათვის ძალაში რჩება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1924 წ. ოქტომბრის 31-ს დამტკიცებული სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-16 მუხლი (სსრ. კავშირის კან. კრ. — 1924 წ. № 24, მუხ. 207 ამა კოდექსის დანართი).

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 66¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 66. შეგროვება იმ ეკონომიური ხასიათის ცნობებისა, რაც თავისი შინაარსით სპეციალურად დასაცავი სახელმწიფო საიდუმლოება არ არის (მუხ. 66, შენიშვნა), ხოლო რომლის გახმაურება პირდაპირ აკრძალულია კანონით ან უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელის განკარგულებით და გადაცემა სასყიდლით თუ უსასყიდლოთ — 66 მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციისა და პირისათვის, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე სასტიკი იზოლაციით ან უამისოდ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელიაშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

1926 წ. იანვარი 25, თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 4 თებერვალი, № 27).



ს ი რ კ უ ლ ე რ ი

ადმონსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პროკურორებს, ყველა მაზრისა და რაიონის მილიციის უფროსს, ყველა მაზრის სახალხო სასამართლოს, ქალაქ თბილისის მორიგ კამერას, ადმონსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სასამართლოებს

ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებათა და ხულიგნობის საქმეთა განხილვის წესის შესახებ

ა) ვინაიდან ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა ქუჩებში და საზოგადო ადგილებში უწყესო და ხულიგნური გამოსვლები მთვრალ მოქალაქეთა, რომელნიც არ ემორჩილებიან მილიციის კანონიერ მოთხოვნას და განკარგულებას — იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები წინადადებას გაძლევენ ამ არა სასურველ მოვლენის აღმოსაფხვრელად მიიღონ ქვემოთაღმოთვლილი დონისძიებანი:

1) ყოველი მთვრალი მოქალაქე, შემჩნეული საზოგადო ადგილებში (კლუბში, კაფეში, რესტორანში, თეატრში, კრებაზე და სხვა) მილიციის ორგანომ: ა) დაუყოვნებლივ უნდა გააძევოს აქედან, როგორც ამ საზოგადო ადგილის ადმინისტრაციის მოთხოვნით, ისევე საკუთარი თაოსნობით;

ბ) უწყესობისა და ჭირვეულობისათვის დანაშავე უნდა შეიპყრას და გადაგზავნოს მასზე შედგენილ ოქმთან ერთად სახალხო სასამართლოში, ხოლო თბილისში კი მორიგ კამერაში, სისხ. სამ. საპრ. კოდ. 105 მუხ. 2 პუნქტისამებრ.

2) იგივე წესი უნდა შეეფარდოს ქუჩაში შემჩნეულ მთვრალ მოქალაქეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამასთანავე უწყესობას ახდენს, ხმაურობს და ჭირვეულობს ან არ ემორჩილება მილიციის განკარგულებას.

3. ხულიგნობის ყველა სხვა შემთხვევაში, სადაც კი არ უნდა მოხდეს იგი, მილიციის ორგანო შეიპყრობს დანაშავეს და გადაუგზავნის მას ოქმთან ერთად, სისხ. სამ. საპრ. კოდ. 105 მუხ. 2 პუნქტისამებრ, სახალხო სასამართლოს, თბილისში კი — მორიგ კამერას.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დანაშაულისათვის შეპყრობილი იქნება პროფესიონალური ორგანიზაციის წევრი, ცნობა მის შესახებ ეგზავნება იმავე დროს საფაბრიკო და საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, შეპყრობილის მუშაობის ადგილის მიხედვით: ა) იმ პირთა შესახებ, რომელნიც ამორჩეული არიან

სამუშაოდ პროფესიონალურ ორგანებში, უნდა ეცნობოს სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციას.

ბ) ხულიგნობასთან სასტიკი ბრძოლის საწარმოებლად სახალხო სასამართლოებს და მორიგ კამერას წინადადება ეძლევათ:

1) ხულიგნობისათვის შეპყრობილ პირისა და აგრეთვე ისეთი ხულიგანის საქმე, რომელიც არ დაემორჩილა მილიციის კანონიერ მოთხოვნას ან მიაყენა მას შეურაცხყოფა, განხილულ უნდა იქნეს სახალხო სასამართლოების მორიგ კამერისათვის გამომუშავებული წესით (სისხ. სამ. საპრ. კოდ. 365 მუხ.). არა უგვიანეს მეორე დღისა, დღიდან დანაშავის შეპყრობისა სახალხო სასამართლოს ან მორიგ კამერაში ოქმის მიღებისა.

2) აღნიშნულ პირთ წაუყენონ ბრალდება: ა) ხულიგნობისათვის (სისხ. სამ. კოდ. 183 მუხლისამებრ, ბ) იმისათვის, რომ არ დაემორჩილა მილიციის ორგანოს (სისხ. სამ. კოდ. 225 მუხ.) და გ) შეურაცხყოფა მიაყენა მილიციას (სისხ. სამ. კოდ. 90 მუხ.). ამასთან საჭიროებისა და მიხედვით უნდა შეფარდებულ იქნეს დანაშაულთა შეერთებისათვის არსებული წესი (სისხ. სამ. კოდ. 47 მუხ.).

3) საქმე უნდა გაიჩნეს გამარტივებულ წესით, უბრალოდებლოდ და უდამცველოდ და რამდენადაც შესაძლებელია მოწმეთა მცირერიცხვის მონაწილეობით.

4) შეზღუდულ იქნეს ასეთ საქმეებზე მსჯავრდებულებისათვის სისხ. სამ. კოდ. 49, 50 და 51 მუხლების შეფარდება.

5) განაჩენის გამოტანის შემდეგ მსჯავრდებული დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დააპტიმრებული.

გ) ოქმის სასამართლოებს იმავე მიზნით წინადადება ეძლევათ საკასაციო საჩივარი აღნიშნული საქმეების შესახებ განხილონ ორი კვირის განმავლობაში.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი: **ი. ვარძიელი.**
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი: **შ. მათიკაშვილი.**
4 თებერვალი, 1926 წ.
(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 6 თებერვალი, № 29).



დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 3

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 210 მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 210 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსისა: „გ“) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რაც დადებულია სახელმწიფო სავალდებულო არა-საგანაკვეთო დაზღვევის გამო, — უკეთეს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს სასარგებლოდ დაზღვევის პრემია გადახდილ არ იქნება“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე**.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელინაძე**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა**.

1926 წ. იანვრის 25. თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 10 თებერვალი, № 32).

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 6

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

მიწის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის მოქალაქე, რომელიც დაარღვევს მიწის კოდექსის 25 მუხლს, ე. ი. გაჰყიდოს; გააჩუქებს; დააგირავებს, ან ანდერძით გადასცემს, იმ მიწას, რაც მის სარგებლობაშია, პასუხს აგებს სასამართლოს წესით, როგორც განსაზღვრული მიზნით მიცემული ქონების მითვისებისა და გადაღწევისათვის; ამასთანავე დამნაშავეს, გარდა იმისა, რომ სისხლ. სამ. კოდ. 192 მუხლში გათვალისწინებული ერთ-ერთი სოციალური დაც-

ვის ღონისძიება შეეფარდება, ჩამოერთმევა აგრეთვე სარგებლობისათვის გადაცემული მიწა, ხოლო გარიგება გაუქმებულად ჩაითვლება.

2. ის მოქალაქე, რომელიც იყიდის, მიიღებს საჩუქრად, ანდერძით ან გირაოთ ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ მიწას, პასუხს აგებს როგორც ამავე დანაშაულებრივი ქმედების მონაწილე.

3. გაუქმებული იქნეს 1922 წლის დეკემბრის 20-ს თარიღით და 27 №-ის დადგენილება „მიწის კანონთა დარღვევისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე**.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელინაძე**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა**.

1926 წ. თებერვლის 1. თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 16 თებერვალი, № 36).



ღ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 8

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მოქალაქეობის უფლებაჩამორთმეულ პირთა ქონების შესახებ

რადგანაც „საკავშირო მოქალაქეობის დებულებების“ მე-12 მუხლის „ა“ პუნქტისა (სსრკ კან. კრებ. 1924 წ. № 23, მუხ. 202 და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ა-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლ. მაისის 1-ს დეკრეტის (ა-კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1923 წ., № 8, მუხ. 116) ძალით მოქალაქეობის უფლება-ჩამორთმეულ პირთ ეკარგებათ ქონებრივი უფლება, აგრეთვე იმავე „საკავშირო მოქალაქეობის დებულების“ მე 12 მუხ. „ბ“ პუნქტის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტი აღგენს:

1. იმ პირთა ქონებას საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელთაც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების ძალით დაპყარგეს მოქალაქეობის უფლება; შეეფარდოს გახსნილი მემკვიდრეობის წესები.

2. მემკვიდრეობის გახსნის დღეთ ამა დადგენილებით 1 მუხლში აღნიშნულ ქონებისათვის ჩაითვალოს:

- ა) იმ პირთა ქონებისათვის, ვინც მოქალაქეობა დაპყარგა ა-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლ. მაისის 1-ლი თარიღის დეკრეტის ძალით 1923 წ. დეკ. 1-ლი, და
- ბ) იმ პირთა ქონებისათვის, ვინც მოქალაქეობა დაპყარგა „საკავშირო მოქალაქეობის დებულების“ მე-12 მუხ. „ბ“ პუნქტის ძალით, — ქონების პატრონის საზღვარ-გარეთ ლეგალურად ყოფნის ვადის გასვლის დღე.

3. უკეთეს წინა მუხლში აღნიშნული ქონება, ექვსი თვის განმავლობაში დღიდან მემკვიდრეობის გახსნისა არ ჩაიბარეს მოქალაქეობა-ჩამორთმეული პირის იმ მემკვიდრეებმა, რომელნიც საქართველოს სამოქ. სამ. კოდ. 418 მუხლ-

ში არიან ჩამოთვლილნი, იგი უნდა ჩაითვალოს ბეთალმან ქონებად და გადაეცეს სახელმწიფო სათანადო ორგანოთა განკარგულებაში.

4. დაევალოს სსრ კავშირის საზღვრებიდან გასულ ყველა მოქალაქეს, ან იმ პირს, ვისაც საზღვარ-გარეთ წასულმა მიანდო თავისი, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონების გამგებლობა წარუდგინოს 1926 წლის მაისის 1-თვის იმ მავრისა თუ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, სადაც აღნიშნული ქონებაა, სსრ კავშირის სათანადო დიპლომატური ან საკონსულო დაწესებულების მოწმობა, რომ ქონების პატრონი საზღვარგარეთ ლეგალურად იმყოფება.

5. ზემოთაღნიშნული საკანონმდებლო აქტების ძალით მოქალაქეობა-ჩამორთმეულ პირთა მემკვიდრენი, რომელთაც ამა დადგენილების მე-2 მუხლში გათვალისწინებულ ვადაზე, ფაქტურად მიიღეს თავის განკარგულებაში ხსენებულ პირთა ქონება, ვალდებული არიან წარუდგინონ იმ ვადაზე და იმ დაწესებულებას, რაც წინა მუხლშია აღნიშნული, თავიანთი მემკვიდრეობის უფლების დამამტკიცებელი მოწმობა, სახალხო სასამართლოს მიერ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 434 მუხლის თანახმად, მიცემული.

6. ის ქონება, რომლის შესახებაც 1926 წლის მაისის 1-სათვის წარდგენილი არ იქნება ამა დადგენილების 3 და 4 მუხლებით გათვალისწინებული ცნობები სახალხო სასამართლომ უნდა სცნოს ბეთალმან ქონებად და გადაეცეს სათანადო სახელმწიფო ორგანოთა განკარგულებაში.

7. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განსახორციელებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: **ს. თოდუა**.

1926 წ. თებერვლის 1. თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 16 თებერვალი, № 37).



რ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 7

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 323 და 335 მუხლის შეცვლის შესახებ

თანხმად სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 323 და 335 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 323. სააქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა), რომლის ძირითადი თანხა ხუთასი ათას მანეთს (500.000 მან.) არ აღემატება და რომლის გამგეობაც წესდების ძალით უნდა იმყოფებოდეს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაარსდება იმ წესდების თანახმად, რაც ამიერკავკასიის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის (საქართველოს სს-ში) მეშვეობით წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს.

შენიშვნა: უკეთუ სააქციო საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულია რაიმე გამონაკლისი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქმედი კანონებისა, წესდება ამა მუხლის თანახმად, დამფუძნებლებმა უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

მუხ 323-1 წესდების დამტკიცების შემდეგ სააქციო საზოგადოებას რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ამიერკავკასიის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამართველოში (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში).

მუხ 323-2 საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) წესდებას დასამტკიცებლად არ მიიღებს:

1) უკეთუ საზოგადოების (ამხანაგობის) დამფუძნებელთა შორის არის საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ან ა/კ. სოც. ფედ. საბჭ-რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულება ან ისეთი საწარმო,

რომელსაც აქვს საერთო-საკავშირო ან საფედერაციო (ა-კ სფსრ) მნიშვნელობა.

3) უკეთუ საზოგადოების (ამხანაგობის) დამფუძნებელთა შორის არიან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი ან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რამდენიმე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი.

3) უკეთუ საზოგადოების (ამხანაგობის) ძირითადი თანხა აღემატება ხუთასი ათას მანეთს (500.000 მან).


4) უკეთუ საზოგადოების (ამხანაგობის) წესდებაში არის რაიმე გამონაკლისი იმ წესდებისა, რაც საბჭ. სოც. რესპ. კავშირის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით შემოღებულია სააქციო საზოგადოებისათვის.

5) უკეთუ საზოგადოების (ამხანაგობის) დაარსებაში მონაწილეობას იღებს უცხოეთის კაპიტალი, ან საზოგადოების (ამხანაგობის) წესდების თანახმად აქცია შეიძლება უცხოელის ხელში გადავიდეს.

6) უკეთუ საზოგადოების (ამხანაგობის) წესდებას საკონცესიო ხასიათი აქვს, თუნდაც უცხოეთის კაპიტალი საზოგადოებაში (ამხანაგობაში) მონაწილეობას არ იღებდეს;

7) უკეთუ საზოგადოების (ამხანაგობის) წესდებაში არის რაიმე გამონაკლისი საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოქმედი დადგენილებისა.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნულ სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის აპრილის 29-ის დადგენილებით (სსრ კავშ. კანონთა კრებული (925 წ. № 30) და ამიერკ-კავკასიის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ნოემბრის 9 დადგენილებით კუთვნილებისამებრ.



მუხ. 323-3 ყველა სააქციო საზოგადოებას (ამხანაგობას), რომელიც დაარსებულ და რეგისტრაციის გარეშე იქნა დადგენილი წესი (323-1 და 323-2) უფლება აქვს იმოქმედოს მთლად საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ტერიტორიაზე (სსრ კავშირის კან. კრებ. 1925 წ. № 30, მუხ. 195).

მუხ. 335. უკეთუ აქციონერთა დამფუძნებელი საერთო კრება სცნობს, რომ საზოგადოება შემ-

დარია, გამგეობა ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში შეიტანოს განცხადება საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ ამიერ-კავკასიის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან საქართველოში (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში), საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაცია გამოქვეყნებული უნდა იქნეს ოფიციალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **მ. მახარაძე**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარე: **მ. ელიაშვილი**

1926 წ. თებერვლის 1. თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 18 თებერვალი, № 39).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა**

დ ე კ რ ე ვ ი № 1

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა

ამნისტიის შესახებ

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური მთავრობა, მოკლებული შურისძიების ყოველგვარ გრძნობას, თავის პოლიტიკური მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელნიც თითქმის სამი წლის განმავლობაში ახშობენ მშრომელთა მასის ყოველგვარ მისწრაფებას მიმართულს საბჭოთა ძალა-უფლების დამყარებისაკენ, და რომელნიც გააფთრებით სდევნიდნენ მუშებისა და გლეხების კომუნისტურ პარტიას, ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობის ხელისუფლების მთელი აპარატის საშუალებით — ადგენს:

გამოცხადებულ იქნეს ამნისტია ყველა იმ

პოლიტიკურ პარტიებისა, ჯგუფებისა და პირებისა, რომელნიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს საბჭოთა ძალაუფლების და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

ამ ამნისტიის ძალით არც ერთი წევრი ამგვარი პოლიტიკური პარტიებისა და საერთოდ არავინ არ უნდა იქნეს დატუსაღებული, მიცემული სამართალში და ან აღმინისტრაციულად დევნილი იმ ბოროტ მოღვაწეობისათვის, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ძალა-უფლების და საქართველოს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე: **მ. ორახელაშვილი**

რევკომის მდივანი: **ლ. დუშაბაძე**

1921 წელი, თებერვლის 25. ქ. თბილისი.

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 27 თებერვალი, № 46).

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა № 1

საქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტისა

მშრომელი ხალხის აჯანყებით ჩამოგდებული საქართველოს ყოფილი მთავრობა უკრძანის მეთაურობით, ოფიცერთა და იუნკერთა რაზმების დამარცხების შემდეგ, დასავლეთ საქართველოში გადავარდა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი შემოვიდა რა დღეს დედა-ქალაქში, მთელ სახელმწიფოს ძალა-უფლებას თავის ხელთ იღებს და უბრძანებს:

1. ბრძოლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ ჩამოგდებულია და ჯერ არ გვენებდება, უნდა იქნეს წარმოებული გაძლიერებული ენერგიით.

2. სახელმწიფოს ყველა დაწესებულებანი, ქალაქისა და ერობის თვითმმართველობანი, საქალაქო და საერობო მილიცია და საერთოდ ყველა თანამდებობის პირნი უნდა დარჩენ თავიანთ ადგილებზე და განაგრძონ ჩვეულებრივი მუშაობა.

3. რევოლუციონური წესრიგი უნდა დაცული იქნეს სასტიკად: საბოტაჟნიკები, წინააღმდეგობის გამწვენი და წესიერების დამრღვენი დასჯილი იქნებიან რევოლუციონური ორთის კანონების სიმკაცრით.

საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარე: **მ. ორახელაშვილი.**
რევკომის მდივანი: **ლ. დუშაბაძე.**
1921 წელი, თებერვლის 26. ქ. თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წლის 27 თებერვალი, № 46).

რ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა № 9

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 291 მუხლის „ა“ პუნქტისათვის შენიშვნის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოს მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 17 ნოემბრის დადგენილების მეორე მუხლისა, ადგენს: სამოქალაქო სამართლის საპრ. კოდ. 291 მუხლის „ა“ პუნქტს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

იმ თანხას, რომელსაც დაზღვეული შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დამზღვევე სალოროდან მიიღებს, როგორც დახმარებას, შეიძლება მიექცეს გადახდევინება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც გადასახდევინებელია სასამართლოს მიერ ამ დაზღვეულის იჯარის წევრთა შენახვისათვის გადაწყვეტილი სარჩო (ალიმენტი).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

1926 წ. თებერვლის 10. თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 4 მარტი, № 50).

ქ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 13

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში საადგილ-მამულო დავის განხილვის წესისათვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის 161-166 მუხლების განსავითარებ-

ლად, დამტკიცებულ იქნეს აგრეთვე დართული ინსტრუქცია, საადგილ-მამულო კოლეგიებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში, საადგილ-მამულო დავის განხილვის წესისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელიაშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 17 მარტი, № 60).

ბრალდებულის პიროვნების მონაცემების პრაქტიკული გამოყენების საკითხისათვის

ი. შორღანი

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წარმოების საფუძვლებს მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე სხვა მონაცემებთან ერთად უნდა გაირკვეს აგრეთვე გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხზე. ამ მოთხოვნამ ასახვა პოვა საქართველოს სსრ სსსკ 59-ე მუხლის მესამე პუნქტში¹.

სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების დადგენის აუცილებლობა, პირველ რიგში ნაკარნახევია მათი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით. იგი გათვალისწინებულ უნდა იქნას ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისა და მისთვის სასჯელის დანიშვნის დროს. ზოგჯერ ამ მონაცემებს მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. მათი არსებობით დანაშაულის შემადგენლობა კვალიფიკურ სახეს იღებს. ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებს ხშირად პროცესუალური მნიშვნელობა აქვს, როგორც მტკიცების ერთ-ერთ არაპირდაპირ სახეს.

საქმის გამოძიებისა და განხილვის დროს გამოძიებელი და სასამართლო მოვალეა დაადგინონ ბრალდებულის შესახებ სხვადასხვა სახის მონაცემები, რომლებსაც საქმისათვის არა აქვს თანაბარი მნიშვნელობა. პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისინი, რომლებიც ნამდვილად გამოხატავენ ბრალდებულის პიროვნების ამა თუ იმ მყარ თვისებებს.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების შემდეგ კლასიფიკაციას:

1. ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ სუბიექტს, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი და სხვ; 2. გარემოებანი, რომლებიც ახასიათებენ ბრალდებულის პიროვნებას და რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას. 3. მონაცემები, რომლებითაც ხდება ბრალდებულის ინდივიდუალიზაცია (ე. წ. პიროვნების დამდგენი მონაცემები: გვარი, სახელი, მამის სახელი, სქესი, ასაკი და ა. შ.). 4. მონაცემები, რომლებიც ასახავენ პიროვნების ნიშნებს და თვისებებს, რომელთაც აქვთ დამამტკიცებელი ფაქტების, არაპირდაპირი მტკიცების მნიშვნელობა...².

¹ ამის შესახებ თუმცა პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ ეს დასკვნა გამომდინარეობს მუხლის ანალიზიდან. უფრო ნათლად ეს გამოკვეთილია რსფსრ სსსკ 68-ე მუხლში, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ყველა სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს „გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე, და რომლებიც მითითებულია რსფსრ სსსკ 38-ე და 39-ე მუხლებში, და აგრეთვე ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი სხვა გარემოებანი“...

² М. Г. Коршик, А. М. Ларин, С. С. Степичев. Доказательственное значение данных, характеризующих личность обвиняемого. «Советское государство и право», 1966, № 6, стр. 97.



ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელ ზოგიერთ მონაცემს, კერძოდ პიროვნების თვისებრივ დამახასიათებელ მონაცემს შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი მტკიცების მნიშვნელობა.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეხებით მხოლოდ პიროვნების დამახასიათებელ იმ მონაცემებს, რომლებიც გამოხატავენ ბრალდებულის პიროვნების მყარ ნიშნებსა და თვისებებს და რომლებიც განაპირობებენ მის მიერ დანაშაულის ჩადენისა და დაფარვის ამა თუ იმ ხერხის შერჩევას.

ბრალდებულის პიროვნების მონაცემების დამამტკიცებელი მნიშვნელობის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი შეხედულება. ზოგი ავტორი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების დამამტკიცებელ მნიშვნელობას. მათი აზრით, ამ მონაცემებს არ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს პირის ბრალეულობის დასადგენად. ისინი თვლიან, რომ ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მტკიცების პროცესში, არამედ სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დამტკიცების შემდეგ; ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს პირის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და დაენიშნოს მას შესაფერი სასჯელი.

ასეთ პოზიციაზე დგას მ. ს. სტროგოვიჩი, რომლის აზრით ბრალდებულის პიროვნების შესახებ მონაცემებს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების და დამნაშავის პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისათვის, როცა დანაშაული უკვე დამტკიცებულია. მაგრამ თვით ამ მონაცემებით არ მტკიცდება, რომ ბრალდებულმა ჩადინა დანაშაული. ამავე პოზიციაზე დგას მ. მ. გროძინსკი³. მაგრამ ეს გაბატონებული მოსაზრება არ არის საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. მთელი რიგი ავტორები, ჩვენი აზრით, სწორად თვლიან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებს ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის დროს შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი დამამტკიცებელი ფაქტების მნიშვნელობა⁴. ა. რ. რატინოვი მართებულად შენიშნავს, რომ: „...ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებს შეიძლება ჰქონდეთ დამამტკიცებელი მნიშვნელობა მხილების სახით, რომლებიც ამტკიცებენ (ან უარყოფენ) დასამტკიცებელ ფაქტებს...“⁵.

ამ მოსაზრებას იზიარებს სავამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაც. სასამართლო ორგანოების მთელ რიგ სახელმძღვანელო დადგენილებებში ხაზგასმულია: რომ პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებს დამამტკიცებელი მნიშვნელობა აქვს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1960 წლის 4 ივნისის

³ М. Строгович, Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе. М., 1955, гл. 279.

⁴ М. М. Гродзинский, Улики в советском уголовном процессе, М., 1944, гл. 101.

⁵ А. Л. Цыпкин, Право на защиту в советском уголовном процессе. Саратов, 1959, гл. 315—316; Г. М. Миньковский, Пределы доказывания в советском уголовном процессе. Госюриздат, 1956, гл. 40; И. Н. Добровольская, Показания обвиняемого против других лиц в советском уголовном процессе. Ученые записки ВИЮН, вып. 1/V, 1957, гл. 96; А. И. Винберг, Г. М. Миньковский, Р. Д. Рахунов, Косвенные доказательства в советском уголовном процессе. Госюриздат, 1956, гл. 20; Б. С. Утевский, XX съезд КПСС и задачи науки уголовного права. «Социалистическая законность», 1956, № 9, гл. 10; В. Д. Арсеньев, Вопросы теории судебных доказательств в советском уголовном процессе. Труды Иркутского государственного университета, вып. III, 1957, гл. 81.

⁶ А. Р. Ратинов. Выявление причин преступности и предупреждение преступности. ВШ МООН СССР. Научно-исследовательский и редакционно-издательский отдел, М., 1967, гл. 153.

დადგენილებაში „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მიუთითა: „სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მკვლელობის საქმეებზე სერიოზული მნიშვნელობა აქვს სამართალში მიცემულის პიროვნების გარკვევას, რაც გულისხმობს არა მარტო ცნობებს მისი გვარის, სახელის, მამის სახელის და ასაკის შესახებ, არამედ ცნობებს მისი ოჯახური მდგომარეობის, მისი საქმიანობის, წარმოებასთან დამოკიდებულების, მისი ქცევის, მისი წარსულის შესახებ და სხვა მონაცემებს, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად ახასიათებენ სამართალში მიცემულს... ყველა ამ მონაცემის გამორკვევა აუცილებელია არა მარტო სამართალში მიცემულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისათვის და სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მისაღებად, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს დანაშაულის ვითარების და მისი ჩადენის მოტივების გახსნისათვის“ (ხაზგასმა ჩვენია — ი. უ.).⁷

ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების დამამტკიცებელ მნიშვნელობაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ საკითხს, აქვს თუ არა დამამტკიცებელი მნიშვნელობა ბრალდებულის წარსულში ნასამართლობას ანალოგიური ან სხვა სახის დანაშაულისათვის.

წარსულში ნასამართლობის ფაქტის დამამტკიცებელი მნიშვნელობა სხვადასხვა ასპექტში შეიძლება იქნას განხილული. მაგალითად, თუ ბრალდებული წარსულში გასამართლებული იყო სხეულის დაზიანებისათვის ან ძალადობასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულისათვის, ეს შეიძლება არაპირდაპირ მიუთითებდეს ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენის მოტივზე ან თუ, მაგალითად, საქმეზე დადგენილია, რომ ბრალდებულები წარსულში გასამართლებულები იყვნენ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის, ამ ფაქტით უარყოფილი იქნება მათი ყალბი მტკიცება, თითქოს ისინი არ იცნობენ ერთმანეთს. წარსულში ნასამართლობის ფაქტი ასევე შესაძლებელია არაპირდაპირ მიუთითებდეს ზოგიერთ იმ გარემოების არსებობაზე ან არარსებობაზე, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე.

ბრალდებულის წარსულში ნასამართლობის ფაქტი სხვადასხვა ვარიანტში გვხვდება:

1. ნასამართლობა განსხვავებული დანაშაულის ჩადენისათვის.
 2. ნასამართლობა ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის, როცა ეს დანაშაულებები არ არის ჩადენილი ტიპური და დამახასიათებელი ხერხით და არა გვაქვს ე. წ. ბრალდებულის „ხელწერა“ («подпись») მაგალითად, ბრალდებული წარსულში ორჯერ იყო გასამართლებული ბინის გაქურდვისათვის. ერთხელ არაკვალიფიციურ ქურდობისათვის, მეორედ ტექნიკური ხერხით ჩადენილი ქურდობისათვის.
 3. ნასამართლობა ანალოგიურ დანაშაულთა ჩადენისათვის, როცა ეს დანაშაულობანი ჩადენილია დამახასიათებელი ხერხით. მაგალითად, წარსულში ბრალდებული ორჯერ იყო გასამართლებული ყალბი ფულის დახატვისათვის.
- პირველ ორ შემთხვევაში ნასამართლობის ფაქტი არ შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ ინკრიმინირებული დანაშაულიც ბრალდებულის მიერ არის ჩადენილი, ვინაიდან არა გვაქვს იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ლაპარაკი დანაშაულის ჩადენის ხერხის ინ-

⁷ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1963 гг., М., 1964, гл. 274.

11804

დივიდუალურ ხასიათზე. რაც შეეხება ნასამართლობის მესამე ვარიანტს, იქ საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წარსულში დამახასიათებელი ხერხით ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის ფაქტს გარკვეული დამამტკიცებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც არაპირდაპირ დამამტკიცებელ ფაქტს.

მ. ს. სტროგოვიჩი კატეგორიულად უარყოფს აგრეთვე იმ ფაქტის დამამტკიცებელ მნიშვნელობასაც, როცა ბრალდებულს ადრეც აქვს ჩადენილი ანალოგიური დანაშაული მისთვის დამახასიათებელი ხერხით. ის აღნიშნავს ზოგიერთ ფაქტს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბრალდებულის ბრალეულობის არაპირდაპირ მტკიცებებს, მაგრამ რომლებიც ზოგჯერ მიჩნეულია ასეთ მტკიცებებად: ფაქტები, რომლებიც მოცემული საქმის ფაქტების ანალოგურია, მაგრამ მიზეზობრივად არ არიან დაკავშირებული მათთან (მაგალითად, არ წარმოადგენს არაპირდაპირ მტკიცებას ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეზე დანაშაულის ჩადენის ხერხი სხვა ანალოგიურ საქმეებზე დანაშაულის ჩადენის ხერხის მსგავსია (ხაზგასმა ჩვენია — ი. ყ.). დანაშაულის ჩადენის ხერხის მსგავსებას ანალოგიური დანაშაულის ჩადენის ხერხთან ზოგჯერ შეიძლება ჰქონდეს სამძებრო მნიშვნელობა, უბიძგებს რა გამომძიებელს წარმართოს გამოძიება განსაზღვრული მიმართულებით, აირჩიოს ესა თუ ის ვერსია. მაგრამ თავისთავად ამ მსგავსებას არავითარი დამამტკიცებელი მნიშვნელობა არა აქვს და არავის არაფერში ამხელს.⁸

დანაშაულის დამახასიათებელი ხერხით ჩადენის ფაქტის დამამტკიცებელი მნიშვნელობის ასეთი კატეგორიული უარყოფა არც თეორიულად და არც პრაქტიკულად გამართლებული არ არის.

გ. მ. მინკოვსკის აზრით პიროვნების უარყოფით მონაცემებს პირველ რიგში დამამძიებელი გარემოების მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ამ საერთო დებულებიდან იგი მართებულად უშვებს გამონაკლისს, როცა ზოგჯერ ასეთ მონაცემებს არაპირდაპირ მტკიცების მნიშვნელობას ანიჭებს. „...აღნიშნული.—წერს

გ. მ. მინკოვსკი, — არ ეხება იმ გარემოებებს, რომლებითაც დგინდება: პირის აქტიურობა ხელი შეუშალს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას (მოწმეთა დარიგება; დოკუმენტების გაყალბება) პირის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენა იმავე დამახასიათებელი ხერხით (ხაზგასმა ჩვენია — ი. ყ....). ამ გარემოებებს შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი მხილებათა მნიშვნელობა...“.⁹

მონოგრაფიაში „მტკიცებათა თეორია საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში ვკითხულობთ: „...თავისთავად ერთი და იმავე ხერხით ჩამდენივე დანაშაულის ჩადენა უშუალოდ არ ადგენს ამ დანაშაულთა ჩადენას ერთი და იმავე პირის მიერ. მაგრამ ეს შეიძლება ითქვას ყველა იმ ფაქტის მიმართ, რომელიც დადგენილია არაპირდაპირი მტკიცებით. ასეთი გულგება (განსაკუთრებით, როცა ლაპარაკია მოქმედებაზე, რომელიც ხასიათდება დანაშაულებრივი „ხელწერით“ და რომელიც ლოკალიზებულია განსაზღვრულ რაიონში) კანონზომიერად აღმოცენდება. ამიტომ განსახილველი ფაქტი წარმოადგენს შესაბამისი ვერსიის წამოყენების საფუძველს. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება პირი, რომლის მიერ ჩადენილია ერთ-ერთი აღნიშნული დანაშაული, მაშინ მონაცემები ამ და სხვა დანაშაულის ჩადენის ხერხის ერთგვაროვნების შესახებ

⁸ М. С. Строгович. Курс советского уголовного процесса, М., 1958, гл. 215.

⁹ См. Научно-практический комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР, М., 1963, гл. 154.

მამხილებელი არაპირდაპირი მტკიცება იქნება იმ ვერსიისა, რომ ყველა დანაშაული ჩადენილია მის მიერ. ამგვარი ვერსიის შემოწმება ან მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ იგი უსაფუძვლოა (არ არის დამტკიცებული) ან საშუალებას მოგვცემს მივაწეროთ ბრალდებულს მისი დანაშაულებრივი საქმიანობის სხვა ეპიზოდები, ამასთან მონაცემები **დანაშაულის ჩადენის ხერხის ერთგვაროვნების შესახებ** ან ჩადენილ დანაშაულებათა სხვა გარემოებანი დაიკავებენ თავის ადგილს ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებათა სისტემაში¹⁰.


ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა ტ. ი.-ს ბრალდების საქმე, რომელიც იმხილებოდა ბინის ქურდობაში. საქმეში არსებული ცნობის მიხედვით ტ. ი.-ი სამჯერ იყო გასამართლებული ქურდობისათვის. საქმეს არ ერთვოდა სახალხო სასამართლოს განაჩენები, რომლებითაც ტ. ი.-ი ადრე იყო გასამართლებული და არ იყო გამორკვეული, თუ რა ხერხით სჩადიოდა ის დანაშაულს წარსულში. სახალხო სასამართლომ ამ საკითხის გამორკვევას არსებითი ხასიათის მნიშვნელობა მიანიჭა და საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიებისათვის. სასამართლოს განჩინებაში სხვა საკითხებთან ერთად მითითებული იყო: „...წინასწარ გამოძიებამ არ გაითვალისწინა საქართველოს სსრ სსსკ 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა და ამომწურავად არ დაადგინა ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები, რომლებსაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა მტკიცებებთან ერთად შესაძლოა ჰქონდეს ტ. ი.-ს ბრალის დადგენისათვის არაპირდაპირი მტკიცების ძალა. საქმეზე დართულია ცნობა იმის შესახებ, რომ ტ. ი.-ი წინათ სამჯერ იყო გასამართლებული პირადი საკუთრების ქურდობისათვის. წინასწარი გამოძიება ვალდებული იყო უფრო დეტალურად გამოეკვლია ბრალდებულის უარყოფითად დამახასიათებელი ეს მონაცემები და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ამ ცნობის დართვით. საჭირო იყო განაჩენების ასლების გამოთხოვა ტ. ი.-ს წარსული სასამართლობის შესახებ, რადგან შესაძლებელია ტ. ი.-ი ქურდობას ეწევა ინდივიდუალური, მისთვის დამახასიათებელი ხერხით, რაც შეიძლება მის ბრალის მტკიცების ერთ-ერთი არაპირდაპირი მხლება გახდეს...“.

ჩვენ სრულიადაც არ ვამტკიცებთ, რომ ბრალდებულის წარსულში გასამართლება ანალოგიური დანაშაულისათვის დაადგენს ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენას მის მიერ. მოყვანილი მაგალითი ნათელყოფს, რომ დამატებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არა წარსულში სასამართლობის ფაქტს, არამედ იმ მონაცემებს, რომლებსაც შეიცავს ბრალდებულის მიმართ ძველ საქმეებზე გამოტანილი განაჩენები.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ ლაპარაკობენ განაჩენის, როგორც ნაწარმოები მტკიცების მნიშვნელობაზე. ამ მხრივ საგულისხმოა მ. გ. კორშინის, ა. მ. ლარინის და ს. ს. სტეპიჩევის მოსაზრება. განიხილავენ რა წარსულში ბრალდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის დამამტკიცებელ მნიშვნელობას, ავტორები მართებულად აღნიშნავენ, რომ განსახილველ საქმეზე დართული განაჩენების ასლების მნიშვნელობა იმით კი არ ამოიწურება, რომ ისინი ადასტურებენ ბრალდებულის წარსულში გასამართლების ფაქტს, არამედ განაჩე-

¹⁰ Теория доказательств в советском уголовном процессе. Часть Особенная, М., 1967, 33. 34.



ნის ამ ასლებს, როგორც დოკუმენტებს, შესაძლოა ნაწარმოები მტკიცების მნიშვნელობაც ჰქონდეს.¹¹

მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა განაჩენის ასლში არ არის ამომწურავი ცნობები ბრალდებულის პიროვნების შესახებ, სრულყოფილად არ არის აღწერილი დანაშაულებრივი ქმედობა, მისი ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, დანაშაულებრივი „სტილი“, „ხელწერა“ და სხვ. ასეთ დროს საჭიროა განსახილველ საქმეს დაერთოს არა განაჩენის ასლი, არამედ თვით ძველი საქმე ან პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული მიმოხილვა. სასამართლო საგამოძიებო პრაქტიკაში ზოგჯერ ადგილი აქვს შეცდომებსაც. არაპირდაპირ მტკიცებად გამოყენებულია ბრალდებულის წარსულში ანალოგიური დანაშაულისათვის გასამართლების ფაქტი, მაშინ როდესაც ბრალდებულის მოქმედების ხერხი არ ატარებს მყარ ინდივიდუალურ ხასიათს და არ არის მონაცემები, რომლებიც მოწმობდეს, რომ ბრალდებულის მოქმედების ხერხი განპირობებულია მისთვის დამახასიათებელი პროფესიული თუ დანაშაულებრივი ჩვევებით.

როცა ლაპარაკია ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების დამამტკიცებელ მნიშვნელობაზე, დგება საკითხი, დამყარებულია თუ არა ეს მოვლენათა ობიექტურ კავშირზე და მათი არაპირდაპირ მტკიცებად გამოყენება ხომ არ ატარებს სუბიექტურ ხასიათს, ემსახურება თუ არა მათი არაპირდაპირ მტკიცებად გამოყენება საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. თუ კი დაფუძნებულია მოვლენათა ობიექტურ კავშირზე, მაშინ, როგორცაა ხასიათი იმ კავშირისა, რომელიც არსებობს პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებსა, როგორც დამამტკიცებელ ფაქტებსა, და მტკიცების საგანს შორის.

ამ საკითხზეც იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი შეხედულება. ზოგი თვლის, რომ ამგვარი ფაქტები მტკიცების საგნის გარემოებებთან და ურთიერთ შორის შეიძლება იყვნენ მხოლოდ მიზეზობრივ კავშირში. მათი აზრით მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის არსებობისას შეიძლება ლაპარაკი ამ ფაქტების დამამტკიცებელ მნიშვნელობაზე. ამ შეხედულებას თანმიმდევრულად გამოხატავს მ. ს. სტროგოვიჩი, რომელიც წერს: „...მართლაც და თუ პირმა წარსულში ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, ან დანაშაულის ჩადენის ხერხი ძალიან ჰგავს მეტიც ასლოს იყო დანაშაულის ჩადენის ადგილთან, არის გახრწნილი ადამიანი, ანტისაზოგადობრივი ელემენტი,—ეს და სხვა მრავალი გარემოებანი შეიძლება საფუძველი გახდეს იმისა, რომ გამოძიებამ შეამოწმოს გარემოებანი, რომლებიც ეხება ამ პირს და გამოარკვიოს, ხომ არ არის მხილებები მის წინააღმდეგ. მაგრამ თვითონ ეს ფაქტები მტკიცებას არ წარმოადგენენ, რადგან ისინი არავითარ მიზეზობრივ კავშირში არ არიან დანაშაულის ფაქტთან (ხაზგასმა ჩვენია—ი. ე.).“¹²

ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული მ. მ. გროძინსკის.¹³ თუ გავიზიარებთ ამ ავტორთა მოსაზრებას და ჩავთვლით, რომ მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ზემო-

11 М. Г. Коршик, А. М. Ларин, С. С. Степичев, Доказательственное значение данных, характеризующих личность обвиняемого. «Советское государство и право», 1961 № 6, 83-101.

12 М. С. Строгович. Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе. М., 1955, 83-378.

13 М. Гродзинский. Улики в советском уголовном процессе. М., 1944, 83-79.

მოხსენიებული ფაქტების დამამტკიცებელ მნიშვნელობაზე, მაშინ ცხადია, რომ არ შეიძლება პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებს მიეცეს დამამტკიცებელი ფაქტების მნიშვნელობა, რამდენადაც ჩადენილ დანაშაულთან ისინი მიზეზობრივ კავშირში არ არიან და არ წარმოადგენენ ჩადენილი დანაშაულის არც მიზეზს და არც შედეგს.

ჩვენ ვეთანხმებით საწინააღმდეგო მოსაზრებას ამ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები არ არის მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ დანაშაულთან, ისინი ამის გამო არ კარგავენ არაპირდაპირი მტკიცების მნიშვნელობას, რამდენადაც მხოლოდ მიზეზობრივი კავშირით არ ამოიწურება მოვლენათა საყოველთაო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. მართალია, მიზეზობრივი კავშირი, როგორც ობიექტური კავშირის ერთ-ერთი ფორმა საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ იგი არ არის ამ სახის კავშირის ერთადერთი ფორმა. ლაპარაკობდა რა მიზეზობრივ კავშირზე, როგორც ობიექტური კავშირის ერთ-ერთ ფორმაზე, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მიზეზობრიობა არის „...საყოველთაო კავშირის მხოლოდ მცირედი ნაწილაკი“¹⁴.


დამამტკიცებელი ფაქტების (ლიტერატურაში ასეთ ფაქტებს ზოგჯერ დამხმარე ფაქტებს უწოდებენ) და მტკიცების საგნის გარემოებების კავშირი, ისევე როგორც დამამტკიცებელ ფაქტებს შორის კავშირი უნდა აიხსნას მოვლენათა საყოველთაო კავშირით და ურთიერთდამოკიდებულებით ბუნებასა და საზოგადოებაში. დამამტკიცებელი ფაქტების კავშირი იმ გარემოებებთან, რომლებიც შეადგენენ მტკიცების საგანს, თავისი ფორმით სხვადასხვაგვარია. „...ეს შეიძლება იყოს მიზეზობრივ-შედეგობრივი, სივრცობრივ-დროული, შინაგანი და გარეგანი, უშუალო და შუალობითი. ამ ობიექტური კანონების არსებობით განისაზღვრება მათი დადგენის მნიშვნელობა. დამხმარე ფაქტების და მათ მტკიცების საგნის გარემოებებთან კავშირის ცოდნა საშუალებას იძლევა აღდგენილ იქნას ჩადენილი დანაშაულის სურათი“¹⁵.

როდესაც ვამბობთ, რომ პიროვნების დამახასიათებელ ისეთი მონაცემებს, როგორც არის ბრალდებულის პროფესიული და დანაშაულებრივი ჩვევები ან პიროვნების თვისებრივად დამახასიათებელი სხვა ნიშნები, რომლებიც ხშირად ვლინდება დანაშაულის ჩადენის ხერხის გამოიმუშავებაში, — აქვს დამამტკიცებელი ფაქტების მნიშვნელობა, იგულისხმება, რომ ამ ფაქტებსა და მტკიცების საგნის გარემოებებს შორის, ისევე როგორც თვით ამ ფაქტებს შორის, არსებობს ისეთი სახის ობიექტური კავშირი, როგორც არის პირობის და განპირობებულობის კავშირი.

როგორც აღნიშნავს ა. ა. ხმროვი, „ერთ მოვლენას ან ურთიერთმოქმედ მოვლენათა ჯგუფს შეუძლია გამოიწვიოს სხვა განსაზღვრული მოვლენა არა ყველგან და ყოველთვის, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირობების არსებობისას. არაპირდაპირ მტკიცების კავშირის ეს ფორმა — პირობის და განპირობებულობის კავშირი განსაკუთრებით გავრცელებულია და ბევრ საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს“¹⁶.

¹⁵ «Теория доказательств в советском уголовном процессе». Часть Общая. М., 1966, 83-233.

¹⁶ А. А. Хморов. Некоторые вопросы теории и практики применения косвенных доказательств в расследовании преступлений. «Советское государство и право», 1965, № 12, 83-95.



ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში, რომელმაც შეეხებოდა მ-ს შიგნით ყალბი ფულის დამზადებას, რასაც იგი მისთვის დამახასიათებელი ხერხით ანხორციელებდა, მისი პროფესიული და დანაშაულებრივი ჩვევები იყო ის აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც მ-ს არ შეეძლო ყალბი ფულის დამზადება და ინკრინინირებული დანაშაულის ჩადენა. სწორედ ამაში გამოიხატება ობიექტური კავშირის ის ფორმა, რასაც პირობის და განპირობებულის კავშირი ეწოდება და რაც საშუალებას იძლევა პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები განხილულ იქნას, როგორც მტკიცების საგანში შემავალი გარემოებათა დამამტკიცებელი ფაქტები, როგორც არაპირდაპირი მტკიცებანი.

ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები, როგორც დამამტკიცებელი ფაქტი, შეიძლება იყოს მტკიცების საგნის შემადგენელ გარემოებათა არაპირდაპირი მტკიცება მხოლოდ სხვა მტკიცებებთან ერთობლიობასა და კავშირში.

რამდენი სასამართლობაც უნდა ჰქონდეს ბრალდებულს წარსულში, თუნდაც იგი ყოველთვის სჩადიოდეს დანაშაულს დამახასიათებელი ხერხით, გვექნება მხოლოდ ერთი დამამტკიცებელი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ მას აქვს გარკვეული ცოდნა და ჩვევები. მარტო ამ ფაქტის საფუძველზე გამოძიება და სასამართლო არ გამოიტანს დასკვნას ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ. ვლადიმეროვმა პიროვნების დამახასიათებელი მონაცემებზე, როგორც არაპირდაპირი მხილებაზე, არ შეიძლება ერთხელ კიდევ ხაზი არ გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების სრულყოფილ და ამომწურავ შესწავლას მის ყველა ასპექტში. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო დამნაშავის მხილებას, არამედ იმ ღონისძიებათა სწორად დასახვასაც, რომლებიც უზრუნველყოფენ დამნაშავის შემდგომ აღზრდა-გამოსწორებას და დანაშაულის თავიდან აცილებას.

პირობითი მსჯავრის ახალი სახე

ო. კოლუაშვილი

1970 წლის 12 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯის და შრომითს საქმიანობაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმის შესახებ“. ეს კანონი პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის ახალი სახეა, მან დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში. მის მიღებას საფუძვლად დაედო ცნობილი დებულება — არ არსებობენ გამოუსწორებელი ადამიანები, რომ სოციალიზმის პირობებში, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, შრომის კალაპოტიდან ამოვარდნილი ყოველი პირი შეიძლება დაუბრუნდეს სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობას.

ახალი კანონი დიდ ამოცანებს სახავს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის, მთელი საზოგადოებრიობის წინაშე.

კანონით სასჯელისაგან გათავისუფლებული პირი სამუშაოზე მოწყობილ უნდა იქნას შეძლებისამებრ — სპეციალობის გათვალისწინებით.

ბრძანებულებით დაწესებული პირობითი მსჯავრი წარმოადგენს სასჯელის რეალური მოხდისაგან გათავისუფლების თავისებურ ფორმას.

თუმცა მას მთელი რიგი საერთო ნიშნები აქვს პირობითი მსჯავრის ინსტიტუტთან, მაგრამ მაინც განსხვავებული სახისა არის. განვიხილოთ ეს თავისებურებანი.

ცნობილია, რომ მოქმედი კანონმდებლობა პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას. როგორც საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლშია აღნიშნული, „თუ თავისუფლების აღკვეთის ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო, გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს და დამნაშავეს პიროვნებას, დარწმუნდება, რომ მიზანშეუწონელია დამნაშავემ მოიხადოს დანიშნული სასჯელი, მას შეუძლია დაადგინოს, რომ სასჯელი პირობით არ იქნეს გამოყენებული დამნაშავეს მიმართ, ამასთან განაჩენში აუცილებლად უნდა აღინიშნოს პირობითი მსჯავრის დადების მოტივები“.

პირობითი მსჯავრის ახალი სახის გამოყენება კი შეზღუდულია, მას აქვს გარკვეული ჩარჩოები, რომელსაც სასამართლო ვერ გასცილდება.

1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლში ჩამოთვლილია დანაშაულის სახეები, როცა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის პირობითი მისჯა შრომითს საქმიანობაში სავალდებულო ჩაბმით.

პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს სავალდებულო არ არის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადა დაემთხვეს დანიშნულ საგამოცდო ვადას, ახალი კანონით კი სასამართლოს მიერ



დადგენილი სასჯელისა და სავალდებულო შრომის ვადა ყოველთვის ერთმანეთს.

ახალი კანონი აწესებს საგამოცდო ვადას 1-დან 3 წლამდე, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში პირობითი მსჯავრის მაქსიმალური ვადა 5 წლამდეა.

პირობითი მსჯავრი შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ მაშინ, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ განზრახ დანაშაულს. თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯის დროს კი იგი შეიძლება გაუქმდეს არა მარტო ამ მოტივით, არამედ მაშინაც, თუ მსჯავრდებული თავს არიდებს მუშაობას, ან სისტემატურად და ზოროტად არღვევს შრომითს დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან მისთვის დადგენილ ცხოვრების წესებს.

თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯისა და მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმის დროს თუ პირმა თავისი სამაგალითო ქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა გამოსწორება, მასზე შეიძლება გავრცელდეს ვადამდე პირობით გათავისუფლება. ეს ხდება სამუშაო ადგილის, ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე საბჭოების სამეთვალყურეო კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი წარდგინებისა და სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

პირობითი მსჯავრის დროს კი სასამართლოს მიერ დადგენილი საგამოცდო ვადა მსჯავრდებულმა ბოლომდე უნდა მოიხადოს.

ახალი კანონი ითვალისწინებს პირის შრომაში სავალდებულო ჩაბმას. ამიტომ თავისუფლების პირობით აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ შეიძლება გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებიც ცნობილი არიან პირველ, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდებად, ორსულ ქალებზე, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ 2 წლამდე ასაკის ბავშვები, აგრეთვე ქალებზე 55 წლის ზემოთ და მამაკაცებზე 60 წლის ზემოთ.

პირობითი მსჯავრის დროს კი ასეთი შეზღუდვები არ არის დაშვებული, პირიქით ასეთი პირობები, შეიძლება იქცეს ისეთ ფაქტორებად, რომლებსაც სასამართლომ ანგარიში უნდა გაუწიოს და გაითვალისწინოს პირობითი მსჯავრის შეფარდებისას.

თავისუფლების პირობითი აღკვეთის დროს სასამართლოს შეუძლია სასჯელის დამატებითი ზომების დანიშვნაც. პირობითი მსჯავრის დადების დროს კი არ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი, გარდა ჯარიმისა.

თავისუფლების პირობითი აღკვეთა შეიძლება მიესაჯოს პირს, რომელსაც პირველად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. ამისგან განსხვავებით, პირობითი მსჯავრი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პირის მიმართ, რომელიც ადრე გასამართლებული იყო და მისჯილი ქონდა თავისუფლების აღკვეთა.

პირი, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების პირობით აღკვეთა, სარგებლობს სსრ კავშირის მოქალაქის ყველა უფლებით გარდა იმ შეზღუდვებისა, რასაც აწესებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულება (მუხ. 3).

ამ პირთა შეზღუდვები შემდეგში გამოიხატება: 1. ისინი ვალდებულნი არიან იმუშაონ მხოლოდ იქ, სადაც გაიგზავნენ, 2. მათ ეკრძალებათ ვადაზე ადრე დატოვონ ადმინისტრაციული რაიონის საზღვრები, შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოს სპეციალური ნებართვის გარეშე, 3. ისინი ვალდებულნი

არიან ყოველთვისად გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა ორგანოებში რეგისტრაციისათვის.

პირობითად მსჯავრდებულ პირისათვის კი ასეთ შეზღუდვებს კანონი არ ითვალისწინებს.

ბრძანებულებით ადმინისტრაციას ეკრძალება დაითხოვოს პირობით მსჯავრდებულ სამუშაოდან სასამართლოს განაჩენით დადგენილი ვადის განმავლობაში, ვარდა პირობით — ვადამდე განთავისუფლების, სხვა საწარმოში გადაყვანის ან დადგენილი წესით პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდად ცნობის შემთხვევაში.

მსჯავრდებულთა სხვა ადგილზე სამუშაოდ გადაყვანა შეიძლება განახორციელოს ადმინისტრაციამ მხოლოდ მეთვალყურეობის განმახორციელებელი შინაგან საქმეთა ორგანოსთან შეთანხმებით.

პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს სასამართლო გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს, დამნაშავეს პიროვნებას, აგრეთვე დამნაშავეს სამუშაო ადგილიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან კოლექტივების შუამდგომლობას შეუძლია პირს შეუფარდოს პირობითი მსჯავრი და იგი გადასცეს ორგანიზაციას ან კოლექტივს ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის.

სასამართლოს შეუძლია აგრეთვე პირი გადასცეს ორგანიზაციას ან კოლექტივს თავისი ინიციატივით შუამდგომლობათა აღძვრის გარეშე.

ახალი კანონი არ ითვალისწინებს ასეთ შუამდგომლობათა აღძვრას. სასამართლოს შეუძლია ყოველნაირი შუამდგომლობათა გარეშე მსჯავრდებულს მიუსაჯოს თავისუფლების პირობით აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

თავისუფლების პირობით აღკვეთისას მსჯავრდებულთა მეთვალყურეობა დავალბებული აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოებს.

ამისგან განსხვავებით, პირობითი მსჯავრის დროს მსჯავრდებულების აღრიცხვას, საერთო მეთვალყურეობას მათზე ახორციელებს განაჩენის გამომტანი სასამართლო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მშრომელთა კოლექტივი.

ახალი კანონის მეხუთე მუხლით პირს, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვს ამ ბრძანებულების საფუძველზე შრომაში სავალდებულო ჩაბმის ვადის გასვლის შემდეგ, ითვლება ნასამართლობის არ მქონე პირად, თუ ამ ვადის განმავლობაში ის არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

პირობითი მსჯავრის განსაზღვრაში კი ნასამართლობის შესახებ ლაპარაკი არ არის.

ასეთია ძირითადად ის თავისებურებანი, რაც განასხვავებს პირობით მსჯავრს თავისუფლების პირობით აღკვეთის ინსტიტუტისაგან.

ამ განსხვავების მიუხედავად, მათ მთელი რიგი საერთო ნიშნები აქვთ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მსგავსება მსჯავრდებულის უფლებრივ მდგომარეობასა და იმ შედეგებში, რომლებიც დგება პირობების შეუსრულებლობისათვის, რასაც უყენებს სასამართლო მსჯავრდებულს. სახელდობრ ორივე შემთხვევაში თუ მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ განზრახ დანაშაულს ან დაარღვევს შრომის დისციპლინას, სასამართლო დანიშნავს სასჯელს ახალი დანაშაულისათვის, მთლიანად ან ნაწილობრივ უმატებს რა მას პირობით გამოუყენებელ სასჯელს.

ორივე შემთხვევაში მთავარია, რომ მოხდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კოლექტივების მიზიდვა პირის აღსაზრდელად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის შემოქმედება და პროფილაქტიკურ

ლონისძიებათა გატარება გამოიხატება აღმზრდელობითი და პედაგოგიური ღონისძიებების ჩატარებაში. ორივე შემთხვევაში სასამართლო ისახავს ერთ ამოცანას — დამნაშავე პირის გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

როგორც პირობითი მსჯავრის დროს, აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავეს პიროვნებას. ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია, თუ რამდენად იმსახურებს მსჯავრდებული იმ ნდობას, რასაც მას სასამართლო უცხადებს. ამასთან, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ყურადღება ექცევა იმ გარემოებებს, რომლებშიც დანაშაულის ჩადენა მოხდა.

ცხადია ახალი კანონი უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება სავალდებულო არ არის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების „თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯისა და შრომითს საქმიანობაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმის შესახებ“ მიღებიდან საქმარისი დრო გავიდა. სასამართლო ორგანოებმა დაიწყეს მისი გამოყენება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სასამართლო ორგანოებმა ძირითადად სწორად გაიგეს ახალი კანონის შინაარსი.

კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1970 წლის 7 სექტემბერს განიხილა ნ. ყ-ს საქმე. მუშაობდა რა რესტორან „ივერიის“ ფილიალში მიმტანად, მან, 1970 წლის 14 მაისს მომხმარებელს 11 მან. და 44 კაპ. პროდუქტებში გადაახდევინა 15 მან. და 40 კაპ. ე. ი. 3 მან. და 52 კაპ. მეტი. სასამართლომ ყ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის პირველი ნაწილით (ზომა-წონაში მოტყუება) და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა — 1 წლის ვადით, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ მსჯავრდებული პირველად იყო სამართალში მიცემული, კმაყოფაზე ყავს 2 შვილი, ხასიათდება დადებითად, შრომისუნარიანია, გამოიყენა მის მიმართ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულება და თავისუფლების აღკვეთა 1 წლით შეუცვალა სავალდებულო შრომაში ჩაბმა იმავე ვადით და გააგზავნა სამუშაოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ მითითებულ ადგილას.

ღუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 5 აგვისტოს განაჩენით ტ. ნ-ს მიესაჯა საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლის პირველი ნაწილით ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ცვლილება შეიტანა სახალხო სასამართლოს განაჩენში და მსჯავრდებულს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა პირობითად და ამავე ვადით სამუშაოდ გაგზავნა შსს-ს მიერ მითითებულ ადგილზე.

ეს კანონი საბჭოთა დემოკრატიის, სოციალისტური ჰუმანურობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

მოქალაქეებისაგან საბანკო სესხის იძულებითი ამოღების წესი

დოკ. ნ. უნდავლია

საბანკო სესხის იძულებითი ამოღება მოქალაქეებისაგან ძირითადად ხდება სასამართლო წესით. სარჩელის ყველაზე გავრცელებული საფუძველი ამ დროს არის მსესხებლის მიერ ბანკისაგან ან სამეურნეო ორგანიზაციისაგან მიღებული სესხის არადანიშნულებისამებრ გამოყენება. სესხის მიზნობრივი გამოყენება სესხის ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი პუნქტია. ამიტომ მისი დარღვევა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას და საბანკო სესხის ვადაზე ადრე დაფარვას. სესხად მიღებული თანხა სასამართლო წესით უნდა გადახდეს მსესხებელს. ამასთან, ძირითად თანხასთან ერთად მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ამ თანხაზე დარიცხული წლიური სამი პროცენტი. სასესხო თანხას პროცენტები ერიცხება იმის გატანიდან დაფარვის ფაქტიურ დღემდე. სესხის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტი აუცილებელია დეტალურად იქნას შემოწმებული და სათანადო ასახვა ჰპოვოს გამსესხებლის მიერ ამის თაობაზე შედგენილ სპეციალურ აქტში. ეს აქტი საფუძვლად ედება მსესხებლისათვის ბანკისაგან მიღებული სესხის ვადაზე ადრე გადახდევინებას და მოქალაქეებსა და ბანკს შორის სესხის ხელშეკრულების შეწყვეტას.

სასამართლო წესით უნდა მოხდეს ვალის გადახდა აგრეთვე მაშინ, როცა ექვს თვეზე მეტი გადის და მსესხებელი არ იხდის მორიგ შესატანს. სესხის გადაუხდელობის ფაქტი საფუძვლად ედება საბანკო სესხის ხელშეკრულების შეწყვეტას. სასამართლო წესით ხდება ვალის გადახდა მაშინაც, როცა მენაშენე საბანკო სესხის დახმარებით აშენებულ სახლს ასხვისებს კანონიერი საფუძვლების არ არსებობის დროს გამსესხებლის ნებართვის გარეშე და როცა მემკვიდრე არ იხდის იმ საბანკო სესხს, რომელიც ვალად ედო სამკვიდროს დამტოვებელს.

სასამართლო წესით მსესხებლისათვის ვალის ვადაზე ადრე გადახდევინება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც გამოიტანება მოსარჩლის მიერ შეტანილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე. სასარჩელო განცხადებაში აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსესხებელმა გარკვეული მიზნით ბანკიდან ან სამეურნეო ორგანიზაციიდან მიიღო სესხი და გამსესხებლის სახელზე გაცემული ვალდებულებებით მას ყოველკვარტალურად უნდა გადაეხადა თანხა განსაზღვრული ოდენობით, რომ ამჯერად მსესხებელზე ირიცხება გარკვეული ოდენობის თანხა. სასარჩელო განცხადებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული თუ რა რაოდენობით უნდა გადაიხადოს მსესხებელმა საბანკო სესხი ვადაზე ადრე, რამდენია ამ თანხაზე დარიცხული პროცენტები და რას შეადგენს ის თანხა, რომელიც გადიდებული პროცენტის სახით ერიცხება მას, ვალის გადაცილებისათვის.

სასარჩელო მასალების გაფორმებისას მოსარჩლეები ხშირად უშვებენ სხვადასხვაგვარ შეცდომებს, რომლებიც არ სწორდება სასამართლოების მი-

ერაც. ხშირად მოსარჩლე სასამართლოს თხოვს გადახდევინოს მოპასუხეს მხოლოდ ვადაგადაცილებული თანხა ან სესხის ის ნაწილი, რომელიც ირიცხება მოპასუხის სახელზე. მოსარჩლეები მსესხებლის მიერ სესხის არადანიშნულები სამებრ გამოყენების დროს არ ითხოვენ მთლიანად სასესხო თანხის გადახდევინებას და კმაყოფილებიან მარტოდენ არადანიშნულებისამებრ გამოყენებული თანხის გადახდევინების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ფაქტიურად არ წყდება, მოპასუხემ კვლავ უნდა შეასრულოს თავისი ძირითადი ვალეობა — გადაიხადოს სასესხო თანხის ძირითადი ნაწილი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არასწორია. მოსარჩლემ უნდა მოითხოვოს არა მარტო ვადაგადაცილებული ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის გადახდევინება, არამედ მთელი სასესხო ვალის გადახდევინება და ხელშეკრულების შეწყვეტა. მოსარჩლეთა ეს შეცდომა სასამართლომ უნდა გამოასწოროს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მოსარჩლე სასამართლოს თხოვს მოპასუხეს ვადაზე ადრე გადახდევინოს ვალი, სესხის არადანიშნულებისამებრ გამოყენების საბაბით, მაშინ როდესაც არ არის აქტი, რომელიც სესხის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას დაადსტურებდა. სასამართლომ მოსარჩლეს უნდა მოსთხოვოს ასეთი აქტის წარდგენა და შემდეგ მიიღოს საქმე წარმოებაში.

ამ საქმეთა სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულ შეცდომას წარმოადგენს პროცენტების არასწორად გადახდევინება. ხშირად სასამართლოები მოპასუხეს ავალბენ მხოლოდ სესხის გადახდას, ხოლო მასზე დარიცხულ პროცენტებზე არ უთითებენ. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ზუგდიდის აგურკრამიტის ქარხნის სარჩელი და მოპასუხე ი. ქარჩავას გადახდევინა ვადაგადაცილებული თანხა, რაც შეადგენდა 108 მანეთს. ამ თანხაზე დარიცხული პროცენტების შესახებ კი სასამართლომ გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი.¹ სასამართლოს გადაწყვეტილებით ი. ქარჩავას უნდა დაკისრებოდა არა მარტო ძირითადი თანხის, არამედ მასზე დარიცხული პროცენტების გადახდევინებაც. ასეთ შეცდომებს სასამართლოები ხშირად უშვებენ. ზოგჯერ სასამართლოები მოპასუხეს ავალბენ იმ პროცენტების გადახდას, რომელიც ერიცხება ვადაგადაცილებულ თანხებს, ვადის გადაცილების დღიდან სარჩელის შეტანის მომენტამდე, ან კიდევ როცა ძირითად თანხას პროცენტები ერიცხება ვადის გადაცილების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დღემდე. 1958 წლის აპრილში ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის მოქ. ნ. კვირიკაძემ სახბანკის სამტრედიის განყოფილებისაგან მიიღო სესხად 700 მანეთი. მისი დაფარვა უნდა მომხდარიყო 7 წლის ვადაში. ნ. კვირიკაძე გარდაიცვალა 1962 წელს. საბანკო სესხიდან მას დაუფარავი დარჩა 283 მანეთი. სახბანკის სამტრედიის განყოფილებამ სახალხო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ნ. კვირიკაძის მემკვიდრეს (დას) გადაეხადა დარჩენილი ვალი. მოსარჩლე მოითხოვდა მოპასუხეს გადაეხადა სასესხო თანხა 283 მანეთი და სასარჩელო განცხადების შედგენის დღემდე (1966 წლის 29 ნოემბერი) დარიცხული პროცენტები — 25 მანეთი და 30 კაპ. სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ბანკის სარჩელი და დაავალა თ. კვირიკაძეს 283 მანეთის გადახდა.²

1 საქმე № 2—529, 1964 წ. ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

2 საქმე № 2—374, 1966 წ. სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

სასამართლომ მოპასუხეს არ დააკისრა სასესხო თანხაზე დარიცხული პროცენტების გადახდევინება. ამის გარდა სასამართლოს თ. კვირიკაძესათვის, რომ დაევალებინა კიდევ პროცენტების სახით დარიცხული თანხის გადახდევინება, იგი მაინც არასწორი იქნებოდა, რადგან პროცენტები დარიცხული იყო ვადის გადაცილებიდან სარჩელის შედგენის დღემდე, მაშინ, როდესაც დარიცხვა უნდა მოხდეს ვალის ფაქტიურად გადახდის დღემდე.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ უნდა აღინიშნოს პროცენტის სახით დარიცხული თანხა, რომელიც მოპასუხემ უნდა გადაიხადოს. ეს თანხა უნდა იანგარიშონ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების მომენტისათვის. სხვანაირად შეიძლება მოპასუხეს არასრულად გადახდეს დარიცხული პროცენტები, რაც უსაფუძვლოდ ზარალს მიაყენებს გამსესხებელს. ამიტომ მიზანშეწონილია სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების რეალიზაციის დროს სასამართლო აღმასრულებლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს ბანკის მუშაკმაც. ეს ხელს შეუწყობს გამსესხებლის ინტერესების სრულად უზრუნველყოფას.

სასამართლო წესით სასესხო ვალის გადახდევინების პრაქტიკაში დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სასამართლო კმაყოფილება გადაწყვეტილების გამოტანით და არ ზრუნავს ამ გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის. სასამართლოს აღმასრულებლები კი მოპასუხეებს საბანკო სესხს ახდევინებენ არა ერთდროულად, არამედ პერიოდულად, ისე როგორც გათვალისწინებულია იგი ხელშეკრულებით. ეს პრაქტიკა არასწორია, რადგან ასეთ დროს საბანკო სესხის ხელშეკრულება შეწყვეტილია და სესხი ერთდროულად უნდა დაიფაროს.

სესხის იძულებითი გადახდევინების დროს გამსესხებელს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის დაგირავებულ ქონებაზე და დაკმაყოფილება მიიღოს სხვა კრედიტორებთან უპირატესად. დაგირავებული ქონება სასამართლოს აღმასრულებლის მიერ გაიყიდება საჯაროდ და მიღებული თანხა შეიტანება საბანკო სესხის დასაფარავად. თუ საჯაროდ გაყიდული ქონების თანხა აღემატება ვალს, მაშინ არსებული სხვაობა უზრუნდება მოპასუხეს. გადახდევინების მიჭვევა შეიძლება არა მარტო დაგირავებულ ქონებაზე, არამედ აგრეთვე მსესხებლის სხვა ქონებაზეც. ეს მაშინ, როცა დაგირავებული ქონება მარტო ვერ უზრუნველყოფს ვალის დაფარვას. გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნას მსესხებლის ანაბარზე და პენსიაზეც კი. იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილება. დაგირავებული ქონების გარდა, სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევისას გამსესხებელი არ სარგებლობს სხვა კრედიტორებს შორის რაიმე უპირატესობით. მისი მოთხოვნა დაკმაყოფილება საერთო საფუძველზე.

ვალის სასამართლო წესით გადახდევინების გარდა არსებობს აგრეთვე იძულებით გადახდევინება სააღსრულებო წარწერის გაცემის გზით. მოქალაქეთა დაკრედიტების წესებში მითითებულია, რომ მსესხებლის მიერ კვარტალური თანხის ვადაგადაცილებისას ბანკი ან სამეურნეო ორგანიზაცია იძულებითი წესით გადახდევინებს მას ამ თანხას სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერის მეშვეობით. ამრიგად სააღსრულებო წარწერით გადახდევინება ხდება არა იმ გადასახდელისა, რომლის გადახდის ვადა ექვს თვეზე მეტია გადაცილებული, არამედ მხოლოდ კვარტალური ვადის გადაცილების შემთხვევაში. სასამართლო წესით გადახდევინებისაგან განსხვავებით ამ დროს გამსესხებელსა და მოქალაქეებს შორის სასესხო ურთიერთობა არ წყდება. იგი გრძელდება ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ამიტომ იძულებითი გადახდევინება სააღ-

სრულეზო წარწერის მეშვეობით არ შეიძლება ჩაითვალოს მოქალაქესა და გამსესხებელს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობად. იგი არის ხელშეკრულების შესრულების პროცესში დამგებული შეცდომის, რაც ძირითადად მორიგი გადასახადის დადგენილ ვადაში შეუტანლობის სახით გამოვლინდება, გამოსწორების საშუალება, გამსესხებლის კანონიერი ინტერესების სასამართლოს გარეშე დაცვის საშუალება.

სააღსრულებო წარწერით ნოტარიუსი მსესხებელს აიძულებს გააკეთოს ის, რაც მას ევალეზობდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე და ნებაყოფლობით არ გააკეთა. სააღსრულებო წარწერის მეშვეობით სახსრების იძულებითი გადახდევინების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები.

სააღსრულებო წარწერა ერთდროულად არის აღსრულების საფუძველიც და სააღსრულებო საბუთიც.

სააღსრულებო წარწერის გაცემამდე ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს საბუთები, რომლებიც წარდგენილია ბანკის ან ორგანიზაციის მიერ და როცა დარწმუნდება, რომ არის საფუძველი მსესხებლისათვის მორიგი გადასახდელის იძულებითი წესით გადახდევინებისათვის, გასცემს ასეთ წარწერას. სააღსრულებო წარწერის გაცემის მომენტში არ არის სავალდებულო მსესხებლის გამომახება. ნოტარიუსს შეუძლია გააკეთოს ეს მსესხებლისათვის შეტყობინების გარეშე. ასეთი წესი ამარტივებს გამსესხებლის უფლებების რეალიზაციას. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სააღსრულებო წარწერის გაცემით ხდება მხოლოდ გამსესხებლის კანონიერი ინტერესების დაცვა და მსესხებლის ინტერესების შეზღუდვა. თუ მსესხებელი არ არის თანახმა ნოტარიუსის განკარგულებისა, მას შეუძლია სადავო გახადოს სააღსრულებო წარწერა. მსესხებლის თხოვნით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს სააღსრულებო წარწერის საფუძველზე მიქცეული გადახდევინება. სააღსრულებო წარწერის საფუძველიანობის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციაში შედის.

სააღსრულებო წარწერას ძალა აქვს გაცემის მომენტიდან. გამსესხებელს იგი შეიძლება მიეცეს მხოლოდ ისეთ მოთხოვნებზე, რომლის ვადა უკვე დადგა. გამსესხებელს არ შეუძლია ამ საბუთით მსესხებელს ვადაზე ადრე გადახდევინოს სასესხო ვალი, ისე როგორც სასამართლოს წესით გადახდევინების დროს ხდება.

საერთო წესით სააღსრულებო წარწერის გაცემისას, მისი მიმღები იხდის სახელმწიფო ბაჟს გადასახადი თანხის ერთი პროცენტის ოდენობით. ეს წესი არ ვრცელდება ბანკზე. მის ნაცვლად სახელმწიფო ბაჟს იხდის თვით მსესხებელი. ბანკს ან სამეურნეო ორგანიზაციას უფლება აქვს ყველა პირობებში მიმართოს სანოტარო ორგანოებს სააღსრულებო წარწერისათვის და ყოველგვარი შეზღუდვა ამგვარი მიმართვის უფლებისა უნდა კანონსაწინააღმდეგოდ ჩაითვალოს.

სანოტარო კანტორა ზოგჯერ კანონიერი საფუძველით უარს ამბობს სააღსრულებო წარწერის გაცემაზე. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად, იმ ვადის გავება, რომელიც საჭიროა ამ საბუთის მისაღებად. ამ შემთხვევაში გამსესხებელს უფლება აქვს ვადაგაცილებული სახსრების გადახდევინება მოითხოვოს სასამართლოს წესით. როცა სასამართლო წესით ხდება ვადაგადაცილებული თანხების გადახდევინება, სახელშეკრულებო ურთიერთობა მოქალაქეებსა და გამსესხებელს შორის არ წყდება. აქ სახეზე გვაქვს ვადაგადაცილებუ-

ლი კვარტალური თანხის იძულებითი გადახდევინების ერთი მეთოდის მეორეთი შეცვლა. შეიძლება თუ არა მათი გაიგივება? რა თქმა უნდა არა!

პირველ შემთხვევაში სახეზეა კვარტალური თანხის გადაგადაცილება ექვს თვეზე ნაკლები დროით. ამიტომ მიზანშეწონილია და უფრო მოსახერხებელიც სააღსრულებო წარწერით იძულებით გადახდევინება, ვინაიდან მხარეებს შორის მოთხოვნის თაობაზე დავა არ არსებობს. გამსესხებელი თავის მოთხოვნას საფუძვლად უდებს თავისი კონტრაგენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების აუცილებლობას. აქ საკითხი ისმება მხოლოდ იმ სახსრების გადახდევინებაზე, რომელიც თავის დროზე ვერ შეიტანა მსესხებელმა. ასეთი მოთხოვნის სასამართლო წესით გადაწყვეტა გამოიწვევდა საქმის გართულებას, სასამართლო პროცესის ჩატარებას და სხვ. სანოტარო ორგანოების მიერ სააღსრულებო წარწერის გაცემის გზით კი უფრო ოპერატიულად შეიძლება მოხდეს გამსესხებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როცა სანოტარო ორგანო უარს ამბობს გაცეცხ სააღსრულებო წარწერა შეიძლება სასამართლო წესით მოხდეს ამ საკითხის გადაწყვეტა.

მეორე შემთხვევაში კი როცა საქმე გვაქვს გადასახდელის ექვს თვეზე მეტი ვადით გადაცილებასთან, საკითხი ეხება არა მარტო გადაგადაცილებული თანხის გადახდევინებას, არამედ თვით სასესხო ხელშეკრულების შეწყვეტას და იმ სახსრების გადახდევინებასაც, რომლის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას შეიძლება წამოიჭრას დავაც. ამიტომ ეს დავა აუცილებლად უნდა გადაწყდეს სასამართლო წესით.

ამრიგად, ვალის იძულებითი გადახდევინების ორი მეთოდის—სასამართლო წესით და სააღსრულებო წარწერის გაცემის გზით — გაიგივება არასწორია. მათი გამოყენება ხდება სხვადასხვა შემთხვევებში.

წინასწარ გამოძიებაში სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების ზომიერითი საკითხი

მ. კომახიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

გ.ეპთიმიოვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საბუღალტრო ექსპერტიზის

ბიუროს უფროსის მოადგილე

სოციალისტური საკუთრების გატაცების, თანამდებობრივ და სამეურ-
ნეო საქმეთა სრულყოფილად გამოძიებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სა-
სამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დროულად და ხარისხიანად ჩატა-
რებას.

ჩვენს რესპუბლიკაში საბუღალტრო ექსპერტიზა დავალებული აქვს სა-
ქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საბუღალტრო ექსპე-
რტიზის ბიუროს და მის ფილიალებს — აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის
ასს რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ამ დაწესებუ-
ლებებში სამოცდაათამდე ბუღალტერ-ექსპერტი მუშაობს.

1969 წელს ჩატარებული საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნების ანალი-
ზი გვაჩვენებს, რომ საგამომძიებლო ორგანოებში წარდგენილი სარევიზიო აქ-
ტები ზუსტი და სრულყოფილი არ არის. 1969 წელს 136 საქმეზე ჩატარებუ-
ლი საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნით, რევიზიით დადგენილი ზარალი
შეცვლელად დადასტურდა მხოლოდ 34 საქმეზე, 27 საქმეზე ზარალი შემცირ-
და 214.695 მანეთით, ხოლო 75 საქმეზე ზარალი გაიზარდა 461.698 მანეთით.

სარევიზიო მასალებით გამოვლინებული დანაკლისების გაზრდა უმთავრე-
სად გამოწვეულია იმით, რომ სარევიზიო საკონტროლო აპარატის მუშაკები
ყოველთვის არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას ფასეულო-
ბათა დანაკლისით და გაფლანგვა-გატაცებით გამოწვეული ზიანის გამოანგა-
რიშების შესახებ.

ზემდგომი ორგანოს დადგენილებით სასურსათო და სამრეწველო საქონ-
ლის დანაკლისი და გატაცებით მიყენებული ზარალი უნდა განისაზღვროს სა-
ხელმწიფო საცალო ფასებით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 24 ივნისის
დადგენილების შესაბამისად, როცა გატაცებულ საქონელს არა აქვს საცალო
ფასი, ასეთი უნდა განისაზღვროს ანალოგიური საქონლის ფასის მიხედვით.
ამასთან საგამომძიებლო ორგანოებმა სარევიზიო საკონტროლო აპარატის მუ-
შაკებს უნდა მოსთხოვონ, რომ გამოვლინებული დანაკლისი ყველა შემთხვე-
ვაში გამოიანგარიშონ საცალო სარეალიზაციო ფასებში.

სასამართლო საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნასა და ჩატარებაში
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ ექსპერტს საჭირო მასალებთან ერ-
თად უდგენენ ბევრ სხვა მასალას, რომელიც არ სჭირდება მას, ეს კი იწვევს სა-
ხელმწიფო თანხების გაუმართლებელ ხარჯვას და ექსპერტიზის გაჭიანურებას.

მოქმედი კანონმდებლობით ექსპერტიზის დამნიშნავმა პირმა გულდასმით უნდა შეარჩიოს ექსპერტისათვის საჭირო მასალები და წარუდგინოს მას მხოლოდ ის, რაც საჭიროა სრულყოფილი და ობიექტური დასკვნისათვის. ხშირად კი ექსპერტ-ბუღალტრებს წარუდგინებთ სისხლის სამართლის საქმის მრავალი ტომი და არა მარტო საქმის ყველა ტომი, არამედ დაწესებულებების საბუღალტრო საბუთების ტომებიც კი. ასე, მაგალითად: მარნეულის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა სელიმოვმა 1970 წლის 16 სექტემბრის დადგენილებით დანიშნა განმეორებითი ექსპერტიზა ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი მუშაკების სისხლის სამართლის საქმეზე. დადგენილებაში დასმულია მხოლოდ ერთი საკითხი: „სწორია თუ არა რევიზიის დასკვნა, რომ განყოფილების ბუღალტრებს უკანონოდ აქვთ მიღებული 4226 მანეთი და 90 კაპ. და ვინ არის ამაზე მატერიალური პასუხისმგებელი“ (დადგენილების სტილი აქაც და ქვევითაც დაცულია მ. კ., გ. ე.). დადგენილებით ექსპერტიზას წარუდგინა სისხლის სამართლის საქმე და ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობის საბუღალტრო საბუთები. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, გამომძიებელს ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობიდან უნდა ამოეღო საჭირო საბუთები და ჩაეკრებინა საქმეში, ხოლო დადგენილებაში კონკრეტულად ჩამოეთვალა, თუ რა საბუთებს უდგენს ექსპერტიზას.

საქართველოს სსრ სსკ-84 მუხლი ადგენს, „თუ გამომძიებელმა საჭიროდ ცნო ექსპერტიზა, იგი შეადგენს ამის შესახებ დადგენილებას, რომელშიც აღნიშნავს ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველს, ექსპერტს ან იმ დაწესებულებების სახელწოდებას, სადაც ექსპერტიზა ჩატარდება, კითხვებს, რომელთა შესახებაც მიცემულ უნდა იქნას დასკვნა, და გამოსაკვლევად გადასაგზავნი საგნებისა და დოკუმენტების ნუსხას“.

ზოგიერთი გამომძიებელი კი კანონის ამ მოთხოვნას არ ასრულებს.

საქმის სირთულის გამო ზოგჯერ გამომძიებელს უძნელდება განსაზღვროს, თუ რა მასალებია საჭირო საბუღალტრო ექსპერტიზის ჩასატარებლად. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, კარგი იქნება ექსპერტიზის დანიშვნამდე გამომძიებელმა კონსულტაცია მიიღოს ექსპერტ ბუღალტრისაგან.

თუ რა დოკუმენტები უნდა წარუდგინოს გამომძიებელმა ექსპერტ-ბუღალტერს, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე, მაგრამ დაახლოებით შეიძლება განისაზღვროს ყველაზე უფრო საჭირო დოკუმენტების სია რამდენიმე კატეგორიის საქმეზე.

როდესაც საჭიროა ექსპერტ-ბუღალტერმა დაადგინოს სავაჭრო ორგანიზაციებში საქონლის დანაკლისი ან ზედმეტობა, უდოკუმენტო საქონლის შეტანა, საქონელზე ფასების წამატება და სხვა, გამომძიებელმა ექსპერტ-ბუღალტერს უნდა წარუდგინოს შემდეგი მასალა: 1. რევიზიის აქტი ან ინვენტარ-ზაციის შედეგები მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ახსნა-განმარტებით; 2. მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან დადებული ზღვშეკრულებები; 3. ბრძანების ამონაწერები მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა დანიშვნის შესახებ; 4. სასაქონლო ანგარიშები და მათზე დართული შემოსავალ-გასავლის საბუთები; 5. საქონლის და ტარის აღწერის სიები მოცემული პერიოდის დასაწყისის და შემდეგი პერიოდისათვის.

თუ ექსპერტ-ბუღალტერმა უნდა დაადგინოს, სწორად არის თუ არა განსაზღვრული სალაროში დანაკლისი, გამომძიებელმა ექსპერტს უნდა წარუდგინოს:

1. რევიზიის აქტი ან სალაროს შემოწმების აქტი და მოლარის ახსნა-განმარტება; 2. მოლარესთან მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ დადებული ხელშეკრულება; 3. შესამოწმებელი პერიოდის სალაროს დღიურები და მასზე დაკრული შემოსავალ-გასავალის საბუთები; 4. სალაროს წიგნი და სხვა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიურო ვალშია სასამართლო და საგამომიებო ორგანოების წინაშე, რადგან დღემდე მას არ მოუშაადებია იმ დოკუმენტების სანიმუშო სიები, რომლებიც უნდა წარედგინოს ექსპერტ-ბუღალტრებს. ასეთი სიები კი დიდ დაზარებას გაუწევდნენ გამომძიებლებს ექსპერტიზისათვის საჭირო დოკუმენტების თავის დროზე შეგროვების საქმეში.

სასამართლო საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების საჭიროების საკითხის სწორად გადაწყვეტას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროა განვიხილოთ, რა შემთხვევაშია აუცილებელი სასამართლო საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარება. ექსპერტიზა აუცილებელია, როდესაც: 1. რევიზიის მონაცემები ეწინააღმდეგება საქმის სხვა მასალებს; 2. არის რევიზიის რამდენიმე აქტი და მათი შედეგები ეწინააღმდეგება ერთიმეორეს; 3. საქმეშია დოკუმენტები, რაც არ განუხილავს რევიზიას, ან არ მიიღო სხვადასხვა მიზეზით, ხოლო მატერიალურად პასუხისმგებელი პირი მოითხოვს ამ დოკუმენტებით ფასეულობის ან ფულადი თანხების ჩამოწრას; 4. არის წინააღმდეგობა პირველად და განმეორებით ჩატარებულ ექსპერტიზებს შორის; 5. საეჭვოა რევიზორის მიერ გამოყვანილი შედეგები, ან ამ შედეგების განსაზღვრის მეთოდი; 6. სხვა სპეციალობის ექსპერტიზის დასკვნა მოითხოვს საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარებას.

ზოგჯერ სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზას ნიშნავენ მაშინ, როდესაც იმ საკითხების გადაწყვეტა, რაც ექსპერტიზის წინაშეა დასმული, შეიძლება უფრო მოკლე დროში დადგინდეს სხვა საგამომიებლო მოქმედებით. ეს კი იწვევს საქმის გაჭიანურებას და სახელმწიფო თანხების უსარგებლო ხარჯვას. მაგალითად: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომიებლო სამმართველოს გორის საგამომიებლო ჯგუფის გამომძიებელმა კიკნაძემ 1970 წლის 29 მარტის დადგენილებით სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა დანიშნა იმის გამო, რომ რევიზია ჩატარებული იყო მატერიალურად პასუხისმგებელი პირის დაუსწრებლად და იგი არ ეთანხმებოდა აქტს.

გამომძიებელმა ექსპერტს გადასაწყვეტად დაუსვა ერთი საკითხი: «რას შეადგენს ნიკოლოზ ალექსის-ძე ნოზაძეზე რიცხული მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი?»

ამ საკითხის გადამოწმება კი უმჯობესი იყო რევიზორისათვის დაევალებინათ.

აპნინის რაიონის სახალხო მოსამართლემ კაკაურიძემ 1970 წლის 17-18 თებერვალის განჩინებით დაადგინა: „საქმე წარმოებით შეჩერდეს, ჩატარდეს ბუღალტრული ექსპერტიზა, რომელმაც მოგვცეს დასკვნა, რომ ზედმეტობა 50 ნახევარ ლიტრა არაყი, რომელიც აღმოჩნდა გადაბარების დროს ერთი მხრივ ავჯოიანის და ვაბოიანის, ხოლო მეორეს მხრივ მინასიანისა და მნაცაკანიანის შორის შედის თუ არა 95 ნახევარ ლიტრის არაყში, რომელიც აღმოჩნდა იარლიყის გარეშე მინასიანთან და მნაცაკანიანთან. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს ექსპერტთა ბიუროს წევრს“.

ხობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ნადარაიამ 1969 წ. 24 ნოემბრის დადგენილებაში გადასაწყვეტად დააყენა კითხვები: „1. რატომ არ შევი-

და 4338 მანეთი სალაროში? 2. რა უკანონო ოპერაციებია შესრულებული აღნიშნული თანხის მითვისებისათვის? 3. რა თანხითაა შევსებული გამოწერის თანხა 4338 მანეთი რომელ ანგარიშიდან და რამდენად სწორია ეს ოპერაცია“?

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს ამიერკავკასიის რკინიგზის ქვეგანყოფილების გამომძიებელმა დანელიამ საბუღალტრო ექსპერტიზა დანიშნა შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად: „ვის უნდა დაეწეროს გადასახდელად სადგურ ბორჯომის № 28 სასადილოში გამოვლინებული დანაკლისი 271 მანეთი და 37 კაპიკი“.

2. ვინ უნდა გადაიხადოს ახალციხის სადგურის № 32 სასადილოში გამოვლინებული დანაკლისი 400 მანეთი და ვის დაეკისრება აღნიშნულ დანაკლისებზე პატერიალური პასუხისმგებლობა“?

საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ 1965 წლის 29 ნოემბერს დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად კი საბუღალტრო ექსპერტიზის საგანს შეადგენს შემდეგი საკითხები: 1. სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დანაკლისის (ზედმეტობის), აგრეთვე სხვა სახის მატერიალური ზარალის არსებობისა და ოდენობის შემოწმება და განსაზღვრა; 2. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრების ფონდების ხარჯვის და საფინანსო სამეურნეო დისციპლინის დაცვის დასაბუთებულობის შემოწმება და განსაზღვრა; 3. მატერიალური ზარალის წარმოშობის წყაროებისა და მიზეზების დოკუმენტური დასაბუთებულობის განსაზღვრა; 4. დოკუმენტების გაფორმების და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში სწორად გამოსახვის შემოწმება; 5. ბუღალტრული ბალანსის და ანგარიშგების, ბალანსის ცალკე ანგარიშების და ამა თუ იმ საბალანსო ანგარიშის ცალკე მუხლების, აგრეთვე ცალკეულ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების ანალიზი; 6. ბუღალტრული აღრიცხვის, კონტროლისა და ანგარიშგების ორგანიზაციისა და მდგომარეობის დახასიათება; 7. ბუღალტრული აღრიცხვის, კონტროლისა და ანგარიშგების დარღვევების იმ ფაქტების დადგენა, რაც ხელს უწყობდა ზარალის წარმოშობას; 8. ანგარიშსწორების სისწორის შემოწმება დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ქონებრივ (სასარჩელო და სახელმეკრულებო) დავაზე, რომელიც წყდება არბიტრაჟის მიერ; 9. სამოქალაქო საქმეზე სარჩელის ოდენობის ბუღალტრული დოკუმენტებით დასაბუთებულობის დადგენა; 10. მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა, აგრეთვე ზარალისათვის ან კანონების, დადგენილებების, ინსტრუქციების, წესების, დებულებების და სხვა ნორმატიული აქტების დარღვევისათვის პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრა.

საბუღალტრო ექსპერტიზის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი, სიარულე და ექსპერტიზის ვადები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საკითხებს აყენებს მოსამართლე, ან გამომძიებელი ექსპერტიზის წინაშე. გადასაწყვეტი საკითხები კონკრეტული უნდა იყოს და არ უნდა ატარებდეს ზოგად ხასიათს.

სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები კი ხშირად არაკონკრეტულ საკითხებს უყენებენ გადასაწყვეტად ექსპერტებს და ფაქტიურად მოითხოვენ განმეორებით რევიზიის ჩატარებას. მაგალითად, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს გარდაბნის რაიონის ქვეგანყოფილების გამომძიებელი შოშიაშვილი ექსპერტს გადასაწყვეტად უსვამს საკითხს: „სწორია თუ არა რევიზიის დასკვნა დანაკლისის განსაზღვრის ნაწილში, ვის დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა“.

ჭიათურის საგამოძიებო ჯგუფის უფროსი გამომძიებელი ფანჩულიძე

1970 წლის 19 თებერვლის დადგენილებაში წერს: „საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კონტროლიორ-რევიზორის ამხ. შუბითიძის მიერ 1970 წლის 18 თებერვლის თარიღით შედგენილი აქტის მონაცემები შეეფარდება თუ არა ბრ. მღებროვის მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვის დოკუმენტალურ მონაცემებს და, აქედან გამომდინარე, რას შეადგენს მღებროვის მიერ მითვისებული თუ სხვა გზით გატაცებული საზოგადო ქონების თანხა? რა გზით და ხერხებით ხდებოდა მის მიერ ბოროტმოქმედების ჩადენა“.

ქუთაისის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი ბარბაქაძე 1970 წლის 20 ივლისის დადგენილებით მოითხოვს ექსპერტმა უპასუხოს: „1. რამდენად სწორად არის 1970 წლის 25 ივლისის დოკუმენტალური რევიზიის გამოტანილი შედეგები? 2. ვინ არის მატერიალური პასუხისმგებელი გამოვლინებულ დანაკლისებზე და კონკრეტულად რაში გამოიხატება ასეთი? 3. რა არის მიზეზი ბუღალტერიაში პირადი ბარათების არასრულყოფილად გაფორმებისა და ვინ არის კონკრეტული პასუხისმგებელი აღნიშნულზე?“

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელმა ზვადაგიანმა 1970 წლის 15 ივნისის დადგენილებაში მხოლოდ ერთი კითხვა დააყენა ექსპერტის წინაშე: „საქმეში არსებული მასალებით, სარევიზიო აქტით ვაყალბებული იანწესებით, ტაბელებით, ხელფასის უწყისეპით, ხელფასის დარიცხვის წიგნებით, ხელფასის უწყისეპში ყალბათ შეყვანილი პირების და ბრალდებულების ჩვენებით და სხვა მასალებით დადგენილ იქნას ვის მიერ, რომელ ორგანიზაციაზე, რა თანხის მატერიალური ზარალი არის მიყენებული და ვის უნდა დაეკისროს ამ ზარალისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა?“

გამომძიებლების მიერ დასმული ზოგიერთი საკითხი არ მოითხოვს გამოკვლევას, ექსპერტის დასკვნა საჭიროც არ არის. გამომძიებელმა ისინი უნდა დაადგინოს მოწმეთა დაკითხვით, ნორმატული დოკუმენტების გაცნობით, ან ადგილზე შემოწმებით.

ზუგდიდის რაიონის პროკურორის თანაშემწე ზარანდია 1970 წლის 4 მარტის დადგენილებაში ექსპერტს ეკითხება: „1. კოლმეურნეობის საბუღალტრო ჩანაწერებით რამდენი მანეთია გახარჯული სკოლის მშენებლობისათვის (საშენი მასალის ღირებულება სახეების მიხედვით და მუშის ხელფასის)?“

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელი შალამბერიძე კი 1970 წლის 16 მარტის დადგენილებაში ექსპერტს ეკითხება:

10. „ლ. ა. პონომარიოვას როგორც ფაბრიკის საამქროს ბუღალტერს რა მოვალეობანი ეკისრებოდა და ასრულებდა თუ არა იგი ასეთს?“ „11. გ. გ. დოლიძე და რ. მ. შალელაშვილი, როგორც ფაბრიკის ცვლის ოსტატები, თავიანთ სამუშაოს ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით ფაქტიურად ითვლებოდნენ თუ არა მატერიალურად პასუხისმგებელ პირებად და თუ ითვლებიან, რა მონაცემების მიხედვით?“.

ექსპერტ-ბუღალტრისათვის დაყენებული საკითხები უნდა იყოს ლოგიკურად თანმიმდევრული, მოკლე და გასაგები. ზოგიერთი გამომძიებლის მიერ დასმული საკითხები კი გაუგებარია. მაგალითად: ქ. თბილისის ოქტომბრს რაიონის პროკურორის თანაშემწე ამხ. ჯინჭარაძე 1970 წლის 9 სექტემბერის დადგენილებაში ექსპერტ-ბუღალტერს ეკითხება: 1. „კავშირგაბმულობის სამინისტროს რევიზორ-ბუღალტრების მიერ 1969 წლის 12 აპრილის შედგენილი სარევიზიო აქ-

ტნი, რომელშიც ლაპარაკია თბილისის ფოსტამტის მუშაობაში 1968 წლის 1-ლი იანვრიდან 1969 წლის 1-ლ იანვრამდე განვლილ პერიოდში არსებულ ნაკლოვანებებზე, აქვს თუ არა კავშირი ბოლნისის კულტურის სახლისა და თბილისის ფოსტამტს შორის, აგრეთვე თბილისის სამხატვრო საწარმოო კომბინატს და თბილისის ფოსტამტს შორის დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ და წარმოებულ სამუშაოსთან და თუ აქვს, რაში გამოიხატება ისინი?“

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიურო საქართველოში არსებობს 1952 წლიდან, დღემდე დამუშავებული არ არის, თუ როგორი კითხვები უნდა დაესვას ბუღალტერ-ექსპერტს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების და განხილვის დროს, რის გამოც თუ ჩვენს რესპუბლიკაში მომუშავე გამოძიებლებმა და მოსამართლეებმა დღემდე არ იციან, თუ რა კითხვები უნდა დასვან საბუღალტრო ექსპერტიზის წინაშე, ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვის სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელობასაც.

აწ წერილში ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს განვსაზღვროთ, რომელი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე როგორი კითხვები უნდა დაესვას ექსპერტ-ბუღალტერს, ეს დიდი თემაა, და აღემატება საყოჩნალო სტატიის ამოცანებს. შეიძლება ჩამოვთვალოთ მხოლოდ ის საკითხები, რაც არ უნდა დაისვას საბუღალტრო ექსპერტიზის წინაშე. ესენია: 1. შეასრულოს რევიზორის ფუნქციები; 2. მისცეს დასკვნა, სწორია თუ არა რევიზიის დასკვნა; 3. დაადგინოს, აქვს თუ არა ადგილი დანაკლისს; 4. განსაზღვროს ზარალის თანხა; 5. გამოიანგარიშოს დანაკლისი თვითღირებულებით, ან საცალო ფასებში; 6. დაადგინოს, რამ გამოიწვია დანაკლისი, ვის მიერ არის შესრულებული ხელისმოწერა, ვის მიერ არის გაფლანგული ან მითვისებული თანხა; 7. სწორია თუ არა სხვა სახის ექსპერტიზის დასკვნა; 8. ვის უნდა დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა ზარალზე და სხვ.

სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური უწყობი*

პროფ. ს. ზავალსკი

სოციალისტურმა კონსტიტუციონალიზმმა, რომელიც მოითხოვს ინდივიდის ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების უზრუნველყოფას სახელმწიფოს მიერ, გამარჯვება მოუპოვა ადამიანის უფლებათა ახალ კონცეფციას. ეს ფაქტი და აგრეთვე სამოქალაქო უფლებების ახლებური ჩამოყალიბება აისახა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში 1948 წელს, შემდეგ კი — 1966 წ. მიღებულ პაქტებში — სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტსა და ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტში. ამ პაქტების მიღება გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სოციალისტური ქვეყნების მტკიცე პოზიციის მეოხებით, ძირეული გარდატეხა ადამიანის უფლებათა პრობლემის გადაწყვეტაში, რადგან აღნიშნული პაქტების რატიფიკაცია 35 სახელმწიფოს მიერ ნიშნავს ადამიანის უფლებათა აღიარებას არა მარტო საერთო დეკლარაციულ პრინციპებად, არამედ სახელმწიფოების იურიდიულ მოვალეობათა სახით.

საერთაშორისო სამართლის ნორმებში ადამიანის უფლებათა ჩამოყალიბებიდან მათ განხორციელებაზე გადასვლა სულ სხვადასხვანაირად ხდება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ სახელმწიფოებში. აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოების კონსტიტუციათა დიდი ნაწილი სამოქალაქო უფლებების იმგვარ ჩამოყალიბებას ეყრდნობა, რომელიც მოცემული იყო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში 1789 წ.¹ ამავე დროს აშკარაა მისწრაფება, რომ ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებები არ იქნენ აყვანილი კონსტიტუციური ნორმების რანგში, და ამას სხვადასხვა არგუმენტებით ასაბუთებენ: უპირველეს ყოვლისა ამ უფლებებს მეორეხარისხოვანად თვლიან და აყენებენ პოლიტიკურ და პირად უფლებებზე გაცილებით უფრო დაბლა. ამგვარი თეორიული დაბრკოლების მნიშვნელობა არ უნდა გადაზვიადოთ, მაგრამ იგი უარყოფით გავლენას ახდენს ბურჟუაზიული სახელმწიფოების პრაქტიკაზე, მით უმეტეს, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის პირობებში ბურჟუაზიული სახელმწიფოების პრაქტიკა ისედაც შორსაა იქიდან, რომ განახორციელოს ამ უფლებებისათვის აუცილებელი ძირითადი სტრუქტურული ცვლილებანი, რისთვისაც იბრძვიან ამ ქვეყნების მუშები.

სულ სხვანაირი მდგომარეობაა სოციალისტურ ქვეყნებში. სოციალისტური კონსტიტუციონალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით ყველა სოციალისტური

* ბოლონური ჟურნალის „სახელმწიფო და სამართლის“ (სამართლის ინსტიტუტის ორგანო) მთავარი რედაქტორი, პროფ. ს. ზავალსკი ამ რამდენიმე ხნის წინათ ესტუმრა ქართველ იურისტებს. იგი სიამოვნებით დავკეთა და დაწერა წერილი ჩვენი ჟურნალისათვის, რომელსაც ამ ნომერში ვაქვეყნებთ. **რედაქციისაზახ.**

¹ დამახასიათებელია, რომ ევროპის 19 კაპიტალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციებიდან შრომის უფლება ჩაწერილია 6 კონსტიტუციაში, განათლების უფლება — შვიდში, სოციალური უზრუნველყოფის უფლება — ორში, დასვენების უფლება — სამ კონსტიტუციაში. მხოლოდ იტალიის კონსტიტუცია, რომელიც 1947 წ. 22 დეკემბერს იქნა მიღებული, შეიცავს ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების ვრცელ ჩამოთვლას. ევროპის 11 კაპიტალისტური ქვეყნის კონსტიტუციებში საერთოდ არაფერია ანთქვამი ამ უფლებათა შესახებ.

ქვეყნის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია მოქალაქის უფლებანი, რომლებიც პოლიტიკურ და პირად უფლებებთან ერთად მოიცავენ აგრეთვე ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ამ სახელმწიფოთა პრაქტიკული საქმიანობა მიმართულია აღნიშნულ უფლებათა განხორციელებისაკენ. მათი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე და მეთურნობის გეგმურ ხასიათზე, ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

ჩვენის აზრით, სოციალისტური სახელმწიფოს ეს ახალი როლი მოქალაქის უფლებათა განხორციელებაში ჯერ კიდევ არაა სრულად ასახული სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციების თეორიაში. დიდი ხნის მანძილზე მარქსისტულ ლიტერატურაში ხელმძღვანელობდნენ სკპ(ბ) XVIII ყრილობაზე მიღებული ფორმულირებით, რომ სოციალისტური სახელმწიფო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდში ახორციელებს შინაგან ფუნქციას, რაც მდგომარეობს კლასობრივი მტრის დათრგუნვაში, და აგრეთვე სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობით ფუნქციებს. ეს ფუნქციები არ მოიცავდნენ სოციალისტური სახელმწიფოს ინტენსიურ საქმიანობას მოქალაქეთა სოციალური უფლებების უზრუნველსაყოფად, რაც პირველად ხორციელდებოდა ისტორიაში ასეთი ფართო მასშტაბით. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს იმიტომ, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთი თეორეტიკოსი აქამდე უგულვებელყოფს აღნიშნულ საქმიანობას.

50-იანი წლების დამლევს სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციების ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია გაკრიტიკებულ იქნა საბჭოთა ლიტერატურაში. ამის შედეგად შეიქმნა ახალი კლასიფიკაცია, რომელიც გამოყოფს სოციალისტური სახელმწიფოს შემდეგ ფუნქციებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდისათვის: 1) ქვეყნის შიგნით დამარცხებული ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგობასთან ბრძოლის ფუნქცია; 2) სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია; 3) კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია; 4) შრომისა და მოხმარების ოდენობის კონტროლის ფუნქცია; 5) სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქცია; 6) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ფუნქცია; 7) ქვეყნის თავდაცვის ფუნქცია; 8) მშვიდობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წესწყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის ფუნქცია.

ჩვენ ამოვარჩიეთ ყველაზე უფრო ტიპური კლასიფიკაცია. მაგრამ ცალკეულ საბჭოთა ავტორებთან ამ საკითხში აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობაც გვხვდება, რაც მარტოდენ ფუნქციათა რაოდენობას არ ეხება. აღნიშნული სიახლე სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციათა თეორიაში ეყრდნობა საკითხის ყოველმხრივ გაშუქებას და სახელმწიფოს საქმიანობის ღრმა ანალიზს. ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით ყურადღებას იბყრობს სამი ფუნქცია, სახელდობრ: სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნქცია და შრომისა და მოხმარების ოდენობის კონტროლის ფუნქცია.

სათანადო ლიტერატურის ანალიზი იმ შინაარსის თვალსაზრისით, რომელიც ენიჭება ცალკეულ ფუნქციებს, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ:

სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია ესმით, უპირველეს ყოვლისა,

ქვეყნის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია მოქალაქის უფლებანი, რომლებიც პოლიტიკურ და პირად უფლებებთან ერთად მოიცავენ აგრეთვე ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ამ სახელმწიფოთა პრაქტიკული საქმიანობა მიმართულია აღნიშნულ უფლებათა განხორციელებისაკენ. მათი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე და მეურნეობის გეგმურ ხასიათზე, ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

ჩვენის აზრით, სოციალისტური სახელმწიფოს ეს ახალი როლი მოქალაქის უფლებათა განხორციელებაში ჯერ კიდევ არაა სრულად ასახული სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციების თეორიაში. დიდი ხნის მანძილზე მარქსისტულ ლიტერატურაში ხელმძღვანელობდნენ სკპ(ბ) XVIII ყრილობაზე მიღებული ფორმულირებით, რომ სოციალისტური სახელმწიფო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდში ახორციელებს შინაგან ფუნქციას, რაც მდგომარეობს კლასობრივი მტრის დათრგუნვაში, და აგრეთვე სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმშრდელობით ფუნქციებს. ეს ფუნქციები არ მოიცავდნენ სოციალისტური სახელმწიფოს ინტენსიურ საქმიანობას მოქალაქეთა სოციალური უფლებების უზრუნველსაყოფად, რაც პირველად ხორციელდებოდა ისტორიაში ასეთი ფართო მასშტაბით. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს იმიტომ, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთი თეორეტიკოსი აქამდე უგულვებელყოფს აღნიშნულ საქმიანობას.

50-იანი წლების დამლევს სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციების ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია გაკრიტიკებულ იქნა საბჭოთა ლიტერატურაში. ამის შედეგად შეიქმნა ახალი კლასიფიკაცია, რომელიც გამოყოფს სოციალისტური სახელმწიფოს შემდეგ ფუნქციებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდისათვის: 1) ქვეყნის შიგნით დამარცხებული ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგობასთან ბრძოლის ფუნქცია; 2) სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია; 3) კულტურულ-აღმშრდელობითი ფუნქცია; 4) შრომისა და მოხმარების ოდენობის კონტროლის ფუნქცია; 5) სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქცია; 6) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ფუნქცია; 7) ქვეყნის თავდაცვის ფუნქცია; 8) მშვიდობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წესწყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის ფუნქცია.

ჩვენ ამოვარჩიეთ ყველაზე უფრო ტიპური კლასიფიკაცია. მაგრამ ცალკეულ საბჭოთა ავტორებთან ამ საკითხში აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობაც გვხვდება, რაც მართოდენ ფუნქციათა რაოდენობას არ ეხება. აღნიშნული სიახლე სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციათა თეორიაში ეყრდნობა საკითხის ყოველმხრივ გაშუქებას და სახელმწიფოს საქმიანობის ღრმა ანალიზს. ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს სამი ფუნქცია, სახელდობრ: სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნქცია და შრომისა და მოხმარების ოდენობის კონტროლის ფუნქცია.

სათანადო ლიტერატურის ანალიზი იმ შინაარსის თვალსაზრისით, რომელიც ენიჭება ცალკეულ ფუნქციებს, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ:

სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია ესმით, უპირველეს ყოვლისა,

როგორც საორგანიზაციო საქმიანობა ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების დარგში;² იხმარება აგრეთვე განსაზღვრება — სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ფუნქცია.³ რაც შეეხება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნქციას, მრავალი ავტორი მას აერთიანებს სოციალისტური და სახელმწიფო წესწყობილების დაცვასთან. ამგვარად, საბჭოთა ლიტერატურაში ხაზგასმულია მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს კლასობრივი მტრების, აგრეთვე სოციალისტური საკუთრების ხელმყოფთა მიმართ გამოყენებულ დაწოლის საშუალებებსა და სახელმწიფოს საქმიანობას შორის, რომელიც მიმართულია სა-მოქალაქო უფლება-თავისუფლებათა განვითარებისაკენ. მაგრამ ამაში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა (ანდა მარტოოდენ) მოქალაქეთა პოლიტიკური და პირადი უფლებები, რაც დაკავშირებულია სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასთან. მამასადამე, ასეთი შეხედულება ხაზგასმით აღნიშნავს მოცემულ ფუნქციას სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და პოლიტიკურ სფეროში დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით.

შეხედულებებში შრომისა და მოხმარების ოდენობის კონტროლის ფუნქციის შესახებ შეინიშნება ორი ასპექტი. ჯერ ერთი, მიუთითებენ, რომ სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს ფასეულობათა განაწილებაში განვითარებული შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით, მიზნად ისახავს მუშათა მატერიალური დაინტერესებულობის განვითარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და შემოქმედებითი ინიციატივის წახალისებას. მაგრამ, მეორეს მხრივ, ხაზი ესმება იმას, რომ სულ უფრო მეტი მატერიალური და სულიერი ფასეულობანი ნაწილდება შრომის ოდენობისა და ხარისხისაგან დამოუკიდებლადაც, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო დანახარჯებში უფასო სწავლებაზე, ჯანმრთელობის სამსახურზე, მრავალშვილიან ოჯახებისადმი დანხარებაზე და ა. შ.⁴ ეს მეორე ასპექტი აღნიშნული ფუნქციისა გარკვეულწილად მოიცავს სოციალისტური სახელმწიფოს სოციალურ საქმიანობას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ავტორი სწორედ ამ ასპექტს არ აქცევს ყურადღებას. იგი სრულად არაა ასახული ამ ფუნქციის დასახელებაში, რომელიც უნდა მიუთითებდეს სახელმწიფოს როლს არა მხოლოდ ხსენებული კონტროლის სფეროში, არამედ აგრეთვე სოციალური საქმიანობის განვითარების სფეროში.

შრომისა და მოხმარების ოდენობის კონტროლის ფუნქციის გამოყოფა ამ სახით ყოველმხრივ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, მაგრამ იგი გზას უხსნის ფუნქციათა ისეთ ანალიზს, რომელსაც შეუძლია მოგვეცეს სოციალისტური სახელმწიფოს როლის სრული ასახვა, განსაკუთრებით — მისი საქმიანობისა მოქალაქეთა სოციალური უფლებების უზრუნველყოფის სფეროში.

* * *

სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციების თეორიაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სავსებით ნათელი არაა თვით ცნება — „სახელმწიფოს ფუნქციის“ მნიშვნელობა და არც ის კრიტერიუმები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ფუნქციათა კლასიფიკაციას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ

² Общая теория государства и права, под ред. Д. А. Керимова и В. С. Петрова, Ленинград, 1968, стр. 162.

³ შეაღ. Ф. М. Бурлацкий, Государство и коммунизм, Москва, 1963, стр. 137.

⁴ Общая теория..., стр. 164.

როგორც საორგანიზაციო საქმიანობა ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების დარგში;² იხმარება აგრეთვე განსაზღვრება — სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ფუნქცია.³ რაც შეეხება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნქციას, მრავალი ავტორი მას აერთიანებს სოციალისტური და სახელმწიფო წესწყობილების დაცვასთან. ამგვარად, საბჭოთა ლიტერატურაში ხაზგასმულია მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს კლასობრივი მტრების, აგრეთვე სოციალისტური საკუთრების ხელმყოფთა მიმართ გამოყენებულ დაწოლის საშუალებებსა და სახელმწიფოს საქმიანობას შორის, რომელიც მიმართულია სა-მოქალაქო უფლება-თავისუფლებათა განვითარებისაკენ. მაგრამ ამაში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა (ანდა მარტოოდენ) მოქალაქეთა პოლიტიკური და პირადი უფლებები, რაც დაკავშირებულია სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასთან. მასშასადამე, ასეთი შეხედულება ხაზგასმით აღნიშნავს მოცემულ ფუნქციას სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და პოლიტიკურ სფეროში დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით.

შეხედულებებში შრომისა და მონმარების ოდენობის კონტროლის ფუნქციის შესახებ შეინიშნება ორი ასპექტი. ჯერ ერთი, მიუთითებენ, რომ სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს ფასეულობათა განაწილებაში განვიტებული შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით, მიზნად ისახავს მუშათა მატერიალური დაინტერესებულობის განვითარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და შემოქმედებითი ინიციატივის წახალისებას. მაგრამ, მეორეს მხრივ, ხაზი ესმება იმას, რომ სულ უფრო მეტი მატერიალური და სულიერი ფასეულობანი ნაწილდება შრომის ოდენობისა და ხარისხისაგან დამოუკიდებლადაც, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო დანახარჯებში უფასო სწავლებაზე, ჯანმრთელობის სამსახურზე, მრავალშვილიან ოჯახებისადმი დახმარებაზე და ა. შ.⁴ ეს მეორე ასპექტი აღნიშნული ფუნქციისა ვარკვეულწილად მოიცავს სოციალისტური სახელმწიფოს სოციალურ საქმიანობას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ავტორი სწორედ ამ ასპექტს არ აქცევს ყურადღებას. იგი სრულად არაა ასახული ამ ფუნქციის დასახელებაში, რომელიც უნდა მიუთითებდეს სახელმწიფოს როლს არა მხოლოდ სხე-ნებული კონტროლის სფეროში, არამედ აგრეთვე სოციალური საქმიანობის განვითარების სფეროში.

შრომისა და მონმარების ოდენობის კონტროლის ფუნქციის გამოყოფა ამ სახით ყოველმხრივ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, მაგრამ იგი გზას უხსნის ფუნქციათა ისეთ ანალიზს, რომელსაც შეუძლია მოგვეცეს სოციალისტური სახელმწიფოს როლის სრული ასახვა, განსაკუთრებით — მისი საქმიანობისა მოქალაქეთა სოციალური უფლებების უზრუნველყოფის სფეროში.

* * *

სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციების თეორიაში ყურადღებას იპყრობს ის ვარემოება, რომ სავსებით ნათელი არაა თვით ცნება — „სახელმწიფოს ფუნქციის“ მნიშვნელობა და არც ის კრიტერიუმები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ფუნქციათა კლასიფიკაციას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ

² Общая теория государства и права, под ред. Д. А. Керимова и В. С. Петрова, Ленинград, 1968, 83. 162.

³ ზეაღ. Ф. М. Бурлацкий, Государство и коммунизм, Москва, 1963, 88. 137.

⁴ Общая теория..., 83. 164.

ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საჭიროა ემპირიკულად მოვუდგეთ სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობის ანალიზს. ამოსავალი წერტილი არ შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს დეფინიციის ანალიზი; ემპირიკული კვლევის საგნად უნდა იქცეს სოციალისტური სახელმწიფოს კონკრეტული საქმიანობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ინდუქციის გზით განვსაზღვროთ მისი ძირითადი ფუნქციები. წინამდებარე სტატია წარმოადგენს სწორედ ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომის ცდას ისეთ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობას სახალხო პოლონეთში.

იმისათვის, რათა მთელი ყურადღება დავუთმოთ მთავარ საკითხს, ჩვენ არ შეგვხვებით სახელმწიფოს ფუნქციების თეორიულ პრობლემატიკას და ამოსავალ წერტილად მივიჩნევთ მარქსისტულ ლიტერატურაში ცნობილ განსაზღვრებას, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ფუნქციებია „მისი საქმიანობის ძირითადი (მთავარი) მიმართულებანი“. სოციალისტური სახელმწიფოს მთლიანი საქმიანობიდან ასეთი მიმართულებების გამოსაყოფად საჭიროა გამოვიყენოთ შემდეგი კრიტერიუმები: 1) განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფოს საქმიანობის მოცულობა, რომელიც შესაძლოა გაიზომოს სახელმწიფო დანახარჯთა ჯამით, სახელმწიფო აპარატის რიცხობრივი შემადგენლობით, ნორმატიული საქმიანობის ინტენსივობით და ა. შ.; 2) ამ საქმიანობის მნიშვნელობა როგორც საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, ასევე სახელმწიფოს კლასობრივი არსის თვალსაზრისით; 3) ამ საქმიანობის სპეციფიკური თვისებები, რომლებიც იძლევიან ან არ იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ ეს საქმიანობა გამოყოფილ იქნეს სახელმწიფოს მთელი საქმიანობიდან.

ჩვენის აზრით, სამივე ამ კრიტერიუმის საფუძველზე შესაძლებელი ვადიართ სახელმწიფოს საქმიანობის განსაზღვრული მიმართულება, გამოვყოთ იგი როგორც ძირითადი და განსაზღვრული ფუნქცია.

* * *

1. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უპირველესად უნდა განვიხილოთ სოციალური ღონისძიებების დიპაზონის საკითხი. ეჭვს იწვევს ამ სფეროში გამოსაყენებელი მაჩვენებლებისა და კიდევ უფრო მეტად — იმ კრიტერიუმების ფორმულირების საკითხები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდნენ ერთმანეთისათვის შეგვედარებინა სოციალისტური სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციები, მაგალითად, ქვეყნის თავდაცვისა და სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქციები. ეს მეთოდოლოგიური სიძნელეები ადვილი გასაგებია, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ის სახელმწიფო დანახარჯები ჩავთვალოთ კრიტერიუმად, რომლებიც საჭიროა სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობის განსაზღვრულ მიმართულებათა რეალიზაციისათვის. რა თქმა უნდა, ამ კრიტერიუმში არის ზოგიერთი გამარტივების საშიშროება, მაგრამ იგი მიგვითითებს იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც სახელმწიფოს ხელმძღვანელობა აძლევს მოქმედების ცალკეულ მიმართულებას, და იმ ადგილზე, რომელიც ამ მიმართულებებს უჭირავს სახელმწიფოს მთელს საქმიანობაში.

სოციალური საქმიანობის ძირითად დანახარჯებს მიეკუთვნება სახელმწიფოს დანახარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე, საზოგადოებრივი ასიგნებანი, დანახარჯები ფიზიკურ კულტურასა და ტურიზმზე, აგრეთვე სოციალურ უზრუნველყოფაზე. 1967—68 წლებში პოლონეთის ასეთი დანახარჯები იყო:

	1955	1967	1969
სახბიუჯეტის გასავალი მილიარდ ზლოტებში	124,3	322,0	326,5
სოციალური მომსახურება	6,8	27,5	29,8
სოციალური უზრუნველყოფა	10,6	34,8	14,9 ⁶
მათ შორის ბენსიები	3,1	20,8	25,2

თუ გავითვალისწინებთ დანახარჯების სოციალური საქმიანობის ზემო-აღნიშნული მიმართულებებით (სოციალური მომსახურება სოცუზრუნველყოფასთან ერთად), ისინი შეადგენდნენ 1955 წ. 17,4 მილიარდ ზლოტს, რაც ნიშნავს სახბიუჯეტის მთელი გასვლის 15,6%, 1967 წ. — 62,3 მილიარდ ზლოტს (19,4%), 1968 წ. — 44,7 მილიარდ ზლოტს, საპაერო ფონდიდან ვაცემული პენსიების ჩათვლელად, ასეთი თანხების ჩათვლით კი — 69,9 მილიარდ ზლოტს (19,9%). ამ საქმიანობაზე სახელმწიფო დანახარჯთა დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე დანახარჯებისა სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, მაგრამ უფრო მაღალია, ვიდრე დანახარჯებისა კულტურულ-აღმზრდელობით საქმიანობაზე. შედარებისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ დანახარჯები განათლებაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე 1967 წ. შეადგენდა 36,3 მილიარდ ზლოტს, 1968 წ. კი — 38,4 მილიარდ ზლოტს, რაც უფრო ნაკლებია, ვიდრე დანახარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე.

შეიძლება გვისაყვედურონ, რომ სოციალური საქმიანობის ეს ჩარჩოები მხედველობაში არ იღებს ამ საქმიანობის სხვა მხარეებს, რომ თვით ეს საქმიანობა ძალზე ვიწროდაა გავებული. ასეთი საყვედურის თავიდან აცილებისათვის ჩვენი წინადადებაა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია (რომელსაც 4 ძირითადი სფერო აქვს: ჯანმრთელობის დაცვა, სოცუზრუნველყოფა, საზოგადოებრივი დახმარება და ფიზკულტურა და ტურიზმი) და საზოგადოებრივი ასპექტები, რომლებიც თავს იჩენენ სოციალისტური სახელმწიფოს მიერ ყველა თავისი ფუნქციის განხორციელების პროცესში. თავისთავად ცხადია, რომ საზოგადოებრივი ასპექტები დიდი მასშტაბით იჩენენ თავს კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელებისას, განსაკუთრებით განათლების პოლიტიკაში (სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დანახარჯები ბავშვების მეთვალყურეობაზე, სააღმზრდელო დაწესებულებებზე, საბავშვო ბაღებზე, ინტერნატებზე, სტიპენდიებზე), აგრეთვე კულტურის გავრცელების პოლიტიკაში. ეს ასპექტები თავს იჩენენ სამეურნეო ფუნქციის განხორციელების პროცესშიც ფასებისა და ხელფასის პოლიტიკის, შრომითი მოწყობის, შრომის დაცვისა და სხვ. სახით. გვერდს ვერ აუფვლით იმ ფაქტს, რომ სამეურნეო ფუნქციის განხორციელებისას სახელმწიფო გამოდის არა მარტო წარმოების ორგანიზატორის როლში, არამედ აგრეთვე სამუშაოს მიმცემად, რომელიც მოქმედებს პროფკავშირებთან ერთად და დიდ ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის საკითხებს.⁶

⁵ სოცუზრუნველყოფის დანახარჯები 1968 წ. არ მოიცავს პენსიების დანახარჯს საპენსიო ფონდიდან.

⁶ სახელმწიფო დაწესებულებათა სოციალური საქმიანობის დანახარჯები 1968 წ. შეადგენდა 9,8 მილიარდ ზლოტს; ამ თანხიდან 2,9 მილიარდი ზლოტი დაფარულ იქნა თავის თანამშრომლების, ხოლო 6,9 მილიარდი ზლოტი — სახელმწიფო დაწესებულებების მიერ.

ანალოგიური მაგალითების მოტანა სხვა დარგებიდანაც შეიძლება. მაგალითად, აღმზრდელობითი ასპექტები თან ახლავს ქვეყნის თავდაცვის ფუნქციის განხორციელებას, ანდა სახელმწიფოს საქმიანობას, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. ეკონომიური ასპექტები კი თავს იჩენენ ყველა ფუნქციის განხორციელებისას. იმ ფაქტიდან, რომ ერთი ფუნქცია დაკავშირებულია მეორესთან, ის უნდა დავასკვნათ, თითქოს შეუძლებელი იყოს ფუნქციების გამიჯვნა. მას საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო საქმიანობის მოცემული მიმართულების ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები.

არ შეიძლება დავეთანხმოთ შეხედულებას, რომ უმართებულოა ცალკე სოციალური ფუნქციის განხილვა, რამდენადაც საზოგადოებრივი ასპექტები აქვს მთლიანად სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობას და ეს საქმიანობა საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი. სოციალური ფუნქციის გამოყოფაში ჩვენ ვგულისხმობთ სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას, რომელშიც მისი სოციალური (საზოგადოებრივი) მიზანდასახულება განსაკუთრებული სიმკვეთრით მყდვანდება მოქალაქის სოციალური უფლებების უზრუნველყოფაზე ზრუნვის სახით. ჩვენის აზრით, რაკი მოქალაქის უფლებებში შესაძლებელია სოციალური უფლებების გამოყოფა, ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მთელს საქმიანობაში გამოვეყოთ სოციალური ფუნქცია.

ასეთ გამოყოფას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ იგი შესაძლებელს ხდის გადაწყვეტილი იქნეს ეს საკითხი მიუხედავად იმ კამათისა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია საზოგადოებრივი უზრუნველყოფის თუ საზოგადოებრივი პოლიტიკის საგნის გამო.

მიუხედავად იმისა, ვაღიარებთ თუ არა ტერმინს „სოციალური უზრუნველყოფა“ და მისი მოქმედების მასშტაბს, აგრეთვე მიუხედავად იმისა, თუ როგორ მივუდევებთ სახელმწიფოს საქმიანობის ამა თუ იმ ფორმას, სოციალისტური სახელმწიფოს იმ საქმიანობის მასშტაბი, რომელიც უთუოდ დაკავშირებულია სოციალური უფლებების უზრუნველყოფასთან, ძალიან ფართოა. ამიტომ დავა ზემოთ დასახელებული ცნებების ირგვლივ არ ცვლის იმ ფაქტს, რომ სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური საქმიანობის თუნდაც უაღრესად ვიწროდ გაგებული მოცულობა სრულ უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საქმე ეხება სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

2. გასაგებია, რომ მარტოდენ ფინანსური დანახარჯებით ვერ გავზომავთ სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობის ცალკეული დარგების მნიშვნელობას. საჭიროა გადავიდეთ რაოდენობითი მაჩვენებლებიდან ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და ნათელვყოთ, რომ სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური საქმიანობის უმთავრესი მნიშვნელობა მის კლასობრივ არსში მდგომარეობს, სოციალისტური სახელმწიფო ხომ იმისკენ მისწრაფვის, რომ უზრუნველყოს თანასწორობა არა მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ, სულ უფრო მეტად, საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველი მოქალაქისათვის განათლების, სამედიცინო დახმარებისა და ა. შ. თანაბარი უზრუნველყოფის გზით. სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში სრულად აისახება დემოკრატიის როგორც თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სოციალური დემოკრატიის მარქსისტული კონცეფციის რეალიზაცია.

ასეთი საქმიანობის მთავარი მნიშვნელობა მკაფიოდაა განსაზღვრული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომლის მე-3 მუხლი აცხადებს, რომ „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა... უზრუნველყოფს ხალხთა მასების კეთილდღეობას, ჯანმრთელობის და კულტურული დონის მუდმივ ამაღლებას“. მოქალაქის უფლებებიდან, რომელთა განუწყვეტლივ განმტკიცებაზეც კონსტიტუცია ლაპარაკობს, დასვენების უფლება დაწესებულია 59-ე მუხლით, ჯანმრთელობის დაცვისა და ავადმყოფობის ან შრომისუუნარობის შემთხვევაში დახმარების უფლება — მე-60 მუხლით, დედისა და ბავშვისათვის დახმარების აღმოჩენის მოვალეობა — 66-ე მუხლით. ამ უფლებების აღიარება კონსტიტუციურ ნორმებად იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს საქმიანობა ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად წარმოადგენს ძირითადი ხასიათის, და არა მეორეხარისხოვან ან დამხმარე მნიშვნელობის საქმიანობას.

3. სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური საქმიანობის კვლევა ყველა მისი მოქმედების ერთობლიობაში ადვილად იძლევა ასეთი საქმიანობის სპეციფიკის განსაზღვრის შესაძლებლობას. ამას შეიძლება საფუძვლად დაედოს მოქალაქის უფლებათა ის კლასიფიკაცია, რომელიც მოცემულია ადამიანის უფლებათა პაქტებში, სახელდობრ — ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების სახით. როგორც სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქციის მიზანია მოქალაქეთა ეკონომიური უფლებების უზრუნველყოფა, ხოლო კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია — კულტურული უფლებების უზრუნველყოფა, ასევე მისი სოციალური საქმიანობა მიზნად ისახავს მოქალაქეთა სოციალური უფლებების რეალიზაციას. გასაგებია, რომ, რაკი მჭიდრო კავშირია მოქალაქის უფლებათა ამ სამ კატეგორიას შორის, ასეთივე კავშირია აგრეთვე სახელმწიფოს საქმიანობის სამ შესაბამის მიმართულებას შორის. ამგვარად, ეკონომიური საქმიანობის განვითარება, რაც მიმართულია სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდისაკენ, განსაზღვრავს დანახარჯებს კულტურულ-აღმზრდელობით საქმიანობასა და სოციალურ საქმიანობაზე. მაგრამ მეტისმეტი ვამარტივება იქნებოდა შეგვენიშნო მხოლოდ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება, განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, რომელიც ამჟამად მიგვითითებს კავშირურთიერთობაზე სახელმწიფოს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს შორის. მათსადაამე, არა მხოლოდ ეკონომიური საქმიანობა განაპირობებს სახელმწიფოს კულტურულ-აღმზრდელობითსა და სოციალურ საქმიანობას, არამედ ამ უკანასკნელთა განვითარების დონე თავის მხრივ განაპირობებს ეკონომიური საქმიანობის განვითარებას.

სოციალისტური მშენებლობის განვითარების კვლობაზე სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ეკონომიური პროგრესი განპირობებულია მეცნიერებისა და განათლების მდგომარეობით და რომ იგი დამოკიდებულია აგრეთვე მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სხვა სოციალური უფლებების უზრუნველყოფის პროგრესისაგან. ამგვარად, არსებობს სახელმწიფოს სოციალური საქმიანობის მკაფიო, სპეციფიკური თვისებები, რომლებიც უფლებას გვაძლევენ ეს საქმიანობა ცალკე ფუნქციად მივიჩნიოთ.

სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური საქმიანობის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ამ საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს თანასწორობის პრინციპის რეალიზაციის თვალსაზრისით. ეკონომიური ფუნქციისათვის დამახასიათებელია შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილების სა-

ერთო პრინციპი, სოციალური ფუნქციისათვის კი (ისევე, როგორც კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციისათვის) — განაწილება არა მხოლოდ შრომის შედეგების მიხედვით. ეკონომიურ ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი — შეიძლება თუ არა, რომ ეს გარემოება უკვე ჩაითვალოს განაწილებად მოთხოვნილებათა მიხედვით. სახელმწიფოს საქმიანობა ამ დარგში უთუოდ იქითკენაა მიმართული, რომ განაწილების პრინციპში — თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურება — შეტანილი იქნეს შესწორება, და ამ მხრივ განაწილებისას უკვე მხედველობაში მიიღება ინდივიდის მოთხოვნილებანი და არა მხოლოდ მისი შრომის ნაყოფი.

ვერ დავეთანხმებით ვერც იმ არგუმენტს, თითქოს სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის აღიარება ნიშნავდეს სახელმწიფოს როლის მეტისმეტ გაზვიადებას იმ დარგში, რომლის განვითარება ხდება უმთავრესად საზოგადოებრივი თვითმმართველობის პრინციპებზე. ასეთ არგუმენტს ალბათ აქვს გამართლება იმ აზრით, რომ ამ დარგში თვითმმართველობითი ფორმები უფრო მკაფიოდაა გამოხატული, ვიდრე სახელმწიფო საქმიანობის სხვა დარგებში (მაგალითად, პროფკავშირთა როლი, სოცდაზღვევის ფორმები და ა. შ.). მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობას ყველა დარგში აქვს მეტნაკლებად თვითმმართველობის ელემენტები (მაგალითად, ეკონომიური ფუნქციის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუშათა თვითმმართველობამ, კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელებისას კი — სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა). გარდა ამისა უნდა გავიხსენოთ, რომ როგორც საქმიანობის სხვა დარგებში, ასევე სოციალურ დარგში სოციალისტური სახელმწიფო ეკონომიურად და ბიუჯეტით განსაზღვრავს ამოცანების თანმიმდევრობას, წყვეტს სოციალური უფლებების უზრუნველყოფაზე გასაწევი ხარჯის ოდენობას.

ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ საზოგადოებრივი მოხმარების 95%-ის დაფინანსება ხდება სახელმწიფოს მიერ და რომ სახელმწიფო ბიუჯეტის წილი საზოგადოებრივი მოხმარებისათვის გაწეულ დანახარჯებში აღწევს საზოგადოებრივი მოხმარების ფონდის 84%. არც იმ ფაქტის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ სოციალისტური სახელმწიფო ადგენს იურიდიულ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სოციალურ სფეროში და, ამგვარად, აწესებს უპირველეს ყოვლისა სოციალური მომსახურებით სარგებლობის პრინციპებსა და ამ საქმიანობის რეალიზაციისათვის აუცილებელ ორგანიზაციულ ფორმებს. სახელმწიფო წესები განსაზღვრავენ სახელმწიფო საწარმოებში ფონდების განაწილებისა და კოოპერაციული ფონდების თანაფარდობას; სოციალისტური სახელმწიფო კისრულობს საერთაშორისო ვალდებულებებს სოციალური უფლებების სფეროში, რაც გამომდინარეობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციიდან. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობა სოციალურ ფუნქციაში უფრო განვითარებულია, ვიდრე სხვა ფუნქციებში, ამ თვალსაზრისით მაინც არაა თვისობრივი განსხვავება, ერთის მხრივ, სოციალურსა და, მეორეს მხრივ, სამეურნეო-ორგანიზატორულ ან კულტურულ-აღმზრდელობით ფუნქციებს შორის.

4. სოციალისტური სახელმწიფოს სოციალურ ფუნქციაზე მსჯელობისას ვერ უგულვებელყოფთ იმ ფაქტს, რომ ეს სწორედ ის ფუნქციაა, რომელიც

ქრობის პროცესს კი არ განიცდის, არამედ, პირიქით, ინტენსიურად ვითარდება. ეს განვითარება დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა სამ ფაქტორთან:

1) დემოგრაფიულ ცვლილებებთან, რაც იწვევს ხანშიშესულ ადამიანთა რიცხვის საგრძნობ ზრდას; ეს კი განაპირობებს სამედიცინო მეთვალყურეობის, სოციალური უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი დახმარების სხვა ფორმების განვითარების აუცილებლობას;

2) ურბანიზაციის პროცესთან და საზოგადოებრივ ცვლილებებთან სოფლად, რომლებიც მდგომარეობენ მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმების როლის ზრდაში და ხელს უწყობენ ჯანმრთელობის საზოგადოებრივი მომსახურების გავრცელებას სოფლის მოსახლეობაზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმების სულ უფრო მეტ გავართობას;

3) სოციალური მომსახურების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებასთან, რადგან ასეთი მომსახურება სულ უფრო მეტად იძენს პროფილაქტიკურ ხასიათს და, მამასადამე, ვრცელდება მთელს მოსახლეობაზე, რასაც შედეგად მოსდევს ადამიანის ბიოლოგიური გარემოს დაცვა ჰაერის, წყლის და სხვ. გაჭუჭყიანებისაგან.

აღნიშნული ფაქტორები, რომელთა ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, სრული არაა, მოქმედებენ სოციალური საქმიანობის განვითარებას მიმართულებით. ამ სფეროში საზოგადოებრივ პროგრესს პრინციპული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სახელმწიფოს სხვა ფუნქციების განხორციელებისათვის.

5. სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობაში სოციალური ფუნქციის გამოუყოფლობას მრავალი უარყოფითი შედეგი მოსდევს. უპირველეს ყოვლისა იგი იწვევს სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობის ერთგვარ გაღარიბებას ნაშრომებში სახელმწიფოსა და სამართლის თეორიიდან. სოციალური ფუნქციის სუსტი გაშუქების გამო სოციალისტური სახელმწიფოს არსი ვერ იხსნება მთელი სისავსით და სრულად არაა ასახული სახელმწიფოს ფუნქციების თეორიაში.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ მეცინერებათა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით სახელმწიფოს თეორიის დარგში (რომ არაფერი ვთქვათ ნაშრომებზე სოციალური პოლიტიკის შესახებ) ძალიან ვრცელადაა გაშუქებული თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოების სოციალური ფუნქციის განვითარება. ამის გამოხატულებაა ის, რომ სახელმწიფოს მიეწერება როლი „საზოგადოებრივი მეურვისა“, რომელიც ზრუნავს მოქალაქეზე „აკვნიდან კუბოს ფიცრამდე“. ასეთი ტენდენცია ბურჟუაზიულ მეცინერებაში ყველაზე უფრო მკაფიოდ აისახა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ცნების ფრიად გავრცელებულ განსაზღვრებაში, რომლის მიხედვით ეს სახელმწიფო არის „welfare state“ („კეთილდღეობის სახელმწიფო“, „საზოგადოებრივი დახმარების სახელმწიფო“), ე. ი. სახელმწიფო, რომელიც სრულყოფს თავის სოციალურ საქმიანობას. ყოველივე ეს ემსახურება ერთ მიზანს: ყალბი წარმოდგენა შეიქმნას ბურჟუაზიულ სახელმწიფოზე, როგორც ზეკლასობრივ ორგანიზმზე.

თუ სოციალისტურ მეცინერებაში ვხვდებით მსჯელობას ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის გამოყოფის შესახებ, მით უფრო მეტი საფუძველი უნდა ჰქონდეს ამ საკითხის დაყენებას სოციალისტურ სახელმწიფოსთან დაკავშირებით. მრავალი მოსაზრება ლაპარაკობს იმის სასარგებ-

ლოდ, რომ სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური საქმიანობა წარმოადგენს თვისობრივად ახალ ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალურ საქმიანობასთან შედარებით, თუ მხედველობაში მივიღებთ სოციალური მომსახურების განვითარებასა და სოციალური უზრუნველყოფის დონეს, აგრეთვე თვისობრივად ახალ მიდგომას მათდამი კლასობრივი თვალსაზრისით.

განსხვავება სოციალისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ ეკონომიური განვითარების მდგომარეობასა და მოსახლეობის ერთ სულზე ნაციონალური შემოსავლის დონეს. ეს შედარებითი ასპექტი, რომელიც ასახავს სოციალისტური სახელმწიფოს როგორც მშრომელი მასების ინტერესთა სახელმწიფოს კლასობრივ ბუნებას, მეტყველების აგრეთვე ამ ნაშრომის ძირითადი თეზისის სასარგებლოდ.

6. სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობაში სოციალური ფუნქციის გამოყოფილობა ხელს უწყობს ზოგიერთ ტენდენციას სოციალისტური სახელმწიფოს პრაქტიკაში. სწორედ ეს ახდენდა გარკვეულ გავლენას დაგეგმვის არსის ვაგებზე იმ შემთხვევებში, როცა მთელი ყურადღება ექცეოდა ეკონომიკის ზრდის პრობლემატიკას, მაშინ როცა დაგეგმვის მიზანი უნდა იყოს ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა არა მარტო ეკონომიკის, არამედ ფართოდ ვაგებული სოციალური პროგრესისათვის. სოციალური ფუნქციის განხორციელების თვალსაზრისით საჭიროა აგრეთვე განსაკუთრებით აღინიშნოს მოქალაქეთა მიერ ძირითადი კონსტიტუციური მოვალეობების შესრულების მნიშვნელობა.

ეს სტატია მიზნად არ ისახავდა სხვადასხვა პრაქტიკული საკითხების დაყენებას, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალურ სფეროში სახელმწიფო ორგანოების, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციასთან სოციალური პოლიტიკის ერთიანი წარმართვის მიზნით. საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ სახელმწიფოს ფუნქციების თეორიამ გაითვალისწინოს დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ სოციალისტური სახელმწიფოს ემპირიკული საქმიანობის ანალიზიდან. ასეთი ანალიზი სრულ საფუძველს ვეძლევა, რათა სოციალისტური სახელმწიფოს ისეთი ფუნქციების გვერდით, როგორცაა სოციალისტური წესწყობილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქცია, სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია და კულტურულ-აღმზრდელი ფუნქცია, გამოვყოთ სოციალური ფუნქცია როგორც სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრეზიდუმი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედო შემოღების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის 1970 წლის 15 ივლისის კანონისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 29, მუხ. 265) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ვიდრე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუსაბამებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებს, სსრ კავშირის შრომის კანონმდებლობის მოქმედი აქტები, შრომის კანონების კოდექსები და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის სხვა აქტები გამოიყენება, რამდენადაც იანინ არ ეწინააღმდეგებიან საფუძვლებს. ამასთან მოკავშირე რესპუბლიკების აქტები, გამოცემულნი მანამდე, ვიდრე სამოქმედოდ იქნებოდა შემოღებული საფუძვლები ამ საკითხებზე, რომლებიც საფუძვლებშია მიაკუთვნეს სსრ კავშირის გამგებლობას და, მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას, ინარჩუნებენ ძალას საერთო-საკავშირო აქტების გამოცემამდე, რომლებიც სხვაგვარად წყვეტენ ამ საკითხებს.

2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შემოღებამდე წარმოქმნილ შრომათმართლურთიერთობაში მხარეების უფლებათა და მოვალეობათა განხორციელება 1971 წლის 1 იანვრიდან მოწესრიგდება საფუძვლების შესაბამისად.

3. იმ შემთხვევებში, თუ 1971 წლის 1 იანვრამდე მუშებსა და მოსამსახურეებს გადაიყვანენ სხვა სამუშაოზე მოცდენასთან დაკავშირებით, საფუძვლების მე-14 მუხლის მეორე ნაწილის წესები გამოიყენება სამუშაო დღეების შრომის ანაზღაურებისას 1971 წლის 1 იანვრიდან.

4. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას საფუძვლების სამოქმედო შემოღების შემდეგ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლი ადინიშნება საფუძვლების მე-15,

მე-16, მე-20 მუხლების შესაბამისად — მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონების კოდექსების სამოქმედო შემოღებამდე. ზოგერთი კატეგორიის მუშათა და მოსამსახურეთა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დამატებითი საფუძველი (საფუძვლების 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები) აღინიშნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის აქტების შესაბამისად, რომლებითაც დადგინდება ასეთი საფუძველი.

5. საფუძვლების მე-15 მუხლის მე-7 პუნქტის წესი შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სასამართლო განაჩენით მუშის ან მოსამსახურის დაჯახსთან დაკავშირებით, რაც გამოირიცხავს ამ სამუშაოზე მუშაობის განგრძობას, გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯისა და შრომათს საქმიანობაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმის შემთხვევებშიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 24, მუხ. 204) შესაბამისად.

6. საფუძვლების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესი მუშის ან მოსამსახურის შრომის უნარის დროებითი დაკარგვის გამო სამუშაოზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით შრომის ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობის შესახებ გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც შრომის უნარის დროებით დაკარგვა მოხდა 1971 წლის 1 იანვრამდე და გრძელდებოდა საფუძვლების სამოქმედო შემოღების შემდეგ.

7. გასაცვლელი დახმარების გადახდა საფუძვლების მე-19 მუხლის შესაბამისად წარმოება საფუძვლების სამოქმედო შემოღების შემდეგ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებში, მიუხედავად სამსახურიდან დათხოვნის შესახებ წინასწარი გაფრთხილებისა.

8. დადგინდეს, რომ საფუძვლების 32-ე მუხლის მესამე ნაწილის წესი შევებულებათა ფულადი კომპენსაციით შეცვლის დაუშვებლობის შესახებ არ გამოიყენება 1971 წლის 1 იანვრამ-

დგ. გასული სამუშაო წლების შევებულებათა მიმართ.

9. საფუძვლების 43-ე მუხლის მეორე ნაწილი გათვალისწინებული ხელფასის გადახდა, რაც არ იქნება დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, იმ შემთხვევებში, თუ არ შესრულდება გამოჩუქების ნორმები, დამზადდება წუნებული პროდუქცია ან ადგილი ექნება შოკდენას, რაც მუშისა თუ მოსამსახურის მიზეზით არ მომხდარა, წარმოებს საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდგომი დროის მანძილზე.

10. მუშებისა და მოსამსახურეების მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების წესი, რომელიც დადგენილია საფუძვლების 49-ე მუხლის მეცამე და მეოთხე ნაწილებით, გამოიყენება აგრეთვე საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ და 1971 წლის 1 იანვრამდე მიყენებული ზარალის ანაზღაურების შემთხვევების მიმართ.

11. შრომით დაეას ადმინისტრაციის ინიციატივით დათხოვნილი მუშაკებისა და მოსამსახურეების სამუშაოზე აღდგენის საკითხებზე, აგრეთვე მუშაკის მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხებზე (საფუძვლების 89-ე მუხლის მეორე ნაწილი), რომლებიც არ განუხილავთ შრომითი დავის კომისიებს და პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებს 1971 წლის 1 იანვრამდე, უნდა გადაწყვიტონ სასამართლოებმა.

12. დადგინდეს, რომ საფუძვლების 90-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ვადები, როდესაც ადმინისტრაციას შეუძლია მიმართოს რაიონულ (ქალაქის) სახალხო სასამართლოს მუშაკის მიერ მატერიალური ზარალის ანაზღაურების შემთხვევებს მიმართ, თუ დავა განიხილება 1971 წლის 1 იანვრის შემ-

დეგ. აღნიშნულ შემთხვევებში ამ ვადებს გამოითვლიან 1971 წლის 1 იანვრიდან.

13. წესები იძულებითი გადენის ან უკანონოდ გადაყვანისას დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის ანაზღაურების შეახებ, რაც დადგენილია საფუძვლების 92-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, აგრეთვე საფუძვლების 94-ე მუხლის მეორე ნაწილით, გამოიყენება უკანონოდ დათხოვნის ან გადაყვანის შემთხვევებში, რაც მოხდა საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე.

14. საფუძვლების 93-ე მუხლით გათვალისწინებული წესი იმის შესახებ, რომ დაეკისროს თანამდებობის პირს, რომელიც დამნაშავეა მუშაკის უკანონო დათხოვნასა ან სხვა სამუშაოზე გადაყვანაში, ანაზღაუროს საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალი იძულებითი გადენის ან დაბალხელფასიანი სამუშაოს დროისათვის ანაზღაურებასთან დაკავშირებით; გამოიყენება უკანონოდ დათხოვნის ან გადაყვანის შემთხვევებში, რაც მოხდა საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

15. საფუძვლების 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4 პუნქტის შესაბამისად საკანონმდებლო აქტების მიღებამდე დადგინდეს, რომ მუშაკები, რომლებიც აღმზრდელი ფუნქციებს ასრულებენ, შეიძლება დათხოვნილ იქნან სამუშაოდან ადმინისტრაციის ინიციატივით ამ მუშაობის გაგრძელებასთან შეუთავსებელი ამორალური საქციელის ჩადენის შედეგად. აღნიშნულ საფუძველზე დათხოვნილება იმ წესის დაცვით, რომელიც დადგენილია საფუძვლების მე-18 მუხლით, და გასასვლელი დანმარების გადაუხდელოდ.

16. დაევალოს სსრ კავშირის მინისტროსა და სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებები შეუსაბამოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოლპოვნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე

მოაკოვი, კრემლი. 1970 წლის 30 ნოემბერი.

ჩვენის საახალწლო ინტერვიუ

გაგაცილეთ 1970 წელი. გასული წელი — ეს არის უკვე განვლილი გზა, ადგებულ სიმაღლეებში.

1970 წელი კარგი წელი იყო. მომავალი უკეთესი უნდა იყოს — ფეხბედნიერი, უღრუბლო, სიკეთისა და სიხარულის მომტანი.

რით იყო ღირსშესანიშნავი 1970 წელი ადამიანებისათვის და რა სურთ მათ ახალ 1971 წელს?

ამის გარკვევას ემსახურება ჩვენი საახალწლო ანკედა.

1. როგორ შეხვდით ახალ, 1971 წელს?
2. წარსული წლებიდან რომელი იყო თქვენთვის ყველაზე ბედნიერი წელი?
3. ახალი წლის წინა დამე შთაბეჭდილებიანია, ფიქრობ წარსულზე და მომავალზეც. გული სხვა სიხარულით ივსება, და აი ამ დროს რას ინატრებდით?



პროფ. თინათინ ჩერეთელი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის
სექტორის გამგე

1. 1970 წელს სამართლის სექტორი ინტენსიურად ვმზადებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის იუბილე-სათვის. გამოიცა შრომები, მიძღვნილი ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების ი. ფუტყარაძის ნაშრომი „საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარება“ და ა. მენაბდის ნაშრომი «Развитие государственности Грузинской ССР». ამავე წელს დაიბეჭდა აკად. ი. დოლიძის მიერ მომზადებული „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III.

1970 წელს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა სამართლის სექტორის თანამშრომელთა მეცნიერული ზრდა. ამ წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თ. ლილუაშვილმა. სექტორის თანამშრომლებმა — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. შაველიძემ, თ. გამყრელიძემ, ნ. უგრეხელიძემ, მ. უგრეხელიძემ და სხვ. გამოაქვეყნეს სერიოზული მეცნიერული წერილები არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო იურიდიულ ჟურნალებშიც. ახალგაზრდა მეცნიერთა ზრდის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ცენტრალურ იურიდიულ ჟურნალებში სწორად ქვეყნდება დადებითი რეცენზიები მათ ნაშრომებზე. ასე, მაგალითად, 1970 წელს სამართლის თეორიის ცნობილმა სპეციალისტმა ალექსეევმა ჟურნალ «Правоведение»-ში გამოაქვეყნა რეცენზია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ფხალაძის ნაშრომზე — «Юридические формы положения личности в советском обществе». ეს რეცენზია შემდეგი სიტყვებით იწყება: «Одно из примечательных явлений развития правовых исследований в СССР — издание в ряде союзных республик крупных работ по общей теории права и отраслевым юридическим наукам. К числу таких работ принадлежит и рецензируемая книга Б. В. Пхаладзе, посвященная анализу правового положения личности в советском обществе».

სამართლის სექტორის პრეტეიის აღიარების დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ 1970 წელს სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გ. ჟვანია აირჩიეს კოსმოსური სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრად (ცენტრი — პარიზში).

1970 წელს ჩაბარდა გამოცემლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაწერილია სამართლის სექტორის თანამშრომლების მიერ.

პირადად ჩემთვის აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ორგანოში «Revue internationale de droit pe'nal» 1970 წელს გამოქვეყნდა წერილი, მიძღვნილი საფრთხის შემქმნელი დელიქტებისადმი. წერილი წარმოადგენს იმ მოსხვედრის ვრცელ ტექსტს, რომლის თეზისები წაიკითხე ამ ასოციაციის მეათე კონგრესზე რომში 1969 წელს.

2. ჩემთვისაც და სამართლის სექტორისთვისაც მეტად საინტერესო იყო 1959—1960 წლები, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარებდა ახალი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობის შესაქმნელად. სამართლის სექტორმა ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩატარა, როგორც მთელი რიგი წერილების გამოქვეყნებით, ისე დასკვნების მიცემით და უშუა-

ლო მონაწილეობით თათბირებსა და კონფერენციებში, რომლებიც საკავშირო „საფუძვლებსა“ და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების გამოშვებებს ეძღვნებოდა. ასეთი კონფერენცია, მიძღვნილი ამირტაგ-კასის რესპუბლიკების კოდექსების შექმნისადმი, საქართველოშიც ჩატარდა. მისი ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი სამართლის სექტორიც იყო. ბოლოს სამართლის სექტორის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებაში.

მნიშვნელოვან თარიღად უნდა ჩაითვალოს 1963 წელი, როდესაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი გადაკეთდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტად, ხოლო სამართლის სექტორი სამ განყოფილებად გაიყო. ამან ხელი შეუწყო სამართლის მეცნიერების ინტენსიურად განვითარებას.

ბოლოს, მნიშვნელოვან წლად მიმაჩნია გასული, 1970 წელი, როდესაც ჩვენს სექტორში შეიქმნა ახალი — სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის განყოფილება, რამაც, ჩვენი აზრით, ბიძგი უნდა მისცეს სამართლის ამ დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა სწრაფად განვითარებას.

პირადად ჩემთვის უკანასკნელი წლებიდან ყველაზე საინტერესო იყო 1969 წელი, როდესაც მე მონაწილეობა მივიღე კრიმინალისტთა მეათე საერთაშორისო კონგრესში. მე აქ შესაძლებლობა მომეცა პირადი და მეცნიერული კონტაქტები დამემყარებინა სოციალისტური ქვეყნების ცნობილ კრიმინალისტებთან (პოლონელი კრიმინალისტები — პროფ. ანდრეევი, პროფ. ბაფა, პროფ. სლავსკი, მარია ლახვიჩი, ბულგარელი კრიმინალისტი ნენოვი, რუმინელი — ფოლორ და სხვები), აგრეთვე ბურჟუაზიული ქვეყნების კრიმინალისტებთან. მათ შორის განსაკუთრებით მიხდა აღვნიშნო სოციალური დაცვის თანამედროვე თეორიის მამამთავრები — ფრანგი მარკ ანსელი, შვეიცარიელი — ჟან გრავენი, ბელგიელი — სევერინ ვერსელი და ნორვეგიელი — ჯონან დენსი, არგენტინელი მეცნიერი — კომუნისტი დავით ბელუჯინი და სხვ.

საბჭოთა დელეგაციის მონაწილეებმა საბჭოთა კავშირში დაბრუნებისას აღნიშნეს საერთაშორისო კონტაქტების სისუსტე და საჭიროება საბჭოთა სამართლის უფრო ინტენსიური პროპაგანდისა საზღვარგარეთ, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ყოველი შესაძლებლობა საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებში და სხვ. მონაწილეობისა.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე 1967 წელი, როდესაც ამირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

3. საქართველოში სამართლის მეცნიერების წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყოთა ხელს სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

1971 წელს სამართლის სექტორი ემზადება პარტიის XXIV ყრილობისადმი მიძღვნილი მეცნიერული კონფერენციისათვის. ვისურვებდი ამ კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებას.

უფრო მჭიდრო კანტაქტი დამყარდეს მართლმსაჯულების ორგანოებთან. კიდევ უფრო ამაღლდეს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაცია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დასაცავად. საინტერესოდ მომზადდეს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული; გამოიქვეს II ტომი წიგნისა „მოძღვრება დანაშაულზე“.

ართონ ტაკიძე,

საქართველოს სსრ პროკურორი

1. შედარებით უკეთ, ვიდრე 1970 წელს. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს დამნაშაევების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა ისეთი საშიში კატეგორიის დანაშაულობათა წინააღმდეგ, როგორც არის სოციალისტური ქონების გატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია და სხვ. მიღებული ზომების შედეგად გაიზარდა დამნაშავეთა გამოვლენის რიცხვი. მნიშვნელოვნად შემცირდა მკვლელობის, ხულოცობის, ძარცვისა და სხვა შემთხვევები. ნაწილობრივ გაუმჯობესდა გამოძიების ხარისხი, მოქალაქეთა დაკავება-დაპატიმრების საფუძვლიანობა, დანაშაულობათა გასსნა და სხვ.

საქმიანი ღონისძიებები განხორციელდა დანაშაულის თავიდან აცილებისათვის. გაძლიერდა მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდა. პროკურატურის ოპერატიული მუშაკების მიერ წაიკთხულია 3885 ლექცია-მოსხენება. პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში კანონიერების საკითხებზე გამოქვეყნებულია 536 წერილი და საუბარი.






გასულ წელს 17 პროცენტით შემცირდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულ არასრულწლოვანთა რაოდენობა.

2. 1970 წელი. შემეძინა შვილიშვილი, პატარა ზურაბი, რომელმაც განუსაზღვრელი სისარული და ბედნიერება შემოიტანა ოჯახში.

3. აღსრულებული იყოს კეთილ ადამიანთა ნება — მშვიდობა ყოფილიყოს მსოფლიოში. ყოველი საბჭოთა მოქალაქე იცავდეს კანონს და პატივს სცემდეს მას. მინიმუმამდე შემცირდეს დანაშაული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულ პირთა რიცხვი. არც ერთ ახალგაზრდას არ ჩაედინოს დანაშაული, მხოლოდ შრომითა და სწავლით ესახელებინოს თავი.



ვლადიმერ მაისურაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

1. პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო იუსტიციის სამინისტროს შექმნა. სამინისტროს ამოცანაა სასამართლო ორგანოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის განხორციელება. რასაკვირველია, იგულისხმება ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, საერთო კონტროლის განხორციელება მათი მუშაობისადმი და არა სასამართლოების მიერ განხილულ კონკრეტულ საქმეებში ჩარევა. სასამართლოების მიერ კანონსაწინააღმდეგო განაჩენებისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში სამინისტრო ამის თაობაზე საკითხს დააყენებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო ორგანოებში.

სამინისტრომ დიდი მუშაობა უნდა გასწიოს მოქმედი კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციისათვის.

იუსტიციის სამინისტროს ახალი ფუნქცია არის სახალხო მურწნობის სამართლებრივი მომსახურებისადმი მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა. სამეურნეო უწყებების ხელმძღვანელობასთან ერთად სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს იურისკონსულტების, არბიტრებისა და ყველა სამსახურის საქმიანობის მიმდინარეობა სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვით, მათი კვალიფიკაციის ამაღლებით, რომლის განხორციელება შესაძლოა სხვადასხვა ფორმით მოხდეს.

ყოველმხრივ უნდა ამაღლდეს სასამართლო პროცესების, სასამართლო წარმოების კულტურა. უკვე მიმდინარეობს ზოგიერთი სასამართლოს შენობათა მშენებლობა. დასახულია ღონისძიება სასამართლო ორგანოების ავტომოტორტრანსპორტით მომსახურებისათვის. სასამართლოს აღმასრულებლებისათვის გათვალისწინებულია თანამედროვე სტილის სპეციალური ფორმა.

იუსტიციის სამინისტრომ გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს სამართლებრივი პროპაგანდისა და საბჭოთა ხალხის სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაციაში.

დიდია იუსტიციის სამინისტროს როლი სასამართლო და მთლიანად იურისტთა კადრების მომზადებასა და გადამზადებაში, მათს იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში.

- 2. ჩემმა თემურმა და ზურიკომ პირველი „ხუთიანები“ რომ მახარეს.
- 3. უფრო მეტ პატივს რომ სცემდნენ მოქალაქეები სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

ვალერი ლორია, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

1. ახალ წელს ჩვენი ფაკულტეტი ახალი წარმატებებით შეგვდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით ფაკულტეტის სტუდენტებს შორის გამოცხადდა სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ჯგუფის სახელისათვის. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ჩაატარეს გაერთიანებული თეორიული კონფერენციები თერჯოლაში, წითელ წყაროში, ქარელში. კათედრებმა მოამზადეს სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები. ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები გამარჯვებულები ჩამოვიდნენ ყამირი მიწებიდან და ჩამოიტანეს ოლქისა და რაიონის გარდამავალი დროშები.



2. 1965 წელი. ამ წელს დაეცავე საკანდიდატო დისერტაცია და ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შტატში ჩავირიცხე, დაეოჯახდი და პირველი შვილი შემიძინა.

3. მშვიდობას ვისურვებდი მთელ მსოფლიოში.

ჩვენს ფაკულტეტს შემდგომი წარმატებები მოეპოვებინოს. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს უფრო მეტი მაღალსარისხოვანი სამეცნიერო და სახელმძღვანელო ლიტერატურა დაეწეროთ, სტუდენტებს უფრო მეტად ავმაღლებინოთ თავიანთი მომზადების დონე. პროტექციონიზმი ფაკულტეტზე ალბოფხვრი-ლიყოს.

ვსურვებ ჩვენი ფაკულტეტის ყველა თანამშრომელს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალი გამარჯვებების მოპოვებას და ცუდ საბინაო პირობებში მყოფ პირთა საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებას.

ნორა ხუციშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

1. გასულ წელს ჩვენი კოლეგიის შემადგენლობა გარკვეულ მუშაობას ეწეოდა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეში. საქმის განხილვის დროს თანამდებობის პირების მიერ აღმოჩენილ კანონიერების დარღვევებზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში არსებით ნაკლოვანებებზე გამოგვჭინდა კერძო განჩინებები.

სასამართლო ორგანოების მუშაობაში დიდად შეუწყო ხელი ორი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტის — შრომის კანონმდებლობის საფუძვლებისა და საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მიღებამ. ახალმა კოდექსმა საგრძნობლად შეამცირა უსაფუძვლოდ წარმოშობილი დავები საოჯახო სფეროში.

2. დედა რომ გავხდით...

3. ყოველთვის სამართლიანობა ეგრძნოთ სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ მოსარჩელესა და მოპასუხეს.



სერგი კატარავა,

წალენჯიხის რაიონის პროკურორი

1. გასულ წელს ჩვენი რაიონის პროკურატურამ კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ გვაფიქრებს ბევრი გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი საკითხიც.

როგორც ყოველთვის, გასულ წელსაც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში გადაწყვეტი მნიშვნელობას ეანიჭებდით აღმინისტრაციულ ორგანოთა კოორდინირებულ მუშაობას, საზოგადოების როლის ამაღლებას. ვცდილობთ ყველამ იცოდეს კანონი. ჩვენ არ ველით მოქალაქეებს, თვით მივიდეთ მათთან — გატარებთ სემინარებს, ლექცია-საუბრებს სოციალისტურ კანონიერებაზე. ჩვენს საქმიანობაში არ არის პატარა და დიდი საქმე.

2. 1945 ... დიდი სასამულო ომის დამთავრების წელი.

3. ამაღლდეს ზნეობის როლი და განმტკიცდეს შინაგანი სანქცია — სინდისი, იშვიათად დაგვჭირდეს სამართლის ნორმის გამოყენება. და კიდევ... გიორგი ლეონიძემ ასე თქვა ერთხელ, ახალ წელს: „ჩემო ტკბილო სამშობლო... გიმრავლოს აკვნის ფიცრები, გიცოცხლოს სამარგალიტო ყმაწვილები, გიცოცხლოს



დანუკრებული, თვალღიშვრა, იისთვალემა ქალიშვილები, ნარჩევი ლამაზები, თვალცეცხლი, ტალიკი ბიჭები, გიმრავლოს და გიბედნიეროს!

გიცოცხლოს ფუძე და კერა, ადგილის დედა, ტბილქართული დედა ენა!“



რევაზ ცინცაძე,

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის
სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე

1. 1970 წელი ჩემთვის შინაარსიანი წელი იყო. ჩავაბარე საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, ვმუშაობდი სადისერტაციო თემაზე „პროკურორის მონაწილეობა სასამართლო ზედამხედველობის სტადიაში“ და, რაც მთავარია, გასულ წელს ამირჩიეს სახალხო მოსამართლედ. მე კარგად მესმის ჩემი მოვალეობის ტვირთი. როგორც ამბობენ, ადამიანის ბედით არ შეიძლება თამაში. ჩვენი ამოცანაა დავსაჯოთ, დავარწმუნოთ და გამოსწორების გზაზე დავაყენოთ გზასაცდენილი ადამიანი. ამისათვის საჭიროა ცოდნა როგორც იურიდიული მეცნიერებისა, ისე ცხოვრებისა. საჭიროა მთელი ჩვენი ნებისყოფა, ძალა და ენერჯია დავექვემდებაროთ ჩვენს საქმიანობას. ცხადია, მოსა-

მართლაც, რომელიც უდიდამოდ ეკიდება საქმეს, უგულისყუროდ ეკიდება ადამიანებს, ვერ შესძლებს ატაროს სახალხო მოსამართლის სახელი.

2. მომავალი ჯერ კიდევ წინ არის.

3. კიდევ უფრო მეტად შერწყმულიყოს პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების, ხაზოგადობის ფართო მასების მონაწილეობა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. უერთმანეთოდ მუშაობაში წარმატებას ვერ მივალწევთ. ნათქვამია, წისქვილის ქვები ერთმანეთს რომ არ ეხმარებოდნენ, რაც გინდა ცალმა ცალად იბრუნოს, მაინც ვერ დაფქვავსო.

ამბობენ, ახალი წლის წინა ღამის ნაოცნებარი სრულდებათ. დაე ასე ყოფილიყოს. ახალი წლის დღე ხომ დალოცვის დღეა.

საქართველოს მუშაკ-გლეხური მილიცია ბანდიციზმის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში (1921—1925 წ.წ.)

3. ხშირი

მენშევიკური მთავრობის სამი წლის ბატონობამ საქართველო გაბატონებამდე მიიყვანა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კლასობრივმა მტრებმა გამოიყენეს ეს სიძნელეები და გააქტიურეს მტრული საქმიანობა, ამასთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მიმართეს ახალ ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს.

ისევე როგორც საბჭოთა რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსიაში, შუა აზიაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და სხვა მხარეში, საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღი აღმართეს პოლიტიკურმა ბანდიტებმა და მტრულმა ელემენტებმა. თუმცა ბანდიციზმს საქართველოში ისეთი ფართო ხასიათი არ მიუღია, როგორც ქვეყნის სხვა ადგილებში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის იგი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა.¹

საქართველოს ზემდგომი ორგანოს მითითებით რევოლუციურმა კომიტეტმა კონტრრევოლუციურ ელემენტებთან და მესაბოტაჟებთან საბრძოლველად ჯერ კიდევ 1921 წლის 26 თებერვალს გამოსცა ბრძანება, რომელშიც აღნიშნული იყო: „საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტი უცხადებს ქალაქ თბილისის მცხოვრებთ, აგრეთვე მთელი საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთ, რომ ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედების, საბოტაჟისა და სპეკულაციის წინააღმდეგ წარმოებული იქნება დაუნდობელი ბრძოლა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რევოლუციური კომიტეტი რესპუბლიკის ქალაქებიდან და მასრებიდან სისტე-

მატურად იღებდნენ ცნობებს ბანდიტთა ბრბოების შესახებ, რომლებიდანაც აშკარად ჩანდა, რომ ბანდიციზმი ავადმყოფურ ხასიათს იღებდა. ბანდიტები ეწეოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვას, მკვლელობას, უტიფრად ესწმოდნენ თავს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, იტაცებდნენ საზოგადოებრივ და მოქალაქეთა პირად ქონებას.

უმრავლეს შემთხვევაში ბანდიტები გამოდიოდნენ როგორც შეიარაღებული მძარცველები. ისინი ერეკებოდნენ პირუტყვს, მშრომელ მოსახლეობას ართმევდნენ პროდუქტებს, ტანსაცმელს, ფულს.

ბანდიციზმი კონტრრევოლუციური მოვლენაა, — წერდა ვაჟეთი „პრავედა გრუზიი“: — მისი მოქმედება მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, იგი ხელს უშლის ადგილობრივი ორგანოების შემოქმედებით მუშაობას.

საქართველოს ზემდგომი ორგანოს დადგენილებით საქართველოს სსრ საგანგებო კომისიას დაევალა შეექმნა სათანადო ორგანო, რომელიც სპეციალურად იბრძოლებდა ბანდიციზმის წინააღმდეგ.²

საქართველოს ზემდგომი ორგანოს მითითებით რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 8 ოქტომბერს მიიღო სპეციალური დადგენილება, ბანდიციზმის ლიკვიდაციის თაობაზე.

„ბანდიციზმი, — ნათქვამი იყო რევოლუციური კომიტეტის დადგენილებაში, — განხილულ და შეფასებულ იქნას, როგორც ყოველად საშიში კონტრრევოლუციური მოვლენა და რესპუბლი-

1 1920—1921 წლებში უკრაინაში მოქმედებდა ათობით ბანდა. მართო მახნოს ბანდა ხუთი ათას კაცს ითვლიდა, ტიუტიუნის ბანდა—4,5 ათასს, ხოლო გოლოგოს ბანდა—ოთხი ათას კაცს.

2 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 281, ან. I, საქმე 12. ფ. 1. შემდგომში აღნიშნული არქივი ნახსენები იქნება შემოკლებით — სცსა.

3 ვაჟეთი „პრავედა გრუზიი“, 1921 წ. 23/X, № 194.

4 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფონდი 14, ან. 1, ს. 5, ფ. 39. შემდგომში აღნიშნული არქივი ნახსენები იქნება შემოკლებით — მლისტა.



კის ტერიტორიაზე მოქმედი ბანდიტთა ყოველი ბრბო უნდა მოისპოს სულ მოკლე ხანში სავსებით და უღმობლად...

ამასთანავე ეცხადება ყველა ბანდიტს: ვინც იარაღს დაკრის 10 დღის განმავლობაში და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდება, მიენიჭება ხაკოცხლე და თავისუფლება⁵.

მიუხედავად ამისა, ბანდიტებმა აშკარად დაიწყეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა ოზურგეთში, აჭარაში, სვანეთში, კახეთში, ბორჩალოში, ახალციხეში, ხევსურეთში და რესპუბლიკის სხვა რაიონებში. ბანდიტებმა გაიჩინეს თანამგვრძობები, დამხმარეები და ყოველნაირად ცდილობდნენ ერთეული ბანდიტური თავდასხმებიდან გადასულიყვნენ მასობრივ ტერორზე, თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ დასახლებული პუნქტები და რაიონები და ამით მოემზადებინათ ნიადაგი შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ბრძოლა ბანდიტიზმთან ძვირად უჯდებადა მუშურ-გლეხურ მილიციას. 1922 წლის მაისში სელნადის მაზრაში ბანდიტებთან შეტაკების დროს დაიღუპნენ მილიციის თანამშრომლები: გ. გოგოლაშვილი, ლ. ბეჟაშვილი, დ. ტუხაშვილი, ვ. გომელაური, ი. მესტიაშვილი, დაიჭრნენ კ. საღარაძე, ვ. დარჩიაშვილი, ს. ტაბეტაშვილი, ი. კორაშვილი, ს. ბეგიაშვილი⁶.

ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 25 აგვისტოს დადგენილებას — „საქართველოს სსრ-ში ბანდიტიზმთან ბრძოლის ორგანიზაციის გეგმის შესახებ“⁷.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა ბანდიტიზმთან ბრძოლის სამეულის შემადგენლობა, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან. სამეულის უფლება მიეცა შეექმნა შტაბი 10 კაცის შემადგენლობით, თავისი შეხედულებებისამებრ ადგილებზე ჩამოეყალიბებინა სპეციალური აპარატები.

ბანდიტიზმის ლიკვიდაციის მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო სახკომსაბჭოს სამეულს შეექმნა მებრძოლი რაზმები, ამავე დროს თვითეული მაზრიდან გამოეწვიათ ათათი მილიციელები.

1922 წლის 26 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სსდომაზე აღინიშნა, რომ ბანდიტიზმმა კახეთში დართო ხასიათი მიიღო, მის წინააღმდეგ მთლიანად არ იყო მოზილიზებული არ-

სებულები ძალები და საშუალებანი. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება. საჭიროდ იქნა მიჩნეული პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების ადგილებზე გაგზავნა ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

თელავის, სიღნაღის, თიანეთის და ღუშეთის მაზრების მილიციის საჭირო მატერიალური საშუალებებით უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დაევალა სათანადო სახსრების გამოხსნა.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დაევალა კახეთის ზონის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილი პარტიული მუშაკებით დაკომპლექტება. ამ დადგენილების მიღების შემდეგ კახეთის ზონის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გარდაქმნეს მუშაობა. მათი დადგენილი პარტიული ორგანოების მთელი საქმიანობა წარიმართა ბანდიტიზმის ლიკვიდაციისაკენ.

1922 წლის ოქტომბერში თელავის მაზრის მილიციის მუშაკებმა შეიპყრეს ბანდიტები — მენშევიკური გვარდიის ოფიცრები ა. დაგოშვილი, ფ. წაწალაშვილი, მკვლელი რევილივისტები ა. გოჩიაშვილი, ა. ტეტაშვილი, ვ. შოშიაშვილი. მათ ბრალად ედებოდათ ალაზნის ქალაში მგზავრების სისტემატური ძარცვა და მოქალაქეთა მკვლელობანი.

აჭარის მილიციის მუშაკების ოპერატიული ღონისძიებებით ლიკვიდირებული იქნა ბანდიტ მანწკავასა და დოლიძის მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ძარცვავდა გურიისა და აჭარის მშრომელ მოსახლეობას⁸.

1922 წლის მეორე ნახევარში ბანდიტიზმი გავრცელდა საქართველოს მთიან რაიონებში. ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი გვერდწითელი, გამაგრებული იყო მჭადიჭარის ტერიტორიაზე (ღუშეთის მაზრა). იგი 150 მძარცველს აერთიანებდა. ხევსურეთში მოქმედებდა მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკის ქ. ჩოლოყაშვილის ბანდა, რომელიც 500-მდე შეიარაღებულს ითვლიდა. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ამ ბანდების ლიკვიდაცა დაევალა წითელი არმიის ნაწილებს. 30 აგვისტოს, როცა წითელი ჯარი დაიძრა ღუშეთისაკენ, ბანდიტებმა უკან დაიხიეს და შიდა ხევსურეთს შეაფარეს თავი. მაგრამ არც აქ დაღვათ კარგი დღე. წითელი არმიის ნაწილებმა მოახდინეს ამ ბანდის ლიკვიდაცა, თუმცა მათი ნაშთები კარგა ხანს

⁵ „მოამბე“, 1922 წ. № 13, გვ. 10.

⁶ „მოამბე“, 1922 წ. № 14—15, გვ. 37.

⁷ მლისცხა, ფონდი 14, ან. 1, ს. 207, ფ. 102.

⁸ აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 77, ან. 1, საქმე 52, ფ. 208.

ბოგინობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხე-ში და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

1922 წლის შემოდგომაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ოსურგეთში, რის გამოც ადგილზე ჩავიდნენ ამხანაგები ს. ორჯონიკიძე და ვ. სტურუა. მოწვეულ იქნა ოსურგეთის მაზრის აღმასკომის საგანგებო სხდომა, სადაც ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე. მან ოსურგეთის მაზრის კომუნისტების, პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების, განსაკუთრებით კი მაზრის მილიციის ყურადღება გაამახვილა ბანდიტიზმთან ბრძოლის ღონისძიებებზე.

სხდომაზე არჩეულ იქნა 30 მუშაკი. ისინი ერთიანდნენ ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სუთეულში. სუთეულს მიენიჭა საგანგებო უფლება — თანახმად ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული გეგმისა.

ოსურგეთის მაზრის მილიციის უფროსს პ. მხარაძეს და პოლიტიუროს უფროსს ა. მედიქაძეს დაევალით ბანდიტიზმთან საბრძოლველად შეექმნათ საიმედო რაზმები და უმოკლეს ხანში წარედგინათ აღმასკომის სხდომებზე დასამტკიცებლად.

მაზრის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მილიციის მუშაკებმა სათანადოდ გაააქტიურეს მუშაობა. ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება მთელი აქტივი. რამდენიმე ბანდიტი მოკლეს. ზოგიერთმა გაქცევით უშველა თავს.

1922 წლის 26 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი „ოსურგეთის მაზრაში ბანდიტიზმთან ბრძოლის ხაზით სუთეულის მუშაობის შესახებ“. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა სუთეულის მუშაობა. მიზანშეწონილად ჩათვალა სუთეულის დატოვება და მისი უფლება-მოვალეობის გაფართოება. მასვე შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ მიეღო რეპრესიული ზომებიც. საჭიროდ იქნა მიჩნეული სუთეულის განკარგულებაში 500 მილიციელის გადაცემა, პოლიტიუროს გაძლიერება. ოსურგეთის მაზრის სუთეულის უფროსს დაევალი მჭიდრო კავშირი დაემყარებინა ცენტრალური სუთეულთან და მოეწოდებინა მისთვის საჭირო ინფორმაცია⁹.

ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის, ბანდიტთა მტრული მოქმედების უფნებელყოფისათვის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები იყენებდნენ სხვადასხვა მეთოდებსა

და ხერხებს. ერთ-ერთი ფორმა იყო ბანდიტის ე. წ. „შერიგება“.

ახალციხის მაზრაში შიშის ზარს სცემდა ცნობილი ბანდიტი, ყოფილი ბეგი ყარა ფიჭულა ოღლი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა თურქეთის ასკერებთან. მან მოახერხა შეექმნა თანამგრომობთა დიდი ჯგუფი. მაზრის პარტიულმა ორგანიზაციამ, სამაზრო აღმასკომმა და მილიციამ მოსახლეობის დახმარებით დაითანხმეს ბანდიტი ყარა ჩაბარებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და მას ამისთვის შეუფარდებდნენ. ბანდიტი თვითონ გამოცხადდა მილიციაში. ბანდიტის ჩაბარების ცერემონიალს დიდძალი ხალხი დაესწრო. იგი გადაიქცა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების ჭეშანურობის აღიარების დემონსტრაციად. ბანდიტები მიხვდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებაში შურისძიების ნიშანწყულიც არ არის, თუ კი გამოისყიდი დანაშაულს, შეგიძლია მშვიდობით იცხოვრო, დადგე სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა რიგებში¹⁰.

ბანდიტ ყარას ნებაყოფლობით ჩაბარების აქტმა დიდი გავლენა მოახდინა მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მოქმედ ბანდიტებზე. ერთი კვირის შემდეგ მილიციის ორგანოებში ნებაყოფლობით გამოცხადდნენ ბანდიტები მანხურად სახატ ოღლი, ყარა ოსმან ოღლი, ამდი აშმად ოღლი და სხვები.

სვანეთშიც ფართო ხასიათი მიიღო ბანდიტობამ, ყაჩაღობამ, ძარცვა-გლეჯამ, ქაღათა გატაცებამ, მოავრობის საწინააღმდეგო მოქმედებამ, მილიციაზე თავდასხმამ. ზემო სვანეთის აღმასკომი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის გაუზავნილ მოხსენებით ბარათში იტყობინებოდა, რომ ვინმეს დატუსაღების შემთხვევაში ისინი შეიარაღებულ წინააღმდეგობას აწყდებიან... ამას ემატებოდა სვანების მიერ ყაბარდოელებისა და ყარაჩაელების გაძარცვაც. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეძლეს ვერც ერთი ყაჩაღის დაჭერა. იყო ასეთი შემთხვევაც: შეიარაღებული სვანები დაეცნენ მილიციის საფუშავოს, მოიტაცეს ნესტორ გარდაფხაძის ქალიშვილი. მილიციამ მათ წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რადგან შეიარაღებულთა რაოდენობა 40-ს აღემატებოდა, საფუშავოებზე კი მხოლოდ 8 კაცი იყო¹¹.

1922 წლის 15 მარტს ღამით ზემო სვანეთიდან ცაგერში ჩამოვიდნენ ბანდიტები, თავს და-

⁹ მლისბა, ფ. 14, ან. 1, ს. 208, ფ. 213.
¹⁰ Газ. «Правда Закавказья», 1922 г., № 13.
¹¹ მლისბა, ფონდი 14, ან. 1, ს. 1008, ფ. 156.



ესხნენ ლაშქრისა და ჩოღურში მდგარ წითელ-არმიელებს, განაიარაღეს ისინი და 100 კაცი ტყვედ წაიყვანეს. როგორც ცაგერადან გამოგზავნილ ცნობაში იტყობინებოდნენ, ბანდა 650 კაცს აერთიანებდა, რომლიდანაც 500 შეიარაღებული იყო. ბანდის მეთაურები იყვნენ ბიძინა პირველი, გრიშა და მალაქია ონიანები და ბიძინა გვიშიანი.

საქართველოს ხელმძღვანელმა ორგანოებმა 1922 წლის 16 მარტს განიხილეს საკითხი — ზემო სვანეთში ბანდის მოქმედების შესახებ და შეიმუშავეს სპეციალური ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებდა მთელი მოსახლეობის მობოლიზებას ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში. სვანეთში მივლინებულ იქნა პასუხისმგებელი მუშაკები პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან, საგანგებო კომისიიდან. აქ გაიგზავნენ წითელარმიელები. გადახალისდა ზემო სვანეთის სამაზრო კომიტეტი, მაზრის აღმასკომი. რაიონის სოფლებში მიავლინეს პარტიული და კომკავშირული მუშაკები, ზემოსვანეთში დამატებით გაიგზავნა მილიციის რაზმი 30 კაცის შემადგენლობით. ამას გარდა ენგურის, დაღის (აფხაზეთის სვანების) და სხვა შემოსასვლელი გზები გამაგრებულ იქნა ზუგდიდის და კოდორის მაზრის მილიციის დახმარებით.

გატარდა მთელი რიგი ოპერატიული ღონისძიებანი. მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწემ ბაუჩი ქალღანმა შვიდი მილიციელის დახმარებით განადგურა ყაჩაღ ჭაფარიძის ბანდა ჯვიბერის თემში. მანვე შეიპყრო ბანდიტი ვიბლიანიც. ბანდიტებთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. გეგუქორის ბრძანებით ზემო სვანეთის მილიციის თანამშრომლები ბ. ქალღანი, ი. ჭაფარიძე, ი. კვიციანი დ. გაურჩიანი, მ. მილდანი, ე. ქალღანი, ე. ჭანჭველიანი, ჯ. ციდელანი წახალისებულ იქნენ¹². პარტიის სამაზრო კომიტეტმა და აღმასკომმა ყველაფერი გააკეთეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის. ზემო სვანეთში საგრძნობლად იკლო ბანდიტობამ, ყაჩაღობამ, უფრო შედე-

განი განდა საბჭოთა ორგანოების მუშაობა.

რესპუბლიკის ბევრ მხარეში ბანდიტების მოქმედება თანდათანობით მკაცრ ხასიათს იღებდა. ისინი დაშინებისა და ძალადობის გარდა მიმართავდნენ ტერორს. 1922 წლის 4 დეკემბერს ოჩამჩირიდან 6 კილომეტრის მოშორებით ბანდიტებმა დახვრიტეს კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი ამბროსი კობახია¹³. ბანდიტმა აფხაზეთამ მოკლა სუფსის მილიციის უფროსი ჩხაიძე. წინანდლის ახლოს ჩოლოყუშვილის ბანდამ წამებით მოკლა უფროსი მილიციელი კ. ამირანიძე, წინანდლის რევკომის თავმჯდომარე ვ. მეგუთინიშვილი, კომუნარები გ. დოგუნდარიძე და ფ. კირაკოზოვი¹⁴.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1923 წლის 3 იანვრის და 5 თებერვლის სხდომებზე სპეციალურად იმსჯელეს ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობაზე. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო აღნიშნულ მაზრებში გაგზავნათ გამოცდილი პარტიული მუშაკები, გადაწყდა ჩატარებულიყო იმ კომუნისტების წმენდა, რომლებიც ბანდიტიზმთან ბრძოლაში პასიურობდნენ. ამასთანავე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბანდიტიზმთან ბრძოლაში განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების გამოყენების შესახებ.

ჯერ კიდევ 1921 წლის 16 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტიული წერილი განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების შექმნის შესახებ. გატარდა საჭირო ღონისძიებანი ნაწილების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის¹⁵. განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების მოქმედება მიმართული იყო შპიონაჟისა და დივერსიის წინააღმდეგ, ამასთანავე იგი საიმედოდ იცავდა რკინიგზას და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს.

1923 წელს, 10 თვეში, რესპუბლიკის მუშურ-გლეხურმა მილიციამ განადგურა 285 ბანდიტი, აქედან 114 მოკლულ იქნა, ხოლო 117 შეპყრობილი. გატარებული ოპერატიული ღონისძიებებით ნებაყოფლობით გამოიყვანეს 54 ბანდიტი¹⁶. ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ მილიციის პირადი შემადგენლობა თავდადე-

¹² „მოამბე“, 1922 წ. № 45—46, გვ. 34.

¹³ Газ. «Голос трудовой Абхазии», 17 декабря, 1922 г.

¹⁴ სცსა, ფონდი 818, ან. 1, ს. 78, ფ. 5.

¹⁵ მლისფა, ფონდი 14, ან. 1, ს. 5, ფ. 39.

¹⁶ მლისფა, ფონდი 14, ან. 1, ს. 643, ფ. 102.

ბით იბრძოდა ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის.

1924 წლის 6—11 მაისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის III ყრილობა, რომელმაც მოისმინა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშები, პარტიის მიერ განხორციელებული ეროვნული პოლიტიკის შედეგები, შინაპარტიული მდგომარეობა და პარტიული მშენებლობის ამოცანები, პარტიის ამოცანები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე სოფლად მუშაობის, სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების, ახალგაზრდობასთან მუშაობის და სხვა საკითხები.

განხილულ საკითხებზე ყრილობამ მიიღო სათანადო რეზოლუციები. ყრილობამ დასახარებულად ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ამოცანები.

ყრილობის ჩატარების რამდენიმე თვის შემდეგ პოლიტიკური ვითარება მეტად დაიძაბა. დამხობილმა კლასებმა, დამარცხებულმა პარტიებმა გაააქტიურეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პოლიტიკური ბანდიტებისა და კლასობრივი მტრების გამოსვლები კიდევ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. მენშევიკი ემიგრანტები და მათი დამჯავში—დასავლეთელი იმპერიალისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ საბჭოთა საქართველო აჭაწყების ცეცხლში გაეცხათ.

1921 წლის ნოემბერში, კავკასიაში აჭაწყების მომზადების სახელმძღვანელოდ არჩეულ იქნა სამხედრო კომისია, ხოლო 1922 წლის აგვისტოში საქართველოში არსებულმა ანტისაბჭოთა პარტიებმა მოახდინეს გაერთიანება და შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელსაც სხვაწარად „პარტიტეტული კომიტეტი“ ეწოდებოდა.

„პარტიტეტული კომიტეტი“ შეიარაღებული აჭაწყებისათვის ემზადებოდა. აჭაწყების ხელმძღვანელობისათვის საზღვარგარეთიდან ჩამოვიდნენ სამშობლოდან გაქცელებული მენშევიკური მთავრობის პირწავარდნილი დამჯავშები ჯალათ ჭულელის მეთაურობით, რომლებმაც კავშირი დამყარეს ბანდიტურ ჯგუფებთან: კახეთში — ჩოლოყაშვილთან, ქართლში — ლაშქარაშვილთან, ბორჯომში — კასრადისთან და ა. შ. გადაწყდა შეიარაღებული აჭაწყება დაწყებულიყო 1924 წლის 28 აგვისტოს. მაგრამ აჭაწყების დაწყებამდე საქართველოს სსრ სავანგებო კომისიამ და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებმა, განსაკუთრებით კი მუშურ-გლეხური მილიციის პირადმა შემადგენლობამ, მთელი რიგი

ღონისძიებანი განახორციელეს იმისათვის, რომ ეს ავანტიურა არ დაწყებულიყო. ჯერ კიდევ 24 ივლისს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა „პარტიტეტულ კომიტეტთან“ არსებულ ტერორისტული ჯგუფის თავმჯდომარე, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი მ. კოლუაშვილი.

მ აგვისტოს აფხაზეთის ასრ სამურწავანოს მაწრაში დააპატიმრეს „პარტიტეტული კომიტეტის“ რწმუნებული სამხედრო ორგანოეციაში მიქელაძე, ჭულელის თანამებრძოლი — გურჯაა.

მ აგვისტოს თბილისში დააპატიმრეს ყოფილი სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი, მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის წევრი, მთელ საქართველოში ცნობილი ბანდიტი, დუშეთისა და აფხაზეთის მშრომელ გლეხთა აჭაწყების სისხლში ჩაახშობი ვ. ჭულელი, რომელიც ჯარანგების ჯარის ოფიცერი იყო.¹⁷

1924 წლის 30 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა მთავრობის ცნობა. მთავრობა საჭიროდ ცნობს, — ნათქვამი იყო მასში, — მიაწოდოს მოქალაქეთ ნამდვილი ცნობები იმ ამბის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაუშინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მენშევიკური ცეკას და „პარტიტეტული კომიტეტის“ კონტროლქვეშ მომუშავე ავანტიურისტებმა თავად ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს შეიარაღებული აჭაწყება მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთხელ განუცხადებიათ—უარს ამბობენ შეიარაღებულ თავდასხმებზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს უნდა ჩაითვალოს სასოწარკვეთილ და უბუნურ მოქმედებად.

ამ მიზნით, 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე მენშევიკმა ბანდიტებმა მოახდინეს თავდასხმა ჭიათურაში. ბანდა შედეგობა კონტრრევოლუციური „პარტიტეტული კომიტეტის“ წარმომადგენლებისაგან, ყოფილი პოლკოვნიკების, თავადების, აზნაურებისაგან. ჩვენ მიერ მიღებულ ზომებით ეს გამოსვლა ჩქარა იქნა ჩაქრობილი და ჭიათურაში აღდგენილია ნორმალური ცხოვრება. აჭაწყების მომწყობნი და მეთაურები ყველა დაპატიმრებულია და სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეში მენშევიკების მიერ მოწყობილი იქნა ასეთივე ბანდიტთა გამოსვლები, რომელიც ჩაქრობილია თვით ადგილობრივ მშრომელთა ძალით.

მანგლისის რაიონში გამოსვლები დაიწყო სოფ. პრიუტიდან. 28 აგვისტოს 60 კაცი-საგან შემდგარი ბანდა დამის სამ საათზე დაეცა მილიციის სადარაჯოს, სადაც იმ ღამეს იმ-

¹⁷ გაზეთი „კომუნისტი“, 1924 წ. 8 აგვისტო.



ყოფებოდა მანგლისის მილიციის უფროსი და-
წვლია, მას იქ ეძინა ერთ მილიციელთან ერთად. ისინი ბანდიტებმა დააბატირეს. სროლის დროს მძიმედ დაჭრეს სადარაჯოს მილიციელი ჩისტლინი და მოკლეს მისი მცირეწლოვანი შვილი, ვაიტაცეს მილიციის ცხენი, ტანისამოსი¹⁸. ბანდიტებს დაედევნენ მილიციელები და ადგილობრივი შეიარაღებული ძალები, მანგლისის რაიონში შეიპყრეს აქტიური ბანდიტების დიდი უმრავლესობა.

მაღე თანეთის მაზრის მილიციის მიერ ლიკვირებული იქნა ჩლოოყაშვილის ბანდის აქტიური წევრი მ. ხელაშვილი, რომლის მსხვერპლი გახდა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. სურგულაძე.

სერიოზული ბრძოლები წარმოებდა სენაკის მაზრაშიც. სენაკი ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. 28 აგვისტოს ახალ სენაკს ფაქტიურად მენშევიკი ავანტიურისტები განაგებდნენ. შემდეგ ახალსენაკელთა დასახმარებლად მივიდნენ აბაშის რაიონის კომუნარები, რომელსაც აბაშის მილიციის უფროსი კომუნისტი ლადო ქარჩილიაძე მეთაურობდა. მან როცა შეიტყო, რომ ახალ სენაკში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, შეყრბა მილიციის მუშაკები, კომუნარები და გაემართა ტესურისაკენ. მდინარის პირას მეორედ მომხდარი შეტაკების დროს იგი მტრის ტყვიით განგმირული დაეცა. მაზრის მილიციასთან შეტაკების დროს მოკლულ იქნა 20 ბანდიტი.

1924 წლის 31 აგვისტოს აფხაზეთის სახკომსაბჭომ გამოაქვეყნა ცნობა მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

„...სამურწყაყანოს ორ სოფელში 30 აგვისტოს განადგურებულ იქნა ბანდიტური ჯგუფი, რომელიც ცდილობდა დაეპყრო სასოფლო საბჭოები. სამაზრო აღმასკომის გადაწყვეტი ზომების შედეგად ავანტიურისტებს ეს ძვირად დაუჯდათ. შეიარაღებული რაზმები სტიქიურად, მთელი მაზრიდან წავიდნენ სოხუმის მიმართულებით ბანდიტების განანადგურებლად. კომუნისტები, კომკავშირელები, მუშურ-გლეხური მილიცია სწრაფად იქნა მოზილიზებული საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და მენშევიკური ავანტიურის ასაცილებლად“¹⁹.

მენშევიკური ავანტიურის დროს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ოსურგეთის მილიცია აღმოჩნდა. ოსურგეთში მენშევიკების გავლენა საკმაოდ დიდი იყო. სწორედ ამან განაპირობა კონტრრევოლუციური გამოსვლების სიმწვავე.

ქერ კიდევ აჩანებების დაწყებამდე ბანდიტებს შეეწირნენ ჩოხატაურის მილიციის უფროსი მამალაძე, თანაშემწე ჩანტლაძე, მილიციელი ა. მამალაძე, სუფსის მილიციის უფროსი ჩხაიძე და სხვები.

ავანტიურის პერიოდში ოსურგეთის მილიციის დასახმარებლად გაიგზავნა ქართული ჯარის ნაწილები, რომლებმაც ოსურგეთის მაზრა მალე გაწმინდეს კონტრრევოლუციონერებისაგან.

მენშევიკების სისხლიან ტერორს აღშფოთებით შეხვდა საქართველოს მშრომელი მოსახლეობა. ისინი მკაცრად გამოდნენ ავანტიურისტთა მოქმედების, მოითხოვდნენ მათ სასტიკად დასჯას. კონტრრევოლუციურმა გამოსვლებმა ნათელყო, რომ მენშევიკ-ავანტიურისტებს არ გააჩნიათ დასაყრდენი ძალა არც მუშათა კლასში და არც გლეხობაში.

კონტრრევოლუციური გამოსვლების პერიოდში საქართველოს მილიციას მხარში ედგა ადგილობრივი კომუნისტებისა და კომკავშირელების მიერ შექმნილი შეიარაღებული რაზმები, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ მუშების, გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი თავადებდნენ იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაცვისათვის. საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა მათ კომუნარები შეარქვეს. მართლაც, კომუნარებმა დიდი როლი შეასრულეს მენშევიკ-ავანტიურისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

1924 წლის 17 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მენშევიკური ავანტიურის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის საკითხი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებდა კონტრრევოლუციური ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ ბანდიტიზმის გააქტიურების შესაძლებლობას და აუცილებლად თვლიდა გაძლიერებულიყო მილიციის ორგანოებისა და კომუნარების ბრძოლა ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ. ბანდიტიზმთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების მიზნით შეიქმნა კომისია აშხ. ს. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. კომისიამ სხვა ღონისძიებებთან ერთად შეიმუშავა კომუნარების სამხედრო მომზადების გეგმა.

1924 წლის 20 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძენი დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი. გეგმა ითვალისწინებ-

¹⁸ მლისვა, ფონდი 14, ან. 1, ს. 2. ფ. 554.

¹⁹ Газ. «Голос трудовой Абхазии», 2 сент., 1924 г.

და ავანტიურის პერიოდში მობილიზებული კომუნარების 25 პროცენტით შემცირებას, მილიციის მუშაკებისა და ცხენოსანი კომუნარების პარტიზანულ ჯგუფებად გაერთიანებას. ისინი სტრატეგიული პუნქტების მიხედვით განაწილდნენ, თვითეულ პუნქტში 10—15 მილიციელით და ამდენივე კომუნარით²⁰.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მილიციასთან ერთად სხვა დამხმარე ძალებისა და საშუალებების მობილიზაციის საკითხებს. ადგილებზე ბანდიტებთან ბრძოლის ორგანიზაციის მიზნით შეიქმნა სამეულები, რომლებშიც შედიოდნენ ხელმძღვანელი მუშაკები. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სტრატეგიულ

პუნქტებში დაწესდა სადღეღამისო მორიგეობა.

1924 წლის 24 სექტემბრისათვის დამთავრდა მილიციისა და ცხენოსანი კომუნარების ფორმირება.

რესპუბლიკის მილიციის ორგანოებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, საგანგებო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, კომუნარების აქტიური დახმარებით დაძლიეს კლასობრივი მტრების გააფთრებული წინააღმდეგობა და სახალხო მეურნეობის აღდგენის დამთავრების პერიოდისათვის მიაღწიეს ბანდიტიზმის მთლიან ლიკვიდაციას.

²⁰ მლიაფა, ფონდი 14, ან. 1, საქმე 981. ფ. 416.

ღადო კეცხოველი მეგობრის ციხეში

(დაბადების 95 წლისთავისათვის)

6. მახარაზმილი

1903 წლის 17 აგვისტოს მეტეხის ციხეში ტყვიის გასროლამ სიცოცხლე მოუსწრაფა ახალგაზრდა პროფესიულ რევოლუციონერს, მტკიცე ლენინელს, ვლადიმერ ზაქარაიას ძე კეცხოველს. შეწყდა მოუსვენარი, ხიფათით აღსავსე ცხოვრება ადამიანისა, რომელიც რევოლუციას სწირავდა „არა თავისუფალ საღამოებს“, არამედ მთელ თავის სიცოცხლეს. სულ ოთხი წელი მოღვაწეობდა ღადო ამ ასპარეზზე. სულ მოკლე ხნის მანძილზე მან ადამიანის შესაძლებლობაზე მეტი გააკეთა. ძნელია, მოიძებნოს მეორე რევოლუციონერი, რომელსაც 28 წლის ასაკში პროფესიულ რევოლუციური მოღვაწეობის მხოლოდ ოთხი წლის მანძილზე ასეთი დიდი სიყვარული და აღიარება მოეპოვებინა.

ღადო კეცხოველი დაიბადა 1876 წლის 2 იანვარს გორის მაზრის სოფ. თლიში, ღარიბი მღვდლის ოჯახში. 1889-1891 წლებში ღადო გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1891 წლის სექტემბრიდან ღადო თბილისის სასულიერო სემინარიაშია. აქ იგი დაუკავშირდა რევოლუციურად განწყობილ მოსწავლეებს, შევიდა ლიტერატურულ საგანმანათლებლო წრეში. 1893 წელს სემინარიაში მოხდა მოსწავლეთა ორგანიზებული გაფიცვა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა სემინარიელი მ. ცხაკაია. ლ. კეცხოველი, როგორც ამ გაფიცვის აქტიური მონაწილე, სემინარიიდან გაირიცხა.

1894 წელს ლ. კეცხოველი კიევის სასულიერო სემინარიაში შევიდა. აქ იგი დაუკავშირდა უნივერსიტეტის რევოლუციურ სტუდენტობას, აქტიურად მონაწილეობდა კიევის სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში, მთელი არსებით დაეწაფა რევოლუციურ ლიტერატურას. სემინარიის ადმინისტრაციას შეუშინეველი არ დარჩენია ლ. კეცხოველის საქმიანობა. 1896 წელს იგი სემინარიიდან გარიცხეს და შემდეგ დააპატიმრეს. სამი თვის შემდეგ კი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მშობლიურ სოფელში გადმოსასხლეს. 1897 წლიდან არალეგალურად ჩაიღის თბილისში, შედის „მესამე დასში“ და ეწევა პროპაგანდისტულ საქმიანობას. მალე იგი ი. სტალინთან და ა. წულუკიძესთან ერთად „მესამე დასის“ რევოლუციური ფრთის ერთ-

ერთი ხელმძღვანელი ხდება. კეცხოველი ითვლება ქართულ ენაზე რევოლუციური ლიტერატურის გამოცემის ფუძემდებლად. პირველი ქართული რევოლუციური წიგნი ესაა დიკტეინის „ლუკმა პურის ამბავი“, რომელიც თარგმნა და დაბეჭდა ღადო კეცხოველმა. მალე მას მოჰყვა კურნატოვსკის საავიტაციო ბროშურის „სამუშაო დღის“ თარგმანი. მაგრამ ეს იყო უმეტესად ვიწრო წრეობრივი საქმიანობა. ლ. კეცხოველს ღრმად ესმოდა, რომ სოციალ-დემოკრატია წინ ვერ წავიდოდა ფართო ორგანიზებული საქმიანობისა და მყარი არალეგალური გამოცემების გარეშე. სწორედ ამ საქმეს შესწირა მან თავისი მოკლე და შეგნებული ცხოვრება.

ბაქო, ამიერკავკასიის ყველაზე უფრო მრავალეროვანი და მრავალრიცხოვანი პროლეტარული ცენტრი. კეცხოველის მოღვაწეობის ფართო ასპარეზიც სწორედ აქაა. „არალეგალური სტამბის გენიალური ორგანიზატორი“ — ასე უწოდებენ ღადოს მისი თანამედროვენი და მართლაც, ძალების არაადამიანური დაძაბვით მიღწეა მან სანუკვარ მიზანს: საშინელი პოლიციური რეჟიმის პირობებში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატის ჰქონდა საკუთარი არალეგალური სტამბა. მის მოწყობასთან ერთად ლ. კეცხოველი დიდ მუშაობას ეწეოდა ლენინის მითითების საფუძველზე საზღვარგარეთიდან რუსეთში „ისკრის“ და ისკრულ გამოცემათა ტრანსპორტირებისა და გავრცელების საქმეში. ლენინს დიდად აინტერესებდა ბაქოს სტამბის ყველა წვრილმანი. კონსპირაციული მიზნით „ისკრის“ რედაქციამ ბაქოს არალეგალურ სტამბას „ნინა“ უწოდა, მის ორგანიზატორს კი „ნინას მამა“. აღფრთოვანებული წერილები მოდიოდა ლენინური „ისკრის“ რედაქციიდან ბაქოს არალეგალური სტამბის სახელზე: «...Рукоделие Нины прямо великолепно. Ну, крепко жму руку». «...Получил 11. Прямо чудо».

ამ სტამბაში აიღვა ფეხი პირველმა ქართულმა რევოლუციურმა გაზეთმა „ბრძოლამ“. „ისკრა“ მხურვალედ მიესალმა ამ აქტს მეცამეტე და ოცდამეხუთე ნომრებში. „ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ადგილობრივმა მუშათა ორგანიზაციამ რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლისთავი აღნიშნა პირ-

ველი რევოლუციური ქართული პერიოდული გამოცემის — გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლით“, — წერდა „ისკრა“ 1901 წლის 20 დეკემბერს.

ლ. კეცხოველის წერილები მნიშვნელოვანი წყაროა ავტორის პირადული თვისებების გასარკვევად. ჯერ კიდევ 18 წლის ჭაბუკმა „ივერიაში“ მოათავსა კორესპონდენციები გლენთა უკიდურესი ვაჭირების შესახებ. გაზეთ „ბრძოლის“ პირველსავე ნომერში მოთავსებული იყო მისი სტატია — „100 წლის იუბილეს გამო“. აღნიშნული სტატია მარქსისტულ ლიტერატურაში პირველი ცდაა მოგვეცეს სწორი და ყოველმხრივი შეფასება საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე. მასში გარკვეულია შეერთების მთავარი მიზეზი, ლაბარაკია ამ ორი ხალხის დაახლოების პროგრესულ მნიშვნელობაზე. კეცხოველმა საესვებით სწორად გაარკვია მუშათა კლასისა და მისი პარტიის დამოკიდებულება იმ დღესასწაულისადმი, რომელსაც ქართველი თავადაზნაურობა და ბურჟუაზია ამზადებდა. მის მეორე სტატიაში „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899-1901 წ. წ.“ მოცემულია კავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის საფუძვლიანი ანალიზი. ოპტიმისტ რევოლუციონერს ღრმად სწამდა რომ „მუშებმა, რომლებმაც დამარცხება განიცადეს გუშინ, ამით მოამზადეს თავიანთი გამარჯვება დღესათვის“.

ლადო კეცხოველი წერდა პროკლამაციებსაც, თარგმნიდა და რედაქციას უკეთებდა დასაბუღელ მასალებს, ეხმარებოდა ასოთამწყობებს და მანქანაზეც ბეჭდავდა. ამ სტამბაში დაწერილი პროკლამაციებით მოფენილი იყო ამიერკავკასია. ჟანდარმერია გააფთრებით დაეძებდა კეცხოველის კვალს.

აგენტების ცდას, ხელში ჩაეგდოთ კეცხოველი და მისი სტამბა, შედეგი არ მოჰყოლია. მხოლოდ 1902 წლის 2 სექტემბერს სრულიად შემთხვევით, პოლკოვნიკმა პოროშინმა და როტმისტრმა ვალტერმა დააპატიმრეს ლადო კეცხოველი.

1902 წლის 23 სექტემბერს მეტეხის ციხეში გამოწერილი იქნა ქვითარი № 100 ბაქოდან მეტეხის ციხეში პოლიტიკური პატიმრის ლადო კეცხოველის გადმოყვანის შესახებ. მას ხელს აწერს ზედამხედველი მილოვი.

ლ. კეცხოველის მჩქევნარე რევოლუციური მოღვაწეობა ამით არ დამთავრებულა. რევოლუციის ამ კეთილშობილი რაინდის სიცოცხლის 11 თვე, რომელიც მეტეხის ციხეში გაატარა, არის მაგალითი უშიშარი, შეუღრეკელი, საერთო საქმისათვის თავდადებული ადამიანის ეხოვრებისა. მის სიმტკიცესა და შეუპოვრობას საფუძვლად ედო ღრმა რწმენა მუშათა კლასის

გამარჯვებისა. ეს რწმენა არ სტოვებდა მას არც არალეგალური მუშაობის დროს და არც ციხის მკაცრი რეჟიმის პირობებში. საპრობილემში იგი თავს კი არ იცავდა, არამედ უტევდა თვითმპყრობელობას.

თბილისის სამძებრო განყოფილების უფროსის ლავროვის ოცნება, ხელში ჩაეგდო ლ. კეცხოველი, განხორციელდა. იმ დღესვე, როგორც კი ლადო კეცხოველის ციხეში გამოკეტეს, ლავროვი საიდუმლო ბარათს სწერს პოლიციის დეპარტამენტს ძიების შემდგომი ამოცანების შესახებ. მათი მიზანი იყო სტამბის ადგილსამყოფელის აღმოჩენა. დაპატიმრებული კეცხოველის საქმის კვლევა-ძიება დავალებული ჰქონდათ მეფის რუსეთის ერთგულ მოხელეებს გენერალ-მაიორ დებელს და ჟანდარმერიის როტმისტრს რუნიჩს.

ყოველ დაკითხვაზე ლადოს მტკიცედ ეჭირა თავი. ამხანაგების გამოსხნის მიზნით მიღობი დანაშაული თავისთავზე მიიღო და ვაბედულად აცხადებდა, რომ იგი არის „პროფესიონალ-რევოლუციონერი ვლ. კეცხოველი“. მისი დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ დაკითხვის ოქმზე, რომელსაც ხელს აწერენ ზემოდასახელებული ჟანდარმები, ვკითხულობ: «...Кецховели на допросе сознался в том, что большинство выходивших печатных прокламаций отпечатано в организованной им, Кецховели, тайной типографии, но от дачи каких-либо подробных объяснений по названному поводу совершенно отказался».

1903 წლის მაისისათვის როტმისტრი რუნიჩი წერს საბოლოო მოხსენებას კეცხოველის საქმის შესახებ. დაწვრილებით აღწერს მის რევოლუციურ მოღვაწეობას, ადგენს სხვადასხვა დროს გამოსულ პროკლამაციების შრიფტის თავისებურებას და ადგენს, რომ ყველა ისინი დაბეჭდილია ერთსა და იმავე სტამბაში.

ციხის პირობებში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ლ. კეცხოველის პირადი თვისებების ზოგადი მხარე: თვითმპყრობელობისა და უსამართლობის უსაზღვრო სიძულვილი, რაც ციხის ადმინისტრაციისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატა: „...წარმოდგენითაც ვაგიჟნებდებოთ თუ რამდენად და რავგარად მეზიზღებთან ეგ ჩყარალები. მინდა რამეჯრად თავიდან ავიცილო ის ვალდებული იშვიათი შეხვედრაც კი, რომელიც საქმის გამო უნდა მომიხდეს ხოლმე მათთან“ — სწერდა იგი ციხიდან თავის ძმას. ამავე წერილში ჩანს კეცხოველისათვის დამახასიათებელი უდიდესი ოპტიმიზმი, რომელიც თან სდევდა მას მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე: „...თუ დღეს ჭეშმარიტებას ღორები სჯიჯნიან, თუ ისინი დღესასწაულობენ და კმაყოფილებით ღრუტუნებენ, თუ

დინგები სიმართლისა და ტეშმარტების სისხლით მოუთხუნებიათ და ღრუტუნებენ: „ჩვენ გავიმარჯვებთ“... ნუ დაუჯერებთ. გამარჯვება მაგათი არ არის. მათ შეუძლიათ ვაიმარჯვონ ლადონზე, პეტრეზე და ივანეზე, მაგრამ ტეშმარტებზე გამარჯვება კი ღორის საქმე არ არის“. საპრობოლის რეჟიმმა ვერ გატეხა ლადო კეცხოველი. იგი ცდილობდა დრო უქმად არ დაეკარგა. ვაემდიდრებინა თავისი პოლიტიკური ცოდნა. მეტეხის ციხეში გამოცხადებისთანავე მას ჩამოერთვა წიგნები: „კაბიტალი“ — მარქსისა, „სოციალიზმის პრობლემები“ — ე. ბერნშტეინისა, „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“ — რამბოსი და ლავისასი, „მოთხრობები ინგლისის ისტორიიდან“ — ბიკონისა. კეცხოველი დაუინებით მოითხოვდა ამ წიგნების დაბრუნებას. ციხის ადმინისტრაციის უარის შემდეგ, მან წერილობით მიმართა თბილისის გუბერნიის ქანდარმერის სამმართველოს. ლადო კეცხოველის ამ „თხოვნიდანაც“ კი ჩანს მისი მებრძოლი სული.

მასალებით დგინდება, რომ ამ პერიოდში მეტეხის ციხეში არსებობდა პოლიტიკურ პატიმართა არალეგალური ორგანიზაცია. მასში შედიოდნენ: ლ. კეცხოველი, ვ. კურნატოვსკი, ზ. ჩოღრიშვილი, არ. დოლიძე და სხვანი. ამ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა რსდმპ თბილისის კომიტეტთან. 1902 წლის დეკემბერში დეპილმა მოახერხა ხელში ჩაეგდო კეცხოველის მიერ ციხიდან გაგზავნილი დაშფოთული წერილი, რომლის ყდაზე მისივე ხელით ეხატა მეტეხის ციხის ფასადი. წერილი იმდენად კონსპირაციულად იყო შედგენილი, რომ მისი შინაარსი გაუგებარი დარჩა მეფის გენერალ-მაიორისათვის. 1903 წლის თებერვალში კეცხოველი წერილს უგზავნის რსდმპ თბილისის ორგანიზაციას მეტეხის ციხეში თავისი საქმიანობის შესახებ. ამ წერილიდან ჩანს, რომ პატიმართა შორის წარმოებდა ფართო საავტორიტეტო მუშაობა. კეცხოველი სიხარულით წერდა, რომ პატიმრები დიდ ინტერესსა და სიყვარულს იჩენენ ცოდნისადმი და რომ მათგან ბევრი შესანიშნავი რევოლუციონერი დადგებათ. ამ წერილიდან ერთი თვის შემდეგ 1903 წლის 10 მარტს კეცხოველის კამერაში ჩაატარეს მოულოდნელი ჩხრეკა. მაგიდაზე მას უპოვეს მარსელიოზას მოტივზე დაწერილი ა. კოცის ლექსი „პროლეტარული“ (პირველად დაიბეჭდა 1902 წ. ლონდონში. ჟურნალ „ცხორებაში“ № 5) და ქართულ ენაზე დაწერილი კონსპირაციული წერილის ნაგლევი.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად 1903 წლის 14-15 ივლისს მეტეხის ციხეში მოხდა პოლიტიკურ პატიმართა ორგანიზებული გამოსვლა საპრო-

ბილში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა ეზრუნა შელახულ პრესტიჟზე. მეტეხის ციხის უფროსის გერასიმოვის განკარგულებით დისციპლინარული სასჯელი დაედო ამ გამოსვლის ხელმძღვანელებს: ვ. კეცხოველი და ზ. ჩოღრიშვილი საპრობოლის კარცერში მოათავსეს შვიდი დღით საჭმლის ერთგვარი შეზღუდვით, საერთო საკანიდან განმარტოებულში გადაიყვანეს ვ. კურნატოვსკი, „როგორც სხვა ტუსაღებზე მაგნ ზეგავლენის მომხდენი“, დასჯილნი იქნენ აგრეთვე არ. დოლიძე, კ. გოგუა და სხვანი.

მეტეხის ციხის ადმინისტრაცია ცდილობდა გათავისუფლებულიყო ლადო კეცხოველისაგან. მას ჯერ კიდევ გათავებული არ ჰქონდა დისციპლინარული სასჯელი, რომ ადმინისტრაციამ თხოვნით მიმართა თბილისის საგუბერნიო ქანდარმერის სამმართველოს უფროსს, ლადო კეცხოველის სამხედრო საპრობილში გადაყვანის შესახებ.

22 ივლისს დილით ლ. კეცხოველს გაუთავდა კარცერში ჯდომის ვადა. ოთხი დღის შემდეგ იგი მძას სწერს: „...მე გავათავე ვადა ამ ჯოჯოხეთური კარცერისა და ახლა ძველ ბირობებში ვიმყოფები... რა გავლენას იქონიებს ჩანზე, უამისოდაც გამოვითვლებ, შვიდი დღის იმ საზიზიარ ორმოში ჯდომა და ან იქონიებს თუ არა ჯერ არ ვიცი“.

მორალურად კი საღ კლდესავით იყო ლ. კეცხოველი. წმინდა სანთელივით იწოდა მეტეხის ციხეში გამომწყვდეული 28 წლის ჰაბუკი: „მამ, ბრძოლა, ბრძოლა! და თუ ამ ბრძოლაში წაგიქეცი, ნუ იღარდებ: ყოველი საქმე და მით უმეტეს თავისუფლება მსხვერპლსა თხოულობს... Но, где, скажи, когда без жертв искуплена свобода?!“. — სწერდა იგი თავის ძმას სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე.

ბნელეთის მოციქულები საშინელ შეთქმულებას ამზადებდნენ რევოლუციის ამ უშიშარი რაინდის წინააღმდეგ. ინტერესმოკლებული არ იქნება თუ მოვიყვანთ ამონაწერს თბილისის საგუბერნიო ქანდარმერის სამმართველოს უფროსის სახელზე დაწერილ რუნიჩის მოხსენებიდან: „...პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ თუმცა კეცხოველის წინასწარ ერთ-ერთ შორეულ ადგილას გადასახლება კვლევა-ძიების საბოლოოდ დასრულებამდე სასურველია, მაგრამ სასარგებლო იქნებოდა კეცხოველის ბიროვნების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან კვლევა-ძიებით დადასტურდა კეცხოველის სერიოზულობა და მნიშვნელობა რევოლუციური მოძრაობისათვის, — რომ გადასახლებას დროს კეცხოველის წინააღმდეგ გამოგვეყენებინა რაიმე გან-

საკუთრებული ზომა, ვინაიდან კეცხოველი. როგორც კი გათავისუფლდება, პირველ 'ქესად-ლებლობისთანავე გაიქცევა საზღვარგარეთ და მომავალში თავისი უკიდურესი შეხედულებებით უსათუოდ დიდ ზიანს მოგვაცენებს, რა მიზნითაც, ალბათ, ხსენებულმა კეცხოველმა აღძრა სწორედ შუამდგომლობა ტუსაღობიდან გათავისუფლების შესახებ, წინასწარ გადასახლებით იმ ადგილას, რომელიც განაჩენით აქვს დანიშნული" — წერდა რუნიჩი 1903 წლის 10 აგვისტოს, კეცხოველის საზიზღარ მკვლელობამდე შეიდი დღის წინ. 17 აგვისტოს დილას კი, როდესაც ლ. კეცხოველი მეტეხის ციხის ფანჯრიდან მეზობელ საკანში მყოფ ხაშურის მუშათა გაფიცვის მონაწილე პატიმრებს ესაუბრებოდა, ციხის მოსყიდული გუშაგის დერგილივეის გასროლილმა ტყვიამ გული გაუგმირა.

"...ჩემი სიკვდილი მათ ძვირად დაუჯდებათ", — სწერდა ლადო ძმას მეტეხის ციხიდან.

მართლაც, ამ საზიზღარი მკვლელობის შესახებ დაწერილი პროკლამაციები მოეფინა ამიერკავკასიას. მასში მშრომელები ფიცს დებდნენ: «...В борьбе будем оплакивать погибшего друга и в борьбе завоюем то, ради чего пожертвовал собой Ладю: — свободу».

ამიერკავკასიის პროლეტარიატმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს დანაპირები.

დღეს, როდესაც ზემოთ აღვნიშნავთ დიად თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდაათ წლისთავს, ქართველი ხალხი სიყვარულით იგონებს შესანიშნავ თაობას პროფესიულ რევოლუციონერებისა, რომლებიც ჭედავდნენ ქართველი ხალხის ნათელ მომავალს, იგონებს ამ თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლის, მტკიცე ლენინელის ვლადიმერ ზაქარიას ძე კეცხოველის ნათელ სახეს.

მეფე ალექსანდრე დიდის ერთი განაჩენი თავისუფალი სვანეთის შესახებ

დ. ღვინთელიანი

სვანეთი, ოდიშგანვე ქართველი ხალხის ჭირისა და ლხინის მოზარე, მისი შემადგენელი ნაწილია. იგი უძველესი დასახლების კუთხეა საქართველოს მთიანეთში¹. მატანეს ცნობით ჭერ კიდევ ორიათას წლის წინათ ძვ. წელთაღრიცხვით მეფე ფარნავაზს სვანეთში ერისთავად თავისი სიძე ქუჯი დაუნიშნია: „მისცა ქუჯის ეგრისის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. მაშინ ფარნავაზ უშიშ იქნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“². ძეგლებში გვხვდება მითითებანი იმის შესახებ, რომ სვანეთი საქართველოში განხორციელებული ყველა სოციალ-პოლიტიკურ ღონისძიებათა აქტიური მონაწილეა. „განსაკუთრებით დიდია დამსახურება სვანეთისა, — ამბობდა აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, — ფეოდალურ ბატონყმურ საქართველოს პოლიტიკურ წარმატებაში. ირკვევა, რომ სვანებს „თამარ დედოფალი“ დაუმსახურებლად კი არ მიუთვისებიათ, არამედ ისინი დირსეული მონაწილენი არიან საერთო სამშობლოს აყვავება-ძლიერებისა“³. ლეონტი მროველის ცნობით ანდრია მოციქულს ქრისტიანობა სვანეთშიც უქადაგებია. „სოლო ვითარცა აღესრულა დღესასწაული მარტკლისა, წარმოვიდა მუნით დიდებული ანდრია სხუათა მათ თანა მოციქულთა, მოვიდოდეს ქალაქითი ქალაქად და სოფლითი — სოფლად, ასწავლებდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მიიწივნეს ქუეყანასა ქართლისასადა მერმე წარვლეს ტაოს კერძი ქუეყანა და ვიდრედ მდინარედ ჭოროხადმდე; ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს, და დაუტადებლად ქადა-

გებდეს სახელსა ღვთისასა. და ესრეთ ქადაგებითა მიიწივნეს სვანეთისა ქუეყანასა“⁴. საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ოფიციალურ რელიგიად შემოდების შემდეგ (IV ს.) სვანეთი ქრისტიანობის მხრივ საგრძნობლად ჩამორჩა ბარს. ეს გარემოება სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობითა და ცენტრალურ საეკლესიო ხელისუფლებასთან მისი სუსტი კავშირით უნდა აიხსნას.

ისტორიის მთელ მანძილზე სვანეთი საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულად გვევლინება ქართულ სამეფო ხელისუფლებას იგი განსაკუთრებით მჭიდროდ დაუკავშირდა შუა საუკუნეებში, როდესაც დავით აღმაშენებელმა ეს კუთხე „მჭიდროდ შემოიწყო“⁵. თამარის მეფობის დროს სვანეთში უჩვეულო მასშტაბით გაშლილა ციხე-კოშკებისა და საეკლესიო ნაგებობათა მშენებლობა. ამჟამადაც დიდ ინტერესს იწვევს სოფელ უშგულში ექვსი ციხე-კოშკისაგან შემდგარი საზაფხულო და საზამთრო რეზიდენციები, რომლებიც თამარ მეფისათვის აუშენებიათ. თამარ მეფე სვანეთში დღემდე ინარჩუნებს მიწიერი ღვთაების სახელს. ისტორიული წყაროების მიხედვით ამ პერიოდში საქართველოს სამთავროებს შორის სვანეთი დამსახურებული პატივით სარგებლობს, მისი ერისთავი ბარამ ვარდანძემ სამეფო კარზე რიგით მეორე მოხელეა. მონღოლების შემოსევის დროს რუსუდან მეფე თავისი ორი შვილით სვანეთს აფარებს თავს და იქ დებულობს თათრის ელჩებს⁶. სვანეთი ალტაცებით ეგებება დავით ნარინს, რომელსაც რამდენიმე ხნით ზემო სვანეთში ჰქონდა თავისი

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. უხიშვილის მიერ, თბილისი, 1955 წ. ტ. I, გვ. 24.

² იქვე, გვ. 24.

³ აკად. ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო, გაზეთი „მებრძოლი“, 1964 წ. 29 დეკემბერი.

⁴ ქართლის ცხოვრება... ტ. I, გვ. 42.

⁵ Д. Бакрадзе, записки Кавказского отделения императорского Русского географического общества, т. VI, 1866 г., стр. 5, 6, 31—34.

რეზიდენცია⁶. 1834 წელს არეულობის გამო ბაგრატი მეფე პირადად მიდის ზემო სვანეთის სოფ. ეცერში, სადაც დამნაშავენი დასაჯა, ვარდანიძე ერისთავობიდან გადააყენა (შემდეგში გურიის ერისთავად დანიშნა) და მის ნაცვლად ერისთავად გელოვანი დანიშნა⁷.

ქართულ სამეფო ხელისუფლებასთან სვანეთის კავშირთა დაკარგვა ხან მტკიცე იყო და ხან სუსტი, მაგრამ სვანეთი სამეფო ხელისუფლებას არასოდეს არ გამოთხოვია და მისი ძლიერების თუ ავტონომიის აქტიური მონაწილე იყო. XV საუკუნიდან საქართველო ცალკეულ სამთავროებად დაიყო და სვანეთი თითქმის მოწყდა სხვა სამთავროებს. აქედან დაწყებული სვანეთი მიეჩნევა დამოუკიდებლობას და უკვე იოლად არ თმობდა თავისუფალ მდგომარეობას. ჩვენი აზრით სწორედ ამ გარემოებით უნდა იყოს განპირობებული მეფე ალექსანდრე დიდის ის განრისხება, რომელიც მან გამოიჩინა სვანეთის მიმართ ჭაფარიძეთა მკვლელობის გამო განაჩენის გამოტანის დროს.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ამ განაჩენის ახლს შემთხვევით მიაგნო მ. ბროსემ ზემო სვანეთის სოფელ უშგულში, რომელიც მისთვის გადაუცია ამ სოფლის მღვდელს სიმონ გაბიანს. ეს ხელნაწერი მ. ბროსეს პარიზში ჩაუტანია და გამოუქვეყნებია 1838 წელს ფრანგულ ენაზე. 1866 წელს განაჩენი ფრანგულიდან ქართულად გადმოუთარგმნია მ. ფალავანდიშვილს⁸. ამ ტექსტის მიხედვით შემდეგში ეს განაჩენი გამოაქვეყნა რამდენიმე მკვლევარმა: სარგის კაკაბაძემ (1914 წ.), ე. გაბლიანმა (1927 წ.), ს. მაკალათიამ (1930 წ.), პ. ინგოროყვამ (1941 წ.). ზემოთ აღნიშნულ ავტორებს პ. ინგოროყვას გარდა ამ ძეგლის შედგენის თარიღად მიჩნეული აქვთ „რკ“ და ერთსა, რაც ნიშნავს 120 ქორონიკონს ანუ 1433 წელს. ამ ავტორებს „ერთსა“ არა აქვთ მიმატებული და ამიტომ ძეგლი მათ მიერ დათარიღებულია 1432 წლით, ნაცვლად 1433 წლისა. პ. ინგოროყვას კი ამ ძეგლის შედგენის თარიღი „რკ“ შეუსწორებია „რუ“ და ერთსა ანუ 190 ქორონიკონს, ამის გამო ძეგლი მის მიერ დათარიღებულია 1503 წლით⁹. სამწუხაროდ პ. ინგოროყვა ამ შესწორებას გამო არავითარ განმარტებას არ იძლევა.

ძეგლის შემდგენ მეფის ვინაობაზე და მეფის სასამართლოს შემადგენლობაზე პირველად აზრი გამოთქვა პროფ. ს. კაკაბაძემ 1914 წელს. მისი აზრით ამ ძეგლის შემდგენი უნდა იყოს არა მეფე ალექსანდრე დიდი, არამედ სხვა ალექსანდრე. აი რას ამბობს იგი: „ეს სიგელი, ბოძებული 1432 წელს ალექსანდრე მეფის მიერ, ფრიალ საინტერესო საბუთია თავისი მრავალმხრივი შინაარსით. ამ სიგელის გარჩევის დროს პირველად იბადება საკითხი სიგელის ბოძებულის ალექსანდრე მეფის ვინაობის შესახებ, არის ის საქართველოს მეფე დიდი ალექსანდრე თუ სხვა პიროვნება. ჩემის აზრით, ეს ალექსანდრე არ უნდა იყოს დიდი ალექსანდრე, არამედ სხვა პირი, რომლის 1392 წლის სიგელმა ჩვენამდის მოაღწია და რომელსაც ამ 1392 წლის სიგელის მიხედვით ყოლია შვილი ვახტანგ¹⁰. პროფ. ს. კაკაბაძეს მანამდე (1913 წ.) გამოთქმული აქვს აზრი მეფის ამ სასამართლოს ერთ-ერთი წევრის, სახელდობრ ფალავანდიშვილის ვინაობაზე. არკვევს რა გიორგი მეფის (შემდეგში ყველგან შესწორებულია, რომ, ეს იყო კონსტანტინე მეფე და არა გიორგი მეფე-დ. დ.) მიერ 1400—1401 წელს ფალავანდიშვილისადმი ბოძებულ სიგელს იგი ამბობს, რომ „ფალავანდიშვილი, ვისთვისაც გიორგი მეფეს უბოძებია ეს სიგელი ის პირი უნდა იყოს, რომელსაც 120 ქორონიკონს დაუწერია სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფის მიერ ბოძებული“¹¹. ჩვენი დაკვირვებით ავტორი სავსებით ვინაობაშია. ეს ფალავანდიშვილი სწორედ ისაა ვინც ჭაფარიძეთა სასისხლო სიგელი დაწერა, მაგრამ აქაც მეფის ვინაობასა და სასამართლოს ჩატარების თარიღში შეუსაბამობამ იჩინა თავი. სამწუხაროდ პროფ. ს. კაკაბაძემ ეს აღარ გაარკვია.

1920 წელს პროფ. ს. კაკაბაძემ პეტერბურგში დაძებნა მ. ბროსეს მიერ უშგულიდან წაღებული ხელნაწერი, მაგრამ ვერ იპოვა. აი რას ამბობს ამის შესახებ იგი: „მ. ბროსეს ხელთ ქონია პირი ამ საბუთისა, რომელი პირი (ქართული ტექსტი) მე ვერ ვიპოვე პეტერბურგის აზიურ მუზეუმში მე ვერ ვიპოვე ნაკონე ქალღვლებს შორის“¹². (როგორც ჩანს ხელნაწერი ამ ძეგლისა მ. ბროსეს პარიზში დაიტოვა-დ. დ.).

⁶ Д. Бакрадзе, იქვე, გვ. 31—34.

⁷ იქვე;

⁸ ყურნალი „ცისკარი“, 1866 წ. ოქტომბერი.

⁹ პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II; თბ. 1941 წ. გვ. 131.

¹⁰ ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ. 1914 წ. გვ. 126—132.

¹¹ ს. კაკაბაძე, გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა თბ. 1913, გვ. 10.

¹² ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ. 1920 წ.



ამჯერად სარგის კაკაბაძემ ამ ძეგლის დათარიღების გამო გამოთქვა სრულიად სხვა მოსაზრება. „თარიღი ამ სიგელისა შესწორებას თხოულობს, მისი მიმცემი, ექვს გარეშეა არის დასავლეთ საქართველოს მეფე, დამწერი კიდეც არის ფალავანდ ფალავანდიშვილი, რომელიც სჩანს 1495 წ. ალექსანდრე II-ს ღრს. ამისდა მიხედვით შესაძლებელია, რომ სიგელის თარიღი „რკა“ (1482 წ.) მართლად წაკითხული არ იყოს და იყოს წარმოდგარი „რჟა“ ქორონიკონის (1503 წ.) შეცდომით წაკითხვისაგან. ამ შემთხვევაში სვანეთის მიერ ჭაფარიძეებისადმი მიცემული სასისხლო სიგელი დაწერილი უნდა იყოს 1503 წ. ალექსანდრე II-ის ღრს¹³.

როგორც ჩანს ეს მოსაზრება 1941 წელს პ. ინგოროყვასაც გაუზიარებია რამდენადაც ქორონიკონ 120-ის ნაცვლად ქორონიკონი 190 მიუწერია (1503 წ.).

უკანასკნელად ეს განაჩენი ფრანგულიდან რუსულ ენაზე თარგმნილი საურმაგ კაკაბაძის მიერ 1967 წელს გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტმა ქ. მოსკოვში. უკანასკნელ თარგმანში შესწორებულია ადრე გამოცემულ თარგმანებში გაპარული შეცდომები და იგი ყველაზე სრულყოფილად უნდა მივიჩნიოთ. საურმაგ კაკაბაძემაც მ. ფალავანდიშვილის მსგავსად ქორონიკონი ამოიკითხა როგორც „რკ“ და ერთსა¹⁴. ამ ძეგლის სხვა გამომცემლებს ჩვენი დაკვირვებით ფრანგული ტექსტით არ უსარგებლიათ და ძეგლი გადაწერილი აქვთ მ. ფალავანდიშვილის მიხედვით. საყურადღებოა, რომ საურმაგ კაკაბაძემ თუმცა ეს თარიღი ამოიკითხა, როგორც „რკ“ და ერთსა¹⁵, მაგრამ რატომღაც მიემხრო ამ საკითხზე პროფ. ს. კაკაბაძის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ძეგლი 1503 წელს შედგენილი უნდა იყოსო. აი რას ამბობს იგი: «Хотя большое число данных говорит в пользу датировки документа 1503 г. и нами также принята эта дата, полной доказательности этого нет»¹⁵.

ამრიგად ამ ძეგლის თარიღი საექვოდ არის გამხდარი და დღემდე ამის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს.

თარიღის დაუზუსტებისათვის უნდა პირველ რიგში გავარკვეოთ ვინ არიან განაჩენში მოხსენიებული პირები. პროფ. ს. კაკაბაძის მიერ მითითებული იმერეთის მეფე ალექსანდრე II მართლაც ამ პერიოდში მეფობდა (1478—1510 წ.). „თითქოსდა საექვო არაფერია, რადგან თუ ჭაფარიძეებისა და სვანების საქმე 1503 წელს არის განხილული, საქმეს იგი განიხილავდა და არა სხვა. მაგრამ ვინ არის „ბატონი მამია დადიანი“, რომელმაც სვანებსა და მეფეს შორის შუამავლობა იკისრა და სასამართლოსაც დაესწრო? თუ ოდიშის მთავართა გენიალოგიას გავეცნობით და ამ თარიღის (1503 წლის) რეალობა ეჭვის ქვეშ დგება. მთავრებიდან სულ ცნობილია ოთხი მამია: მამია I (+1345)წწ, მამია II (1396—1414)წწ. მამია III (1512—1532)წწ და მამია IV (+1590)წწ¹⁶. როგორც ვხედავთ 1503 წელს ოდიშში არცერთი მამია არ მთავრობდა. დადიანების გენიალოგიის მიხედვით 1512 წლამდე მთავრობდა ლიპარტი მეორე და არა მამია დადიანი¹⁷. ამდენად საექვოა, რომ სასამართლო მეფე ალექსანდრესა და ბატონ მამია დადიანის მონაწილეობით ჭაფარიძეთა მკვლელობის საქმეზე გეგუთში შემდგარიყო 1503 წელს.

განვიხილოთ პროფ. ს. კაკაბაძის პირველი მოსაზრება, რომელიც მან ამ საკითხზე გამოთქვა 1914 წელს და რომლის მიხედვითაც განაჩენის დაწვერად მიაჩნდა ის ფალავანდ ფალავანდიშვილი, რომელსაც ალექსანდრე მეფემ სიგელი უბოძა 1401 წელს, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარედ 1392 წლის სიგელის მბოძებელი ალექსანდრე.

ალექსანდრე მეფის მიერ 1392 წელს ბოძებული სიგელი, რომელიც დაწერილი ყოფილა ტყავზე (2 არშინის სიგრძით 1/4 სიგანით) თ. შორდანიასათვის იმრეთიდან ჩამოუტანია ბ. დ. გორგაძეს¹⁸ ამ სიგელის შესახებ თ. შორდანიას ამბობს: „სიგელი მიცემულია ალექსანდრე მეფის მიერ 1392 წელს, როდესაც ქა-

¹³ ს. კაკაბაძე, კვლევები ბანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ. 1920 წ. გვ. 77.

¹⁴ Саурмаг Какабадзе, Грузинские документы института народов Азии, Москва, 1967 г., стр. 56.

¹⁵ იქვე.

¹⁶ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941 წ. გვ. 95.

¹⁷ იქვე, გვ. 178, ნ. დადიანი, „ქართველთა ცხოვრება“, გვ. 155.

¹⁸ ქორონიკები, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. შორდანიას მიერ. წიგ. II, ტფილისი, 1897 წ. გვ. 193.

რთლის ცხოვრებით იმერ-ამერეთში მეფობდნენ ბაგრატ დიდი და ძე მისი გიორგი. ამავე დროს იმერეთში სცხოვრობდა ბაგრატ დიდის მიერ „ერისთავად“ დადგენილი, ძველთა იმერთა შთამომავლობა, ალექსანდრე I, რომელიც იწოდებოდა მეფედვე და რომელმაც უმეტესი ნაწილი იმერეთის ჩამოართვა ბაგრატს. ამ ალექსანდრეს მართლა ჰყავდა შვილი ვახტანგ ამ სიგელში მოხსენებული. ამის გამო ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს სიგელი ეკუთვნის იმერთა მეფეს ალექსანდრე I, რომელიც ვახუშტის ქრონიკონით გამოვლდა 1887 წელს და მოკვდა 1892 წელს, ხოლო ამ სიგელის ცნობით იგი ცოცხალი ყოფილა 1892 წელსაც. იურიდიული მხრივაც შინაარსი სიგელისა საყურადღებოა.¹⁹ მაშასადამე ეს ალექსანდრე ყოფილა „ბაგრატ — დიდის მიერ“ ერისთავად“ დადგენილი, ძველთა იმერთა შთამომავლობა“, რომელმაც 1892 წ. სასისხლო სიგელი უბოძა ვინმე „გიორგადესა დავითსა“. XV საუკუნეში ამ ალექსანდრეს შვილი ვახტანგ, შემდეგში გორგასალად წოდებული იხსენიება ამ სამეფო გვარეულობის მეფეთა შორის. ალექსანდრესა და ვახტანგის გვარეულობა ფლობდა ზემო იმერეთს (არგვეთს), რაჭასა და ქართლის დასავლეთ ნაწილს და მათი რეზიდენცია ჩხარში უნდა ყოფილიყო.²⁰ ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ 1445 წ. მეფედ დამჯდარა მისი ძმა გიორგი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ს. კაკაბაძის მიერ მითითებული მეფე ალექსანდრე I (რა თქმა უნდა არა ალექსანდრე დიდი, რომელიც XV საუკუნეში მეფობდა და იწოდებოდა აგრეთვე ალექსანდრე I-ად დ. დ.) რაჭა-არგვეთის მფლობელია და მას ხელი მიუწვდებოდა რაჭის თავადების ჯაფარიძეების საქმეებზე. დასადგენია მართლაც მან უბოძა სიგელი ჯაფარიძეებს თუ სხვა რომელიმე ალექსანდრემ? ერთი შეხედვით აქ უჩვეულო არაფერია. ალექსანდრე რაჭა-არგვეთის მეფე იყო და ამიტომაც სვანეთის დედებაცაა ჯაფარიძეთა მკვლელობის გამო შესარიგებლად სწორედ მასთან უნდა მისულიყო.

ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა ალბათ ს. კაკაბაძეც, როდესაც ამ განაჩენს მიაწერდა ზემოთ დასახელებულ ალექსანდრეს.

იმერეთის მეფე ალექსანდრეს მეფობა იმ პერიოდს განეკუთვნება როდესაც თემურ ლენგი საქართველოზე გამოლაშქრების სამზადისში იყო. ბაგრატ მეფე ყოველწლიურად ცდილობდა რათა შეეკავებინა ცალკეული სამთავროები.

მოახლოებული საფრთხის გამო „იმერეთში მან გაგზავნა თავისი ძე გიორგი, რომ იქაური მთავრები არ განდგომოდნენ მას“.²¹ დადიანს კარგად გრძნობდა, რომ იმერეთის სამეფოს გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა ოდიშის სამთავროს. როდესაც მოწლოებმა თბილისში ტყვედ ჩაიგდეს მეფე ბაგრატი და მისი ცოლი დედოფალი ანნა (1887) წ. ცალკეულ სამთავროებმა, მათ შორის ოდიშის სამთავრომაც, დრო იხელთეს და მეფეს განუდგნენ. გიორგი ბაგრატის ძე იმერეთიდან წავიდა რათა დაემორჩილებინა ათაბაგი, რომელიც მეფეს განუდგა. მისი წასვლით ისარგებლა იმერეთის მთავარმა ალექსანდრე I-მა და თავისი თავი 1388 წელს მეფედ გამოაცხადა. მისი მეფობა არ ცნო ვამეყ I დადიანმა. ამის გამო ალექსანდრე I-ის ძმამ გიორგი I-მა დალაშქრა ოდიში. გიორგი მეფე დამარცხდა და მოკლულ იქნა. ამის შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტზე ალექსანდრე I და მისი ძმა გიორგი I არ ჩანან. ამ დამარცხების შემდეგ გიორგი ბაგრატის ძე თავისი ჭარით ძველ ჩამოსულა იმერეთში და ვამეყ დადიანის დახმარებით იმერეთის სამეფო დაუბრია: „მაშინ განწარხვითა ვამეყ დადიანისათა ჩამოვიდა გიორგი ძე დიდისა ბაგრატ მეფისა და დაიპყრა კვლავ იმერეთი“.²² ოდიშის სამთავროს უკვე განაგებს ვამეყ დადიანის მემკვიდრე მამია II, (1396-1419) წწ, რომელსაც გიორგი ბაგრატის ძემ ერთგულების გამო ცხუმის საერისთავო უბოძა.²³ მაშასადამე იმერეთის სამეფო ტახტზე რაჭა-არგვეთის მთავრები ამის შემდეგ აღარ იხსენიებიან. ს. კაკაბაძის მიერ მითითებული ალექსანდრე I XIV საუკუნის მიწურულიდან არც რაჭა-არგვეთის მთავრად არ იხსენიება. ისტორიული წყაროები მიგვიითებენ, რომ ამ ალექსანდრეს შვილი ვახტანგ მეფე რაჭა-არგვეთის სამეფო ტახტზე

¹⁹ იქვე, გვ. 193.
²⁰ ს. კაკაბაძე, ვახტანგ უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი, ტფილისი, 1912 წ. გვ. 21.
²¹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941 წ. თბილისი, გვ. 89.
²² ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913 წ. გვ. 279.
²³ იქვე, გვ. 279.



მჯდარა 1432 წელს²⁴. ამის გამო ჭაფარიძეების მკვლევლობის საქმე თუ იგი რაჭა-არგვეთის სამთავროში გაირჩეოდა ვახტანგ მეფეს უნდა გაერჩია და ისიც ჩხარში და არა გეგუთში. ამიტომ ჭაფარიძეთა მკვლევლობის საქმის განზილვა ს. კაკაბაძის მიერ ნაგულისხმევი რაჭა-არგვეთის მეფის მიერ გამორიცხულია. ვანაჩენში კი მითითებულია, რომ გეგუთში სასამართლო შედგა „მეფეთა მეფე ალექსანდრეს“ თავმჯდომარეობით. ჩვენი აზრით განაჩენში მითითებული საქართველოს მეფე ალექსანდრე I იგივე ალექსანდრე დიდი უნდა იყოს, რომელიც დაიბადა 1389 წ. და სამეფო ტახტზე ავიდა 1412 წელს. 1442 წელს კი ოჯახურ უსიამოვნებისა და გართულებულ საგარეო პირობების გამო სამეფო ტახტი დატოვა და ბერად აღიკვეცა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში.²⁵ ალექსანდრე დიდი ისტორიაში ცნობილია იმით, რომ იგი დიდ მოღვაწეობას ეწეოდა მონღოლთა ბატონობით დაქუცმაცებულ საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ შეკავშირებისათვის. მან ერთგვარად შეაჩერა ფეოდალურ საქართველოს დაშლის პროცესი. დიდად ზრუნავდა ცალკეულ სამთავროებს შორის კონფლიქტების მოსაწესრიგებლად და მათი ერთიან ძალად შეკავშირებისათვის. მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა ამერ და იმერ საქართველოზე. მნიშვნელოვან საქმეთა გამო ქართლიდან თვითონვე გადადიოდა იმერეთსა და სამეგრელოში. როცა მისი ერთგული ერისთავი მამია II დადიანი დამარცხდა აფხაზეთთან ბრძოლაში და თვითონ მამიაც მოკლეს, ამას ძლიერ შეუშფოთებია ალექსანდრე დიდი და თვითონვე ჩავიდა ოდიშს და დადიანობა უბოძა მამიას შვილს ლიპარტის. 1428—1430 წლებში ალექსანდრე დიდმა ურთგული ნამსახურობისათვის სიგელი უბოძა თოფურაძეებს და სხვა.²⁶ ამდენად ქართლის პარალელურად ალექსანდრე დიდი თავისი უშუალო მონაწილეობით აგვარებდა იმერეთისა და სამეგრელოს მნიშვნელოვან საქმეებსაც.²⁷ ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს შორის კონფლიქტი, რომელსაც მოყვა ჭაფარიძეთა განმარტებული მკვლევო-

ბა ალექსანდრე მეფის ყურამდე მივიდა და კონფლიქტი თვითონვე გადაწყვიტა. ამ მოსაზრებას ადასტურებს თვითონ გეგუთის სასამართლოს შემადგენლობის გაცნობა. განაჩენში ნათქვამია: „დასხდეს თუითან მეფეთ-მეფე პატრონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მამია, ფალავანდიშვილი ზუთაიდი, ჭილაძე ლომკაცი, ერისთავი კახაბერი, ამირჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი“. სასამართლოს შემადგენლობაში არიან იმერეთის, ქართლის, ოდიშის და რაჭის ერისთავები და მსხვილი ფეოდალები. ცხადია ასეთი შემადგენლობის სასამართლოს ვერ მოიწვევდა რომელიმე სამთავროს მეფე ან ერისთავი მათ შორის ვერც რაჭა-არგვეთისა. მისი მოწვევა შეეძლო მხოლოდ ალექსანდრე დიდს, რომელიც ამ სამთავროების „მეფეთა მეფეა“. როგორც ზემოთ ვთქვით მამია დადიანი ალექსანდრე დიდის ერთგული ერისთავი იყო. ეს იცოდნენ თავისუფალ სვანეთშიაც. ამიტომ თავისი „ჩინილები“ გაგზავნეს სოფ. ეცერში რიჩუგაიანთან და დადეშქელიანთან, რომლებიც დადიანთან ახლო ურთიერთობაში ყოფილან და დაკავშირებული ყოფილან ნათესაურადაც. დადეშქელიანების თხოვნით მამია დადიანს ამ საქმის გამო ალექსანდრე დიდთან გაუგზავნია ჭყონდიდელი, რომელსაც მეფე დათანხმებია განეხილა ეს საქმე: „დემერთმან გაუმარჯოს პატრონს დადიანსა. ჭყონდიდელი გაეგზავნა და შეხუტწოლა ალექსანდრე მეფესა, ეაჭებინა და ეპატივებინა ბატონის დადიანისათვის, და ასე ებრძანა მეფეთ მეფესა პატრონსა ალექსანდრეს... თუ ჭაფარიძის სისხლს გარდაუდებინო, სუანთ გზას მივცემო და ჭაფარიძეთაც ჩამოუვცნიოთ“²⁸. — ნათქვამია განაჩენში. ცხადია ეს მამია დადიანი არის სწორედ ალექსანდრე დიდის ერთგული ერისთავი და არა სხვარომელიმე ალექსანდრესი. მამიასადამე გამოიცხულია რაჭა-არგვეთის მეფე ალექსანდრე I-ის (1388—1392) წწ. თუ იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1478—1510) წწ. და ასევე ქუთაისის ერისთავი ალექსანდრე III-ის მიერ მამია დადიანის სასამართლოში მოწვევა. პირველმა სამეფო ტახტი დატოვა ამ სასა-


²⁴ ს. კაკაბაძე, ვახტანგ უცნობი მე-XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი, ტფილისი, 1912 წ. გვ. 19.

²⁵ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967 წ. გვ. 15—27.

²⁶ გაზეთი „ივერია“, 1891 წ. № 213.

²⁷ ი. ჯავახიშვილის სიტყვით. „ალექსანდრე მეფე სრულიად საქართველოს მბრძანებელი იყო: მას ორი სამეფო „ემორჩილებოდა... ალექსანდრე მეფე ტყუილად კი არ სთვლის თავის თავს ორისავე სამეფოსა და ტახტის მპყრობელად, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველო ერთიანებული იყო და გზებიც გასწილი ყოფილა“ (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967 წ. გვ. 30).

²⁸ ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II, თბ. 1941 წ. გვ. 131.



მართლმდებ, ორი კი გამეფდა ამ სასამართლოს ჩატარების შემდეგ.

სასამართლოს მდივანი ფალავანდ ფალავანდიშვილი მეფე ალექსანდრე დიდის მწიგნობარია. მას 1401 წელს ერთგულებისათვის სიგელი უბოძა ალექსანდრე დიდის მამა კონსტანტინემ, რომელსაც ალექსანდრე დიდი თავისი ხელმოწერით ამტკიცებს.

ამირეჯიბი რამინი ქართლის მსხვილი ფეოდალია, იგი ცნობილია 1451 წლის სიგელით. ალექსანდრე დიდთან ის დაკავშირებული იყო ნათესაურად: ალექსანდრეს დედა ნათია და რამინ ამირეჯიბი და-ძმა ყოფილან. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მეფემ სასამართლოში მოიხმო ბიძა, მითუმეტეს ის მსხვილი ფეოდალი იყო.

ამგვარად სასამართლოს შემადგენლობის გაცნობა იმაზე მიუთითებს, რომ მას თავმჯდომარეობდა მეფე ალექსანდრე დიდი და არა სხვა ვინმე. თითქოს უყოყმანოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ მ. ფალავანდიშვილის თარგმნილი 120 ქორონიკონი (1433 წ.) სწორია და გეგუთის სასამართლოც ამ დროს შემდგარა. მაგრამ აქ კვლავ არის შეუსაბამობა — სასამართლოში მამია დადიანის მონაწილეობა. ჩვენ ვიცით, რომ მამია II მთავრობდა 1396—1414 წლებში და ამის შემდეგ 1512 წლამდე ოდიშს მთავრად არცერთი მამია არ ყოფილა. მაშ რაშია საქმე?

ჩვენის დაკვირვებით ამ საკითხზე ღღემდე არსებულ შეხედულებათა სხვადასხვაობა იგივე ქორონიკონის არასწორ ამოკითხვაში უნდა მდგომარეობდეს. დღემდე ამ განაჩენის თარიღის დაუდგენლობის მიზეზი ქორონიკონის მიწერის უზუსტობაშია. განაჩენის გამომტან მეფე ალექსანდრეს და მის მიერ სასამართლოში მოწვეულ მსხვილ ფეოდალების ვინაობის ყოველმხრივი შემოწმების შედეგად მოცემული ქორონიკონი აუცილებლად უნდა იყოს „რა“ ან იგივე „რ“ და „ერთსა“ და არა სხვა რაიმე. ქორონიკონის აღმნიშვნელი სხვა რომელიმე ასო მოცემულ სასამართლო შემადგენლობის პერიოდს არ ეთანხმება. თვითონ ასო „რ“ ნიშნავს 90-ს, ასო „ა“ 10-ს და „ერთსა“ ნიშნავს 101 წელს (1312+101) იგივე 1413 წელს. ეს თარიღი იმდენად ზუსტად ემთხვევა თუნდაც მამია დადიანის მონაწილეობას, რომ მისგან 2 წლით უკან გადაწევა უკვე გამორიცხავს მამიას მონაწილეობას სასამართლოში (მამია II მოკლეს 1414 წ.), ხოლო იგივე ორი წლით წინ გაწევა გამორიცხავს მეფე ალექსანდრე დიდის მონაწილეობას, რამდენადაც იგი 1412 წელს გამეფდა. პროფ. ს. კაკაბაძე მართებულად შენიშნავდა, რომ საჭიროა ქორონიკონში მიწერილი მეორე ასო „კ“ შეიცვალოს, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით იგი უნდა შეიცვალოს ასო

„ა“-თი და არამც და არამც ასო „უ“-თი, რომელიც აგებულიებით ისედაც არ გავს ასო „კ“-ს. ქორონიკონის ასეთი შეცვლა საგვებით ეთანხმება გეგუთის სასამართლოს შემადგენლობის ვინაობას და სწორად მიუთითებს სასამართლოს ჩატარების თარიღზე. რამდენადაც ეს ასეა, ჩვენ ახლა შეგვიძლია მიახლოებით მაინც მიუთითოთ სვანების მიერ ჯაფარიძეთა მკვლელობის თარიღზეც. განაჩენში მითითებულია, რომ ამ მკვლელობის გამო სვანები ველარ მიდოლდენ ბარის რაიონებში და „ასე ვიყავითო მთელი 7 წელი“ ამდენად საფიქრბელია, რომ მკვლელობა მოხდა 1400-იან წლებში კერძოდ 1406 წელს.

ჯაფარიძეთა მკვლელობის თარიღის (1406 წ.) და ამ მკვლელობის გამო გეგუთის სასამართლოს ჩატარების თარიღის (1413 წ.) დადგენას ეყვება სხვა გარემოებებთან ერთად მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ ოდიშის მთავარს მამია II-ს „მეფეთა მეფე ალექსანდრე დიდთან ქონია ახლო დამოკიდებულება“ და მისი ერთგული ერისთავი ყოფილა. ეს კი იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ ამის შესახებ უკვე სვანეთშიც სცოდნიათ. როგორც კი სვანეთში ეს შეიტყვეს „ქნეს ვაზირობა“ და თავიანთი ჩენილები დააშქელიანების დახმარებით გაუგზავნიათ მამიასთან, რათა ამ უკანასკნელს მათთვის ეშუამდგომლა ალექსანდრე დიდთან ამ საქმის გამო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო მთელი 7 წელი ისინი უგზოობასა და უმარილობას არ მოითმენდნენ და მანამდე ცვლებოდნენ მამიას მიგზავნას მიერეთის მეფეებთან კონსტანტინესთან ან ეფრემ მეფესთან.

ალექსანდრე დიდის მიერ 1413 წელს გამოტანილი განაჩენი კარგად გამოხატავს ერთიან საქართველოს სამეფოს დაშლით გამოწვეულ წინააღმდეგობებს. საქართველოს ერთიანობის დაშლის პროცესში გამწვავდა ურთიერთობანი არამართო ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, არამედ ცალკეულ სამთავროებსა და კუთხეებს შორისაც. ისარგებლეს რა ამით რაჟის თავადებმა ჯაფარიძებმა დაიწყეს სვანების შევიწროება. ისინი გზებს უკეტავდნენ ბარისკენ მიმავალ სვანებს, ხოლო ამით აღელვებულმა სვანებმა მოჰკლეს თვალთა და ივანე ჯაფარიძე. ამ საქმეზე გამოტანილ განაჩენს სიძველის გამო სათაური აკლია. განაჩენის აღწერილობითი ნაწილი, სადაც ლაპარაკია ჯაფარიძეების მიერ სვანეთისათვის მიყენებულ ზიანზე, ერთობ გაზვიადებულია. მაგრამ განაჩენის დასკვნითი ნაწილი და სასაჩელი უდაოდ რეალურ ფაქტებზე უნდა იყოს დამყარებული. განაჩენი ასე იწყება: „მოუხედით და თქუენი ბიძანები თვალთა და ივანე მოგუეწინეს და შეგუებნეს მოგუერია ცოლვა



ეშმაკის მანქანებითა და შემოგუერინეს მერმე დაგვიწყეთ მტერობა თქუენ ჭაფარიძემან სარგის²⁹.

ჩენი აზრით ჭაფარიძეთა მკვლელობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა ალექსანდრე დიდმა. მკვლელობით თვითონ სამეფო ხელისუფლება დაინტერესდა, რასაც, ცხადია, საქართველოს გაერთიანების საერთო პოლიტიკა განსაზღვრავდა. რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა თუ სხვა სამთავროების ურთიერთ კონფლიქტი ზიანს აყენებდა საქართველოს გაერთიანების საქმეს. ამიტომაც ამ კონფლიქტის შედეგად სვანეთის პირისპირ სამეფო ხელისუფლება აღმოჩნდა, რომელმაც მას ესოდენ მძიმე განაჩენი გამოუტანა. სწორედ ამის გამო, „თავისუფალი სვანეთის“²⁹ დღეგაცია შერიგების მიზნით უშუალოდ მეფეს ეახლა და არა ჭაფარიძეებს. ძეგლში ნათქვამია:

„შევიყარნით სრულიად სვანეთის ჩენილები და ვქენით ვაზირობა, მივედით ეცერს რიჩუგაინს და დადუშქელიანთა შევესვეწენით და დადიანთან ვავაგზავნეთ. შეხუეწითა დადიანსა მამიასა და ცხრა ჯორი გაუგზავნეთ. ამისი აჯვოსოფეთ, რომ მეფეთა მეფეს პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეხსოვნა. ღმერთმან გაუმარჯოს პატრონს დადიანსა ჭყონდიდელი გაეგზავნა და შეხუეწოდა ალექსანდრე მეფესა, ეაჭებინა და ეპატივებინა ბატონის დადიანისათვის და ასრე ებრძანა მეფეთა მეფეს პატრონსა ალექსანდრეს თუ, ჭაფარიძესთანა თავადი რაჭას არ მყავდა, თუ ჭაფარიძის სისხლს გარდიჯდიანო სუანთ გზას მივცემო... ჭაფარიძენი უბრალოდ დახოცესო მწუხედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად მრატყველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგუიანო და თუ ამ ჭაფარიძის საქმეს გარდასწყვეტენო მოიყენე კარსა და რარიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ, ჭაფარიძესაც გარდაუწყვიტონო და შემოვიწყობთო“³⁰.

სასამართლოში ბრალდებულთა მხარეს ესწ-

რებოდნენ სვანეთის „ჩენილები“, ხოლო დაზარალებულთა მხრივ ძმები სარგის, აბესალამ და ვამეყ ჭაფარიძეები. განაჩენის წარწერიდან ირკვევა, რომ სასამართლოში მდივნის მოვალეობას ზემომოსენებული ფალავანდიშვილი ასრულებდა: „დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა „რკ“ და ერთსა ხელთა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილისა ფალავანდისა მოწმეცა ვარ ამ საქმობისა“. ამ განაჩენის მიხედვით მეფის სასამართლომ ჭაფარიძეებს სისხლის ფასად მისცა: „ლაშხეთს“³¹ სოფელი და ციხე ზერას³² ცხრა კუამლი კაცი, და ერთი მომცრო მონასტერი წმ. გიორგისა თექუსმეტით ჭუარხატითა; ოთხთავითა, საწინასწარმეტყველოთა, სამოციქულოთა... ამას გარეთ მოგვცით ოსების პირად მთიულეთს ხიდურას³³ ოცი გლეგი, ერთი კარგი ციხე; ორი მონასტერი: ერთი დიდი გუმბათიანი მთავარ ანგელოზის მონასტერი ორით დიდით ოქროს ხატითა, ოცდათვრამეტითა სხუა დიდით ხატითა, თორმეტი ოქროსა და ვეცხლის კანდლითა, მისით სამონასტრო წიგნებითა, დიდითა გულანითა ოთხთავითა... ამის გარეთ იქვე ხიდურას ერთი აზნაურ-შვილი სოსავიძე მისით ციხითა თორმეტი კუამლი კაცითა. სხუა მთიულეთს ციხე და სოფელი ბრილი³⁴ ოცდაოთხი კვამლი კაცი, ერთი ეკლესია თუთხმეტი პატოხანით ხატითა და მისთა წიგნებითა სრულებით შემკობილი. თევარშოს³⁵ თექვსმეტი კუამლით კაცითა ზედქალაქსა კარგი საბატონო გუმბათიანი საყდარი ჭვარციმისა საეფისკოპოსო მისით მოთუალმარგალიტურით ომფორითა შემკობილი, რაც ეფისკოპოზსა და იმისათანას საყდარს ეკადრების, იმისთანას წიგნებითა სრულიად გათავებული ასის კუამლით კაცითა და ღებს³⁶ ორი აზნაური გიგავილეები³⁷ მისით ციხითა სამოცდათორმეტით კუამლით კაცითა. შოდას³⁸ წმიდის გიორგის ეკლესია და სოფელი ოცდახუთი კუამლი კაცი და ციხე ჩუეშოს³⁹ ციხე და შუიდი

²⁹ „თავისუფალ სვანეთად“ იწოდებოდა ზემო სვანეთის აღმოსავლეთი ნაწილი „ეცერს აქეთ“ ფასის მთამდე მთიულეთისა და ლაშხეთ-ჩოლურის ჩათვლით. შემდეგში დასავლეთ საზღვარმა ბალის მთამდე ვადმოიწია, ხოლო აღმოსავლეთით დადიანის მთამდე.

³⁰ პ. ინგოროყვა, სვანეთის ისტორიული ძეგლები, ნაყ. II, თბილისი, 1941 წ. გვ. 131.

³¹ ლაშხეთი — სოფელი (ლენტეხის რაიონი).

³² ზერია-ხერია (ლაშხეთშია) (ლენტეხის რაიონი).

³³ ხიდურა — ანუ ლაფური (ლენტეხის რაიონი).

³⁴ ბრილი — ნასოფლარი ღების ახლოს (ონის რაიონი).

³⁵ თევარშო — ნასოფლარი ღებსა და ბრილს შუა.

³⁶ ღები — სოფელი ონის რაიონში.

³⁷ გავაშვილები — იგივე გავაშელეები.

³⁸ შოდა — ნასოფლარი ღებიდან 3 ვერსზე.

³⁹ ჩუეშო — ციხე ნასოფლარი ღების ახლო.

გლენი. ჭიორას⁴⁰ ციხე და სოფელი თექვსმეტი კუამლი გლენი. ბუბას⁴¹ კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი, ეკლესია კარგის ჭუარხანტითა ოცდასუთი გლენი. სხუა ღების შესავალი სოფლები ჭუმლად⁴² ოთხასი კუამლი კაცი. სამი საშავარდენე სხუა ყოვლის დღის სანადიროები საჭიხვე, ზოფახითი, კირტიშო, ედენ⁴³.

განაჩენიდან სჩანს, რომ ცხენისწყლის სათავეებში კერძოდ ხერაისა და ლაფურის მიდამოებში თავისუფალ სვანეთს ჩამოეჭრა 129 კომლი, ხოლო რიონის სათავეებში 271 კომლი — სულ 400 კომლი სვანი თავის სახლკარიანად, ეკლესიებით და კუთვნილი ტერიტორიით, რომლის სიგრძეა დაახლოებით 100 კმ. ხოლო სიგანე 50 კმ. ანუ „ცენას იქით, გლოლას ზედათ, ოსეთს აქათ სრულიადჲ მთიულეთის თემი⁴⁴ მათი სამართლიანითა მითითა, ბართითა, საყდრებითა, წყლითა, წიქვილითა, სათევზაოითა, სათიბითა“ — და იგი ჭავჭავიძეებს გადასცა ანუ იმერეთის სამეფოს შეუერთა. მეფის სასამართლომ ამას გარდა სვანეთს გადასახდელად დააკისრა „სამასი მანქანური და ზედალური აბჯარი, სამასი ვერცხლის ჭურჭელი სურათეფში, ჩორღათო და ვერცხლის ტაშტი, წურ-წურმა კახთა მეფის ნაპარავი. ამას გარდა სამასი დიდი და საუბუქი ქუაბი, სამასი კარგი ულაყი და სალაპო. ამას გარეთ ვერ ამოგივედით არ შეგვკერდეთ. მეტი ვეღარა ღონე ვქენით სრულიად სვანთა ეცერს აქეთ. გქონდეს მკუიდრად და სამამულოდ თქვენ ჭავჭავიძესა სარგისს, აბესალამს და ვამეყს. ვინც ეს მოგიშალოს და შეიგაცუალოს წყეულიმც არს აქა და მერმესა საუკუნესა“.

ქართული, სამართლის არც ერთი ძეგლი არ იცნობს ასეთ მკაცრ განაჩენს. იგი მეფის რისხვას უფრო ჰგავდა ვიდრე ჩვეულებრივ განაჩენს. ჩვენი აზრით მეფის განრისხებას ჰქონდა საკმაო საფუძველი. ალექსანდრე პირველი ცდილობდა საქართველოს ყველა კუთხის გაერთიანებას და მათ დაქვემდებარებას ცენტრალური სამეფო ხელისუფლებისადმი. უნდა

ვიფიქროთ, რომ სვანეთი მეფის ამ პოლიტიკას არა მარტო არ იზიარებდა, არამედ გარკვეულ წინააღმდეგობასაც უწევდა. ამას სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობდა ხელს. მეფემ უკიდურეს ზომას მიმართა. მისი მომხრე რაქის თავადების უშუალო მონაწილეობით დაიწყო სვანების შევიწროება მათი დამორჩილების მიზნით.

როგორც ამ ძეგლის უკანასკნელად შესრულებულ თარგმანიდან (რუსული თარგმანი) ჩანს დღემდე გამოცემულ ყველა თარგმანში თავისუფალი სვანეთის შემადგენლობიდან გამოტოვებული ყოფილა ამჟამად ქვემო სვანეთის ორი დიდი თემი ლაშხეთი და ჩოლოური. რუსულ თარგმანში ისევე, როგორც სხვა მთელი რიგი საკითხები ამ ძეგლისა ეს აღდგენილი და გასწორებულია. აი რა სწერია რუსულ გამოცემაში ამაზე: «Все свани, а именно все мулахцы и входящие мулахы, латарцы и входящие латары, ушкульцы и входящие ушкули, лашхцы (и) чолурцы входящие в них»⁴⁵.

ამდენად ფრანგულიდან ტექსტის სწორი ამოკითხვით ნათელი მიუფინა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც, კერძოდ იმას, რომ ლაშხეთ-ჩოლოური თითქოს ხელოვნურად იყო ჩამოცილებული თავისუფალ სვანეთის შემადგენლობას, ხოლო ისტორია ეთნოგრაფია ამაზე ხდუმდა. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ: «Таким образом, в XV в. так называемая Вольная Сванетия занимала по крайней мере и восточную часть нынешней Нижней Сванетии общины Лашхети и Голури нынешней горной Рачи»⁴⁶.

ავტორის ეს მოსაზრება დამყარებულია ისტორიოგრაფიაზე, რომელსაც იგი სისტემატიურად იმოწმებს. მაშასადამე უნდაჲ ვიფიქროთ, რომ თავისუფალი სვანეთის სასღვარი სამხრეთ აღმოსავლეთით ღლასილით ან გოლდამის მთით ზედა აშარაში სადღაც ჰქვეთდა მდ. ცხენისწყალს და მთა ჭუთხაროს გაყოლებით მთა რაჭამდე მიჰყვებოდა. ჭავჭავიძეებზე მთიულეთის თემის გადაცემის შემდეგ ეს სასღვარი, რო-

40 ჭიორა — სოფელი ონის რაიონში.

41 ბუბა — სოფელი ონის რაიონში.

42 ჭუმლი — იგივე ჭამი.

43 ედენ — სანადირო ადგილი.

44 ს. მაკალათაის აზრით „დღევანდელი მთის რაქის ტერიტორიაზე (ღები, ჭიორა) სვანური მოსახლეობა ვაკრცელებულა და კავკასიონის მთელი ეს კუთხეც XV ს-ში სვანეთს ჰკუთვნებია“. ამასვე მოწმობს ლეონტი მროველის ცნობა: „დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე... არს სვანეთი“. ამდენად სვანეთის მიერ სისხლის ფასად მიცემული 400 კომლი მთა რაჭაში, სახლობდა ჭიორა-ღებში და მის ახლო-მანლო, ხოლო ჭუთხაროს მთის იქით ხიდურაში ანუ მთა ლაფურაში (იხ. ს. მაკალათია, მთა რაჭა, 1930 წ. გვ. 9—18).

⁴⁵ Саурмаг Какабадзе, Грузинские документы, Институт народов Азии, Москва, 1967 г., стр. 33.

⁴⁶ იქვე.



გორც სჩანს ზედა აშარადან მახაშის თავზე ნაქალაქებსა და დაღიაშამდე გადაწეულა, ხოლო ჩოლოურ-ლაშხეთიც დროთა ვითარებაში ჩამოსცილებია თავისუფალ სვანეთს.

თავისუფალი სვანეთის მოსახლეობის ნაწილი ლაშხეთ-ჩოლოურში დღემდე იგივე გვარებით იწოდებიან, როგორც ენგურის ხეობაში: ჭაფარიძე, ქურდიანი. დედგარიანი, ზურაბიანი, მარგიანი, ჟორჟოლიანი, ავალიანი, ფარჯიანი, ხაჭვანი, ხვისტანი, ჩოფლიანი, ნაკანი და ა. შ. ხოლო ნაწილსაც უამთა სვლის გამო ამჩნევია ოდნავ გადასხვაფერება. ასე მაგალითად: გვიღანები, (ლატალი) აქ იწოდებიან როგორც გვიღიანები, ვაბლიანები (მუღლახი) — ვაბიანები, მუკვანი, ხვიბლიანი, გულბანი (იფარი) — მუკვანიანები, ხაბუღიანები, გულბიანები და გვეღებანიანი, შერვაშიძე (მუღლახი) — შვარგვიანიანი, მარგველიანი (კალა) — მარგველიანები, კასტიანი (ხაღდე) — კვასტიანები და ა. შ.

საეკლესიო ჩანაწერებისა და სვანური ეთნოგრაფიის მიხედვით ეს გვარები ენგურის ხეობის მკვიდრი მოსახლეობა იყო, და ადრეულ პერიოდში ენგურის ხეობიდან საცხოვრებლად ცხენის წყლის ხეობაში გადაინაცვლეს, სადაც მთარაჟის მოსახლეობასთან ერთად სახლებოდნენ და იკავებდნენ ჩოლოურ-ლაშხეთის ტერიტორიებს მკვიდრ მოსახლეობის გვერდით. რამდენადაც ეს ადგილები იმთავითვე დასახლებული იყო მთარაჟის და სვანეთის მოსახლეობით ამდენად საფიქრებელია, რომ XV საუკუნეში ეს ტერიტორიებიც თავისუფალ სვანეთის საზღვრებში იყო, რასაც თვითონ ეს ძეგლიც გვიდასტურებს.

ძნელია იმის თქმა თუ როგორ შესრულდა ალექსანდრე მეფის ეს განაჩენი, მაგრამ ტერიტორია და მოსახლეობა, რომელიც განაჩენშია აღნიშნული თავისუფალ სვანეთს ნამდვილად ჩამოეჭრა და სამეფო ხელისუფლების თუ ჭაფარიძეთა შევიწროების გამო მოსახლეობა ამ ადგილებიდან თანდათან აიყარა და ამჟამად მხოლოდ სვანური ციხე-კოშკების ნანგრევებით დასტურდება, რომ აქ სვანები ცხოვრობდნენ.

ალექსანდრე დიდმა ამ სასამართლო აქტის ძალით ფაქტიურად დააყენა 400 კომლი. მაგრამ მეფის პოლიტიკა არ იდგა მყარ ნიადაგზე, იგი არ იყო სოციალ-ეკონომიური პირობებით შემზადებული და ისევე, როგორ მარცხით დამთავრდა არავის ერისთავთა ორსაუკუნოვანი ბრძოლა

ფშავ-ხევსურეთის დაყმევებისათვის (მე-16, მე-17) სს. აქაც შიშველ საბრალმდებო აქტით დაყმევებული მოსახლეობა აუჭანყდა ჭაფარიძე-არეშიძეებს, ამოხოცეს ისინი და თავისუფლება დაიბრუნეს. ხალხში შემორჩენილი თქმულებების და სვანეთის ეთნოგრაფიის მიხედვით ამ ადგილებში აყრილი მოსახლეობის ნაწილი სვანეთში გახიზნულა, ხოლო ნაწილი ბარში ჩამოსულა.

გარკვეული ინტერესის შემცველია ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის იურიდიული მხარე ქართული ფეოდალური სამართლის თვალსაზრისით. საუბრანლო სტატიაში შეიძლება მისი განხილვა, გავკრით კი შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს შემადგენლობა იგივე გვიანფეოდალური საქართველოს მეფის დარბაზია. ამირეჯიბი, ფალავანდიშვილი, დაღიანი, კახაბერი და სხვები ცნობილი დიდგვაროვნები და მეფის დიდი მოხელეებია. ასეთი შემადგენლობის დარბაზი, როგორც სასამართლო ორგანო მეფის თავმჯდომარეობით, მხოლოდ განსაკუთრებულ მძიმე საქმეთა განსარჩევად იკრიბებოდა. საუბრანდებოა ისიც, რომ ბატონი მამია დაღიანი მეფემ სასამართლოში ჩართო, როგორც სვანეთის წარმომადგენელი. ამ პერიოდში ქართული ფეოდალური სამართალი დიდად განვითარებულია. მკვლევარის სისხლის ფასის განსაზღვრა არ წარმოადგენდა რაიმე სირთულეს, რადგან იგი სამართლით მტკიცედ ჩამოყალიბებული და რეგლამენტირებულია. მაგრამ მეფის სასამართლომ, როგორც ჩანს ამ წესს არ გაუწია ანგარიში და განაჩენი სამართლის გვერდით ავლით გამოიჩანა. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც მეფე თვითონ იყო უმაღლესი მსაჯული. მისთვის, როგორც უმაღლესი ხელი-სუფლისათვის ამ მხრივ არ იყო რაიმე შეზღუდვა. მეფის სასამართლო თვითონ ქმნიდა სამართალს. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც.

გეგუთის სასამართლო პროცესი არ არის ტიპური მაშინდელ ყოველდღიური სასამართლო პრაქტიკისათვის⁴⁷. ანალოგიურ შემთხვევას ქართულ სამართლის ისტორიაში იშვიათად თუ ჰქონია ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს სასამართლო თავისი შინაარსით უფრო პოლიტიკური ღონისძიება იყო, ვიდრე სასამართლო პროცესი.

მეფე ალექსანდრე პირველის 1413 წლის განაჩენში გვხვდება მრავალი იურიდიული ტერ-

⁴⁷ როგორც ზემოთ ავლინებთ განაჩენის ასლი ნაპოვნია უშგულის ეკლესიაში, სადაც ის ინახებოდა მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე. სვანური ადათით მკვლევარის შემდეგ მხარეთა დაზავების მიზნით ხშირად მიმართავდნენ ასეთ წერილობით აქტის შედგენას ე. წ. „სამაგრობელს“. რამდენადაც ასლი მხოლოდ უშგულში იყო დაცული საფიქრებელია, რომ მკვლევარმა რომელიმე უშგულელმა ჩაიღინა.

შინი, რომელიც ფეოდალურ სამართლისათვის არის დამახასიათებელი.

როგორც ფეოდალურ სამართლის სხვა ძეგლები, ისევე აქაც სიტყვა „სისხლი“ სასჯელის გამოხატველი ტერმინია. „სისხლი“ ქართულ სამართალში ნიშნავდა არა მარტო დანაშაულის ქონებრივ საზღაურს, არამედ თვითონ დანაშაულისათვის მისჯილ სასჯელსაც. ასევე ნახმარი ეს სიტყვა ჩვენს მიერ განხილულ განაჩენშიც. მეფის სასამართლომ რომ „ჯაფარიძეებს სიგელი მოატანინა“ მასში „უზომოდ დიდი სისხლი და სანახშირე ეწერა“. ამ შემთხვევაში „სისხლი“ გამოხატავდა არა მარტო სასჯელს, არამედ ქონებრივ საზღაურსაც.

განაჩენში დაწერილი სიტყვა „სანახშირო“ ქართული სამართლისათვის ცნობილი ტერმინია და განაჩენში იგი არ არის შემთხვევით ჩაწერილი. „სანახშიროს“ გარეშე არ შეიძლება გამოტანილიყო ამგვარი მძიმე განაჩენი. სიტყვა „სანახშირო“ ნ. მარის გამოკვლევით წარმოდგება „ნახშირიდან“. „სანახშირო“ დანაშაულის ქონებრივ საზღაურის გამოხატველ სიტყვაა. ქართულ სამართლის ძეგლებში ხშირად გვხვდება შემთხვევა, როდესაც მნიშვნელოვან საქმეთა გამო სიგელების ბოძების დროს „სანახშიროსაც“ აღნიშნავდნენ თვით სიგელში. ეს მოქიშპე მხარეთა დაზავების საწინააღმდეგო იყო. „სანახშირო“ დამანაშავეს გადახდებოდა, მხოლოდ მძიმე დანაშაულთა საქმეებზე. კანონიკური სამართლის მიხედვით „ვინც ქრისტიანმან კაცმან ძმას თულანი დასწუნეს ცხადად ან ღალატად ანუ მოჰკუეთოს რაიმე ასოთაგან, სისხლი სრული და სანახშირო დაუურვოს“ (მუხ. 162).

სვანურ ადათობრივი სამართლის მიხედვით შურისძიებით მკვლელობის დროს „წორთან“ ანუ „სისხლის ფასთან“ ერთად დამანაშავეს დაზარალებულისათვის უნდა მიეცა საკუთარი იარაღები თოფი, ხანჯალი და სხვა. დაზარალებ-

ბულის მშობლებისა თუ მეუღლისათვის სისხლის ფასს ზემოთ უნდა მიეცა თითო სული მსხვილფეხა საქონელი ე. წ. ჯარიმა რაც იგივე დაზავების საწინააღმდეგო ანუ „სანახშიროს“ წარმოადგენდა.

ცხადია ასეთ მძიმე განაჩენში „სანახშირო“ არ შეიძლება გამოტანილიყო მხედველობიდან. თუმცა განაჩენში უშუალოდ არ სწერია „სანახშიროს“ რაოდენობა, მაგრამ ფაქტია რომ მეფის სასამართლომ სვანეთისაგან ჯაფარიძეებს „სანახშიროც“ გადაუწვავია.

განაჩენის მიხედვით მეფის სასამართლომ ბრალდებულად ცნო არა მკვლელობის ჩამდენი ცალკეული პირები, არამედ მთლიანად თავისუფალი სვანეთი. როგორც ცნობილია მკვლელობისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობას შორეულ წარსულში აქვს ფესვები. დროთა ვითარებაში კოლექტიური პასუხისმგებლობა დაკანონებული და სანქცირებული იქნა თვითონ სახელმწიფო ხელისუფლების მიერაც.

სვანური ადათობრივი ოჯახი, გვარი და მთელი „კვიც“ თავზე იღებდა პასუხისმგებლობას მათი წევრის მიერ ჩდენილ დანაშაულისათვის. „კვიც“ ამ შემთხვევაში კი თავისუფალი სვანეთი კოლექტიურ პასუხისმგებლობას იღებდა ისეთ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილი იყო მისი წევრის მიერ გაუფრთხილებლობით, ან თუნდაც წინასწარ განზრახვით, მაგრამ ასეთი განპირობებული იყო საზოგადოებრივი ინტერესებით, მთელი „კვიცის“ ინტერესით. მოცემულ შემთხვევაში მკვლელობა ცალკეულ პირების კონფლიქტს კი არ მოყვა, არამედ საერთოდ სვანეთთან ჯაფარიძეების კონფლიქტს. ამიტომაც მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა თვითონ თავისუფალ სვანეთმა ზღო და მეფის სასამართლომაც ამიტომ დააკისრა „სისხლის“ გადახდა მთლიანად თავისუფალ სვანეთს.

ერთი საღამო მოსამართლესთან

იმ დღეს ჩვეულებრივზე უფრო დაღლილი მოვიდა შინ. მესამე დღე იყო გახმა-
ურებულ პროცესს თავმჯდომარეობდა. სამართალში მიცემულმა მოკლა უახლოესი
მეგობარი. ამ უბედურებამ უამრავი და ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი
წამოჭრა სასამართლოს წინაშე. საქმის ფაბულა მეტად რთული იყო. რაც მთავარია,
დადგენილი უნდა ყოფილიყო მიზეზი, ამ საშინელი დანაშაულის მიზეზი!

- ხვალ, ჩემო ირაკლი, დაცვითი სიტყვით გამოდის ადვოკატი. საინტერესოა?!
- მამა, გახსოვს აკაკი?

„იმერელი კიკოლიკა
მოციქულად მზადდებოდა,
ადვოკატად გაიტლიკა“.

— ცოლის სამემკვიდრეო საქმე რომ წაავო, ალბათ მაშინ დაწერა ეს ლექსი გა-
ნაწყენებულმა.

— ჭოლა ლომთაიძე კი სუბიექტური მოსაზრებიდან არ გამოდიოდა მგონი,
ამას რომ ამბობდა: „ადვოკატის სიმართლის მეტყველი ბაგე გატაცებით იცავს... თავისი
საკუთარი ჯიბის ინტერესებს“. თუგინდ სხვა მწერლებიც არაფერს კარგს...

— ამ ნათქვამში უდავოდ არის გადაჭარბება და არასიზუსტე. თუმცა საერთოდ
ცოტათდენი სიმართლე თავს ვერ მალავს. რა თქმა უნდა, ადვოკატთა შემადგენლობა-
ში, ისევე როგორც სხვა პროფესიის ხალხში, მოიპოვებიან ჩამორჩენილი, ნაკლე-
ბად განათლებული, ამ პროფესიისათვის შეუფერებელი პირები. და აქ უკვე ადამიანუ-
რი ბუნება იჩენს თავს, ადამიანური სისუსტე. სამართალწარმოება ვენახსა ჰგავს ერთ
რამეში: ხანდახან მას ფილოქსერა მოედება ხოლმე. სახელის მოხვეჭისა და გამდიდ-
რების სენი ზოგჯერ მოედებათ ხოლმე ადვოკატებს, მაგრამ გონიერნი ადვილად იხ-
დიან ამ სენს, ბრიყვნი კი გადააჰყვებიან...

— კი, მაგრამ გრძნეული სიტყვა — „ჰონორარი“ თითქმის ყველაზე მეტად
ერწყმის ადვოკატის საქმიანობის ინტერესს.

— ეს არაჯანსაღი შეხედულება დაცვის ინსტიტუტის არსის გაუგებრობამ წარ-
მოქმნა. ადვოკატი თავისი საქმიანობისათვის იღებს გასამრჯელოს, იმ საქმიანობისა-
თვის, რომელიც მეტად შრომატევადი და სპეციფიკურია, რაც ამავე დროს საკმაო
ნიჭსა და მიხვედრილობას მოითხოვს.

— და აი, ამ გასამრჯელოს გამო იგი ბრალდებულის თუ სამართალში მიცე-
მულის ზამბარაზე მოხტუნავე თოჯინას მოგვაგონებს. ეს კი საზოგადოების უარყო-
ფითს დამოკიდებულებას იწვევს მათდამი.

— ადვოკატის მოვალეობის ასე განსაზღვრა სრული ნონსენსია. ეს მოსაზრება
აშკარა წინააღმდეგობაშია როგორც კანონთან, ისე ადვოკატის პროცესუალურ მო-
ვალეობასთან. ადვოკატი პროცესში არა მარტო სამართალში მიცემულის წარმომადგე-
ნელია, არამედ დამოუკიდებელი მხარეც არის. იგი უპირველესად საზოგადოების,
სახელმწიფოს ინტერესების მატარებელია. ადვოკატი იცავს მარწმუნებლის კანონიერ
ინტერესებს კანონის შესაბამისად და კანონიერების ზუსტი დაცვით. ადვოკატი თვალ-
სანახს ხდის მის პიროვნებას, მის სამყაროს სასამართლოსათვის. გულდასმით კრებს
და ახსენებს სასამართლოს, რაც ამართლებს ან უმსუბუქებს სასჯელს სამართალში მი-
ცემულს. ახლა მეტად იშვიათად გვხვდება ა. კონი რომ წერდა ისეთი შემთხვევები,
როდესაც დამნაშავის დაცვას დანაშაულის გამართლებამდე მივყავართ. ადვოკატი

ხელს უწყობს სასამართლოს სიმართლისა და ჭეშმარიტების დადგენაში, ადვოკატი თითქოს და სასამართლოს შემადგენლობის აბჯრის მტვირთველად გვევლინება.

— კი, მაგრამ ადვოკატი იცავს ძირითადად მკვლელებს, ქურდებს, ხულიგნებს, მოძალადეებს და საზოგადოების სხვა მათს მსგავს ნაძირალებს. რა გამართლება აქვს ამ საქმიანობას?

— არ არსებობს ისეთი დამნაშავე, რომლის დაცვაც არ შეიძლებოდა. ყოველ დანაშაულებრივ ქმედობას აქვს რაღაც მამოძრავებელი მიზეზი, ყოველ დამნაშავეში ღვივის ადამიანობის ნაპერწკალი. რასაკვირველია, დაცვის ინსტიტუტი არ საზრდოობს ლათინთა თქმით — „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არისო“ და არც ტოლსტოის მოძღვრების მომხრეა — ბოროტებას სიკეთით უპასუხოთო, მაგრამ დაცემული ადამიანის ფეხზე დაყენება, მისი განწმენდა და მისი ადამიანური სახის გამოვლინება ადვოკატთა მოვალეობა არის და ამასთან მეტად მძიმე მოვალეობა. ამ დროს დაცვის ხერხები კანონიერი, ზომიერი უნდა იყოს.

ქართველებისათვის ცოტაა ისეთი ავად მოსაგონარი სახელი, როგორც ბერბიჭაშვილისა, რომლის დანაშაულმა გულის ძარღვამდე შეარყია საქართველო. ასევეა რუსეთში დანტესისა და მარტინოვის სახელები. და ამ პიროვნებას, ამ წყევლა-კრულვით მოსაგონარ ადამიანს იცავდა ადვოკატი ალ. ჯაფარიძე. იგი ფრიად განათლებული და ერუდირებული იურისტი იყო, მან იცოდა საქმის სირთულე, იცოდა, რომ მისი მარწმუნებული ილიას მკვლეელი იყო. იგი კი არ ამართლებდა მის ქმედობას, მის გათავისუფლებას კი არ მოითხოვდა, არამედ ცდილობდა დახმარებოდა სასამართლოს იმ მდგომარეობის გარკვევაში, რაც სამართალში მიცემულის ბრალს შეამსუბუქებდა. აი, რა თქვა მან პროცესზე: „მე მხვდა წილად ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობა, როგორც სასამართლოს თანაშემწეს და როგორც ბერბიჭაშვილის დამცველს და მეტად კმაყოფილი ვიქნები და შესრულებულად ჩავთვლიდი მოვალეობას, თუ შეეძლებოდა ოდნავ მაინც დავეხმარო სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში.“

ბრალდებული გიორგი ბერბიჭაშვილი, მისივე აღიარებით, მკვლელობის ფაქტიური მონაწილეა... და ალბათ ზოგიერთის წინაშე საკითხი ისმის — მკვლელობა ფაქტია, მიუტკეველობა უდავოა, ბერბიჭაშვილი მონაწილეა მკვლელობისა და რაღა საჭიროა დაცვითი სიტყვა მისთვისო, რას იტყვის დაცვა!

არ მიძნელებს და არ მებორკება ენა მე, გიორგი ბერბიჭაშვილის დამცველს, რომ ვთქვა-უნდა დაისაჯოს ბერბიჭაშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ფაქტიური შესრულების მონაწილე... უნდა დაისაჯოს იგი ისე, როგორც ისჯება ჩვენში თანამონაწილე, მისი ერთობლივ მნიშვნელოვანი ბოროტმოქმედების მხედველობაში მიღებით, მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება სასამართლოს არ მოვაგონოთ მისი სახე, მისი ცხოვრების გზა იმ ჟამიდან, როდესაც ბერბიჭაშვილი 10 წლისა იყო, ვიდრე დღემდე. თუ როგორ იქნა გამოყენებული ცარიზმის „ოხრანის“ აგენტის მიერ ცხოვრების ჩარხი, პატარაობიდანვე უკუღმა დატრიალებული...

იქნებ შესაძლებლად ცნოს უმაღლესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ისიც, რომ მას შემდეგ, რაც ბერბიჭაშვილმა შეიგნო, თუ რა გაუკეთებია 1907 წელს, როდესაც ილ. ჭავჭავაძის მოსაკლავად აღმართა ხელი, თუ გინდა როგორც თანამონაწილემ, რამდენი განიცადა, რამდენად თვითონვე დაჰგმო ან ახლა გმობს თავის ნამოქმედარს.

იქნებ შესაძლებლად ცნოს სასამართლომ და არ ისურვოს სიცოცხლით აზღვევინოს გიორგი ბერბიჭაშვილს მისი დანაშაული. მე მინდა არ მოვტყუყუდე იმაში, რომ გიორგი ბერბიჭაშვილი საბოლოო სიტყვაში მაინც მთლიანად გამოთქვამს თავისი დიდი დანაშაულის ღრმად შეგნების აზრს. იქნებ მან მოგახსენოთ ისიც, რამდენი ხანია

მეგობრული სიზმრები

მ ო თ ხ რ ო ბ ა *

— როდის?

— როცა დაზვერვაზე ვიყავით და ხიდი ავაფეთქეთ. მხოლოდ მე დაგბრუნდი, დანარჩენებს ბედმა უმუხტოლა. ნამდვილი ბრძოლა გავიმართეს იმ წუთნელგამა, ხუთ კაცს ასეული გვიტყვდა. ოცდაათი ტყვია აქვს მოხვედრილი, სასწაული მოხდა სწორედ.

— ნუთუ მართლა? — გავიკვირე უნებლიედ.

— მე ტყუილი არ ვიცი, ახლავე მოგიტანთ და დარწმუნდებით.

— არ არის საჭირო. მჯერა რაკი ამბობთ.

— მაშ ხვალ გაჩვენებთ. ხომ მოიცლით ჩემთვის?

— რა თქმა უნდა. ალბათ ჯილდოებიც გაქვო? — ვკითხე ანგარიშმიუტეველად.

— თქვენც ასეთი ხართ? — ნაღვლიანი ხმით თქვა და წამოდგა. — იმიტომ კი არ მოგიყვებით ეს ამბავი... ისე ვთქვი, ძალიან მინდოდა და ვთქვი... მეგონა, გამიგებდით, კარგად იყავით... — მომძახხა და ქოხისაკენ ბარბაცით გასწია.

მას შემდეგ ხშირად ვფიქრობდი ამ უცნაურ ადამიანზე. ვცდილობდი. თავისუფალი დრო მასთან გამეტარებინა და იმ ზაფხულს მართლაც კვირა არ გავიძლოდა, ერთხელ მაინც რომ არ შევხვედროდი.

— ჩემთან ხომ არ დალევდით ერთ-ორ ჭკაქას, — მორიდებით მთხოვდა ხოლმე და მის ქოხთან ჩამოვსდებოდით. სასმელი გულს რომ უბოვიდა, წარსულ ამბებს მოიგონებდა. მე უკვე მჯეროდა მისი და გატაცებით ვუსმენდი. „ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით“, — იტყოდა, როცა თავის ვანციტებზე ჩამოაგდებდა საუბარს და ხმა დაუტყებოდა.

— ნუ გგონიათ, მთლად წყალწალბებული კაცი ვიყო, აი, ნახავთ, ვინ ვარ მე, — მითხრა ერთხელ, — მერე ზხლოს მოვიდა და ჩამჩურჩულა: „იცი, შვილი მყავს, ახლა უკვე დიდია, ზოგჯერ ამანათსაც ვუგზავნი. მან იცის, რომ მისი მამა ვარ და მელოდება“. — თვალები უბრუნდებოდა უხელოვან სწავლას უნათებდა სახეს. მიუყრებოდა და უხმოდ მთხოვდა პასუხს. მე კი გაოგნებული ვიდექი, არ ვიცოდი რა მექნა.

გამომძიებელი წამოდგა, მოუსვენრად გაიარა გამოიარა ფანჯრის წინ.

— ცუდი თვისება სულ არ ჰქონდა? — იკითხა უტეხ.

— როგორ არა, საშინელი ვაბრაზება იცოდა... — სახე შეეკუმუნა მოწმეს.

გამომძიებელი მაგიდას მიუჯდა და მოწმის დაკითხვის ბლანკი უხალისოდ დაიღო წინ. ხმას არ იღებდა, დუმდა მოწმეც... კალამი წრიბინებდა მხოლოდ.

7.

ღრუბლის ფთილებში გახვეული მზე ტაატით მიცურავდა დასავლეთისაკენ. როცა ღრუბლების თხელი ფენები აქა-იქ ცილდებოდნენ ერთმანეთს, გავანია ედებოდა ცას და ვეება ცურებდნენ ოქროსფერი სხივები იწურებოდა. დაზაფრული ნისლი მთის კალთებზე დნებოდა.

ნისლის ფერი დასდებოდა თეთრ წყალს, რიყის ქვებზე გაჭირვებით მოითრევდა დაგრაგნილ ტანს. მზუოდა, რაღაცას ბუტბუტებდა გულჩათხრობილი... ხმას არავინ იღებდა, ბარები მსუბუქად იჭრებოდა ფხვიერ მიწაში.

ნელა ამოიღეს კუბო... ფერი წართმეოდათ, საყელოთი იწმენდნენ ოფლს.

შუახნის კაცმა დაბნეულად მიმოიხედა და ხელში ჩაბღუჯული ქუდი ვიდაც უტნობს შეაჩეხა. ხელები რომ გაითავისუფლა, ჩამოხსნა, გვამის მარცხენა ფეხის გულს დახედა და მაშინვე წამოდგა.

— დიახ, ნამდვილად ჩემი მამა არის—ალექსეი მეღვედინი. დიდი დროა გასული, მაგრამ მაინც შერჩენია ახლობლებისათვის ცნობილი ნიშანი. ხალხი გაინახა.

ახლაგზრდამ, რომელიც უხმოდ იდგა აქამდე, გამომძიებელს შეხედა და ჩემოდნიდან დიდი ზეწარი ამოიღო. მისი ერთი ზედა წვერი კენწერომღვ ტოტეშვიცილილ ხის გამოაბა სხვა თა დახმარებით მეორე წვერიც ბუტბუტებზე მიამაგრა და ერთი მხრიდან დაფარა ის ადგილი, სადაც უნდა გაეკვეთათ გვამი.

* დასასრული. დასაწყისი იხ. უფრ. „საბჭოთა სამართალი“, 1970 წ. № 6, გვ. 78—85.

— ჩემი დასწრება აუცილებელია? — იკითხა მეღვედინმა.

— როგორც გენებოთ!

— ან კი რა საჭიროა ახლა იმის წვალემა, საძიებელი რაღა არის არ ვიცი? თქვენ ხომ თქვით, ბლინოვებმა მიიხრეს სანადირო თოფით მოკლესო?

— მართოდენ ჩვენებით არ ვკმაყოფილებით. ხომ შეიძლება იცრუნო? ექსპერტიზის მონაცემები მათი ჩვენების შემოწმებაშიც დაგვეხმარება.

— თუ ასეა, რა მეტქმის... თქვენ უკეთ იცით. მეღვედინი აჩქარებით ბოლთასა სცემდა. ზოგჯერ ფეხაქრფით მიაღებებოდა ჩათქათა ქსოვილს, მის ზედა ბოლოს ნიკაბს ჩამოაღებდა და გაწაბული იცქირებოდა. მერე ერთბაშად ბრუნდებოდა სახედამანჭული და წინ და უკან გააალებით დადიოდა.

ქსოვილი შეირხა, თითქოს მთელ სიგრძეზე გადაეველო წყლის ტალღა, ისევ შეირხა და მერე ფარფაბით დაეშვა მიწაზე.

— საფანტი ტყეები, როგორც ნახეთ, ძვლებში ჰქონდა. სიკვდილიდან ოთხი-ხუთი თვეა გასული, — თქვა ექსპერტმა და პალტოს საყელი წამოიწია.

კუბო მარხილზე დადეს... ცხენები გრძობდნენ უჩვეულო ტვირთს და ფრუტუნებდნენ. მარხილი ჭრიალებდა.

მოხსული მინდორი თვალსაწიერზე გადაჭიმულიყო. ჩიტები ვუნდ-გუნდად დაფრინავდნენ ყივლი-ხვილით. ზოგან ოღრო-ჩოღრო აფერხებდა მარხილს.

— რა არის ცხოვრება?! — თქვა ვილაცამ.

— მართლაც რაა.

გამომძიებელი ჩაიფიქრა.

— ეჰ! — ჩაიღუღუნა მეღვედინმა და თავი დახარა.

მეღვედინი უცებ შეჩერდა, ხალხს გამოეყო და შორს დარჩენილ ჯაგნარისაკენ გაიხედა. უგერვილოდ იყურებოდა, ცდილობდა შეენიშნა ის ადგილი, საიდანაც ამოიღეს გვამი. „კარგია, რომ იქ არ დარჩა“, — ჩაილაპარაკა და აჩქარებით აედევნა წინ წასულებს.

ნელა მიდიოდნენ. სოფლის განაპირას ცნობის-მოყვარებებიც უერთდებოდნენ.

„რა არის ცხოვრება?“ — მოაგონდა გამომძიებელს, როცა გზაზე მართო დარჩა. — ცხოვრება მშვენიერებაა ანდა, ყოველ შემთხვევაში, მშვენიერებისათვის ბრძოლაა, — უბასუხა თავის თვზ, მაგრამ პასუხმა არ დააკმაყოფილა. — არა, — გაავრძელა ფიქრი, — ცხოვრება ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა, ყველგან არც ახლა ერთნაირი, მაგრამ სადაც არ უნდა იყოს, საერთო ერთი აქვს — მეტნაკლებად ბრძოლაა მინც უკეთესისათვის, სიკეთის ჭიდილია ბო-

როტებასთან“. და შვება იგრძნო ბნელისა და დრომოჭმულის წინაღმდეგ ბრძოლის წყურვილს პროფესიაც რომ უბამდა მხარს.

ღრმად ამოისუნთქა და ჰორიზონტს გახედა. მშვიდად მიჰყვებოდნენ სასაფლაოს მომშვილდულ აღმართს. მარხილის ჭრიალი სმენას აღარ სწევდებოდა.

8.

გათენებული არ იყო, სახლიდან რომ გამოვიდა. პროკურატურაში არავინ დახვედრია. შვევიდა თუ არა სამუშაო ოთახში, შუქი ანთო და მაგიდას მიუჯდა.

ფანჯრიდან გაყონილი სხივები ნახად ეთამაშებოდნენ ფიჭვის რტოებს. მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, ვერც შუქის მიღმა ჩაწოლილ ბინდს ამჩნევდა. გულისყური წაერთმია საქმეს.

ჭირვეულად ახშიანდა დერეფანი. კაკუნი გაიშმა.

— თქვენა ხართ, ლეონიდ გაბრიელის-ძევ?! ამ ალიონზე რამ მოგიყვანათ?

— მიიხრეს, ვიბარებსო და ადრე მოსვლა ვარჩიე. კარგია რომ დახმვდით.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარესაც ველოდი.

— მოვა. ყველანი უთენია ხომ არ დაგატყდებოდით თავს.

— იცით რატომ შეგაწუხეთ?

— სოფლის ხელმძღვანელობასაც მიგვიძღვის ბრალი. მაგრამ ვთხოვთ, ჯერ ამისხნათ, როგორ დაადგინეთ მეღვედინის ვინაობა. აქამდე არ მასვენებს ეს ამბავი.

გამომძიებელი ჩაიფიქრა.

— თქვენ გვამის დათვალიერებას დაესწრათ. თუ გახსოვთ რა ეცვა?

— სპორტული შარვალი და ხალათი.

— ხალათს რამდენი საილილე ჰქონდა?

— ხუთი.

— რატომ შეგვექმნა აზრი, რომ ერთი ღილი აკლდა?.. აბა მოიგონეთ, ყურადღება რაზე გავამახვილოთ?

— ზედა ღილიდან მომდევნო ღილამდე ორჯერ იმდენი დაშორება იყო, რაც შემდეგ ღილებს შორის. გარდა ამისა, ოთხი ღილი ებნია მხოლოდ.

— მაშასადამე, — განაგრძო გამომძიებელმა, — ერთი ღილი აკლდა გულის პირზე, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ჩხუბისას ხშირად იციან ხელის ჩავლება. და ბოლოს, ხალათის ღილები და ნაბოვნი ღილიც ფერით, ზომითა და ფორმით ერთნაირი იყო. ამასთანავე ყვითელი ღილი იშვიათად იხმარება. რაც ვთქვით, ობიექტური მონაცემებია და თავადაც ნახეთ.

დასკვნებითა და ფანტაზიით მხოლოდ იმის წარმოდგენა მომიხდა, ვანჩხლებულმა ცოლმა უსიამოვნების დროს როგორ ჩაავლო ალექსის გულსპირში ხელი და აწყვეტილი დილი ოთახის კუთხეში როგორ გაგორდა.

— ამჟამად საქმე რა სტადიაშია?

— დასასრულს უახლოვდება.

— მინდვრის მცველ კოლიას მოუკლავსო, ხალხი ამბობს...

გამომძიებელმა თავი დაუქნია.

— გზაში მითხრეს, თავისი ცოლის, თუ გერის საყვარელი რომ მოკლა, ტყეში გაქცეულა, მილიციის მუშაყებს არ დანებებია და დაუჭრიათო.

— მართალი უთქვამთ, გუშინ მიიყვანეს საავადმყოფოში.

გამომძიებელი ჩაფიქრდა.

თავმჯდომარემ იგრძნო, რომ მათი საქმიანი დამოკიდებულების დრო დადგა, მაგრამ არ მობუზულა, შთაგონებული იყრი არ წართმევია, იგივე დარჩა, მხოლოდ ერთი გრძნობა შეემატა — მზად იყო დიდსულოვნად შეხვედროდა კანონის წყრომას.

გამომძიებელს მოსწონდა, სერიოზულად რომ ეკიდებოდა ეს ბევრის მნახველი და გამოცდილი კაცი საქმიან დღეებში გაპარულ შეცდომას. „არა, ვინც დანაშაულს გრძნობს და ინანიებს, არ მდაბლდებაო“, — გაიფიქრა.

— სად მოძებნეთ ეს ხალხი? ერთად თავი როგორ მოუყარეთ? თანაც სოფლიდან მოშორებით, თითქოს იმიტომ, კეთილი ხმაც არ მისწვდომოდათ, — უთხრა საყვედურით და თვალეში შეხედა.

ლეონიდი დუმდა, მზერა მოარიდა.

— ხომ იცით, ჯერ კიდევ არიან გზააბნეული ადამიანები? მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდათ, მათი ზეგანა აღზრდა საჭირო... ფიქრობ იმაზე, რაც იქ ხდებოდა და უსიამოვნო განცდა გიწიწყნის გულს... მაგრამ სინანულსაც

გრძნობ, თვალწინ გიდგება დაღუპული სიტოცხლე..

შეუმოწმებელი და მოხეტიალე პირებისათვის კოლმეურნეობის დოვლათი არ უნდა მიგენდოთ, ყველა გამვლელ-გამომგლელისათვის თქვენი სოფელი თავშესაფარი არ უნდა გახდეს.

თავმჯდომარე მძიმედ შეიქნა.

— ზოგჯერ ის, რაც თავის დროზე ყურადღებას არ იქცევს, საგონებელში აგდებს კაცს. ასე გგონია, თავდაპირველი ურთიერთობა შენს მიღმა მოხდა...

— წავიდეთ, საავადმყოფოში მინდა მისვლა, წრფელი სინანული ბევრს ნიშნავს. — აზრი შეაწყვეტინა გამომძიებელმა, ხელი მოჰკიდა და კაბინეტიდან გამოვიდნენ. მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა ლეონიდი, ხშირად ჩერდებოდა გზაში, ქარდაკრულივით ირწეოდა ფიქრებში წასული.

9.

საავადმყოფოში სამუშაო დღე ჯერ არ დაწყებულიყო, მაგრამ ავადმყოფთა სანახავად მოსულებს ბლომად მოეყარათ თავი, ბინდს მოყოლილი სუსხი ალიონსაც შემორჩენოდა.

— მორიგე ექიმის ნახვა მინდა, — მიმართა გამომძიებელმა კარისკაცს.

— ახლავე, ბატონო.

— კიბეზე ახალგაზრდა თეთრხალათიანი ქალი გამოჩნდა. იგი მძიმედ მოაბიჯებდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა ყველას.

გამომძიებელმა თავი დაუტკრა.

— მორიგე თქვენ ბრძანდებიან?

— დიახ.

— ერთი დაჭრილის მდგომარეობა მაინტერესებს, გუშინ მოიყვანეს თქვენთან.

— იგი ნახევარი საათის წინ გარდაიცვალა.

გამომძიებელი შეიშმუშნა... ამ დღემა მოვლენამ დააფიქრა კანონის მსახური. სხვებსაც ბინდმა დაუჩრდილა სახე.

მკვლელს — რეხრიგა

ზნაურის რაიონის სოფელ აგნევში საზიზღადი მკვლელობა მოხდა. ამ სოფელს დ. გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ხილის ბაღის დარაჯმა ვ. ბეკოევმა სანადირო თოფით ერთ დღეს სამი კაცი მოკლა: კოლმეურნეობის სახელგანთქმული მეხილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებუტატი დიმიტრი დურგლიშვილი და მამა-შვილი — მოწინავე კოლმეურნეები ალექსი და ასკანაზ ყაზახაშვილები.

დანაშაულის მოტივი დაუდგენელი იყო. საქმის გამოძიება საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელს რევაზ ყიფიანს დაევალა. იგი იმავე დღეს გაემგზავრა შემთხვევის ადგილზე. მართალია ზნაურის რაიონის პროკურატურის მუშაკებს რ. ყიფიანის ჩასვლამდე მოეხდინათ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, აზომვა, გაეკეთებინათ ჩანახატი, მაგრამ რ. ყიფიანმა ეს მინც ზელმორედ გააკეთა. გამოძიებელს ხალხის აზრიც აინტერესებდა მკვლელზე.

გულდრძო, შურიანი, ეგოისტი, ავყია კაცი იყო, ხალხთან საუბარს და ურთიერთობას გაუფრბოდაო, — უყვებოდნენ კოლმეურნეები, — ამავე დროს ჩვენც ვერიდებოდით მასთან ურთიერთობას, ვიცოდით, მისგან საიკეთოს ვერაფერს გავიგებდითო. ყველაფერი ეს გამოძიებელმა უბის წიგნაკში ჩაიწერა.

პროკურატურაში მისვლისთანავე რ. ყიფიანი მკვლელის მიმართ შედგენილ ადრეულ მასალებსაც გაეცნო.

— მაშ, ასე, საქმე გვაქვს გამოცდილ ავზაკთან, რომლისთვისაც პირველი არ არის ადამიანის მკვლელობა.

1955 წელს ბეკოევი გასამართლებული ყოფილა ა. გ. დავიდოვის მკვლელობისათვის, რისთვისაც მიესაჯა ჯასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რაც 15 წლით თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა. პატიმრობიდან გათავისუფლებულა 1965 წელს. 1967 წლის 10 მარტიდან მუშაობდა სოფ. აგნევის დ. გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ხილის ბაღის დარაჯად.

შემდეგ გამოძიებელმა ნივთმტკიცებთა დათვალიერება დაიწყო. გულდასმით დაათვალიერა სანადირო თოფი „იუ 54“, № 2982, რითაც მკვლელობა მოხდა, შემთხვევის ადგილზე ამოღებულა 4 ცალი მასრა და მასრების დასატენი.

მთავარი კი მინც ბრალდებულთან შეხვედ-

რა იყო. პირველ შეხვედრაზე იყო ფაქტიურად დამოკიდებული ძიების სწორი გზით წარმართვა, რადგან ბრალდებული საკმაოდ გამოცდილი დამნაშავე იყო და შეეცდებოდა გამოძიებისათვის გზაკვალი აეზნია.

პატიმარი კარებთან გაჩერდა. მან ოთახი მოათვალიერა. მისი მხერა გამოძიებელზე შეჩერდა.

— დაჯექით, — მიუთითა სკამზე პატიმარს გამოძიებელმა. თქვენი სახელი, მამის სახელი და გვარი.

— ვლადიმერ დავითის ძე ბეკოევი, — კბილებში გამოსცრა ბეკოევმა.

— ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ ჩადენილ დანაშაულში, რაც იმაში გამოიხატება, რომ წინასწარ განზრახვით 1968 წლის 24 ნოემბერს, დაახლოებით დილის 12 საათზე ორულუნიანი, 12 ყალიბის სანადირო თოფით „იუ-54“, № 2982-ით, რომელიც შეიძინეთ ამა წლის 12 ივლისს ქ. ცხინვალის მონადირეთა კავშირის მაღაზიაში, მოკალით მამა-შვილი ალექსი იასონის-ძე და ასკანაზ ალექსის-ძე ყაზახაშვილები და დიმიტრი მიხეილის-ძე დურგლიშვილი.

— ?!

— განმეორებით გთხოვთ მიმაუხსოთ, ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

დ. ბეკოევს კისერი მოღრეცოდა, თითქოსდა ოთახის თვალიერებით იყო გართული.

გამომძიებლის განმეორებით შეკითხვაზე ბეკოევმა თავი მოაბრუნა და უქმეხად უბასუხა — არცერთ კითხვაზე არ ვიპასუხებ, გასაგებია?

რ. ყიფიანი დაკვირვებით დააცქერდა ბრალდებულს და მტკიცედ მიმართა:

— საქმის შინაარსი ჩვენთვის ნათელია, თავს კი ძალით ნუ ისუფლებ, — ექსპერტიზის დასკვნით შერაცხადი პირი ხართ. სიმართლის თქმა ერთგვარ სულიერ შეგებას მოგცემთ, თუ კი თქვენში რაიმე ადამიანური კიდევ არსებობს, დაუფიქრით ამას.

ორიოდე დღის შემდეგ იგივე განმეორდა: ბეკოევი ხმას არ იღებდა და თავს უცნაურად ამოძრავებდა.

გამომძიებელმა კარგად იცოდა, რომ საქირო იყო დამნაშავის მოქცევა ფაქტების მარწმუნებში, რათა მას არ მისცემოდა დანაშაულის ფაქტის უარყოფის საშუალება.



იგი კიდევ უფრო მეტი დაკვირვებითა და სიფრთხილით მოვიდა ბეკოევის დაიბნევას.

— აბა, ახლა კი მოყვებით როგორ მოკალით სამი უდანაშაულო ადამიანი.

ვ. ბეკოევი სკამზე წელწელა დაეშვა.

გამომძიებელი საქმეს ფურცლავდა, თავი არ აუღია და ბეკოევის განმეორებით მიმართა:

— თავიდან დაიწყეთ. აი, თუნდაც აქედან მოყვებით, პირველად როდის გავასამართლეს.

— 1955 წელს.

— რისთვის გავასამართლეს?

— მკვლელობისათვის.

— მოგესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრტა, რაც შემდეგ შეგეცვალათ, არა?

ვ. ბეკოევის თავი ჩაქეჩინდა.

— მე მესმის თქვენი. წარსულის გახსენება, ისიც ასეთ არასასიამოვნო ფაქტზე, კმაყოფილებას ვერ მოგვცვით. რას იზამთ? ფაქტი ჭიუტია. დაუბრუნდეთ ახალ საქმეს. თქვენ ილაპარაკებთ, თუ ფაქტები ავალაპარაკო?

— რა გინდათ ჩემგან, მე არაფერი არ ვიცი. ჩვენებას არ მოგცემთ.

პატიმარს სახე მოღრცოდა სიბრაზისაგან, ბორკავდა და სკამზე ვერ ისვენებდა, დროაღრო ჩასისხლიანებული თვალებით გადახედავდა გამომძიებელს.

— რადგან თქვენ არ გსურთ ლაპარაკი მომხდარ ფაქტზე, მაშინ შეკრებილ მასალებს გავეცნოთ. 1967 წლის 10 მარტს მუშაობა დაიწყეთ ზნაურის რაიონის სოფელ ავანევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში ხილის ბაღის დარჩად. თქვენი საყარაულო ობიექტის ფართი იყო 14 ჰექტარი. 12 ივლისს მივიღეს რა მონადირეთა კავშირის წევრად, იმ დღისვე შეიძინეთ ორლულიანი სანადირო თოფი.

— რ. სიქთურაშვილი, სოგრატ გეგელაშვილი, დიმიტრი მარანელი, თემურ დავითიძე, მიშა ბეკოევი, სანდრო კაცელაშვილი, ესენი და სხვებიც ადასტურებენ თქვენს არაქეთილ დამოკიდებულებას კოლმეურნეობის გამგეობის ყველა წევრისადმი, სოფლისადმი, კიდევ ჩამოვთვალო მოწმეები?

— არა, არ არის საჭირო, — ჩაიბურღლუნა ბეკოევა და თავი ხელეზში ჩარგო.

— დიმიტრი ღურგლიშვილს თუ იცნობდით.

— კი, ვიცნობდი.

— თუმცა დიმიტრი ღურგლიშვილს სოფელში ვინ არ იცნობდა — ლენინის ორდენოსანი, 23 წელი კოლმეურნეობის ბრიგადირად მუშაობდა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. რატომ მოგივიდათ პირველი კონფლიქტი მასთან?

— თავმჯდომარესთან მიჩივლა, დამასმინა... მე მაგისი...

— თავი შეიკავეთ, ამას თუ დასმენა ჭკია... კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. სიქთურაშვილი აჩვენებს, რომ ღურგლიშვილმა მას განუცხადა თქვენს ობიექტში კვალი და ნარკავები რომ იყო გაფუჭებული. ვანა ბრიგადირი ვალდებული არ იყო თვალყური ედევნებინა კოლმეურნეობის ქონებისათვის?

— მე მას თვალში არ მოვდიოდი. არც მე მიყვარდა ეგ ტიპი. ბედი წყალობდა, ჯერ ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, შემდეგ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ბრიგადირს სოფელი პატვის სცემდა. მე რა, რით ვიყავი მიგაზე ნაკლები?

— იმით, რომ შრომა არ გიყვარდათ, ღურგლიშვილი კი პატიოსანმა შრომამ დააფასა. საკმარისია ამაზე საუბარი. თქვენს ჩვენებას საქმის სწორად წარმართვისათვის მნიშვნელობა აქვს და ბოლოს... აღიარებით შეიძლება ცოტა შეეზა იგარანოთ.

ბეკოევის უცხად სახე მოედრიცა და ენის ბორძიკით წარმოთქვა:

— რა მკვლელობა, რის მკვლელობა? მე ფსიქიურად ვარ დაავადებული, არაფერი არ მახსოვს.

გამომძიებელმა საქმე გადაფურცლა და ერთი ფურცელი ბეკოევის წინ დაუდო.

